# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 27 ივნისი 2007 №145 (3068) ფასი 50 თეთრი


დღევანდელ „სარბიელში" ქართულ გუნდთა საკმაო ნაწილის სავალალო მდგომარეობაზეც ვწერთ, ხოლო ვისაც არ უჭირს, ერთმანეთთან გუშინწინდელი თამაშის მერე უცხოურ შეკრებებზე გაემგზავრნენ. „დინამომ" გუშინ გერმანიისკენ აიღო გეზი, ხოლო „ამერი" დღეს გამთენიისას ჩეხეთში წავიდა. ისიც მოგეხსენებათ, რომ „დინამოს" და „ამერს" სამი კვირის მერე უეფას თასზე პირველი მატჩები ელით და სწორედ გერმანიასა და ჩეხეთში შეიტყობენ მეტოქეთა ვინაობას. წილისყრა ზეგაა.

## ქართული ფეხბურთის დღე თბილისის აეროპორტში

### დინამომ და ამერმა ერთმანეთი გააცილეს



## არავითარი თუ სანდრო იაშვილი თუნს შეუთანხმდა



## გერმანიამ უდიდესი მწვრთნელი დაკარგა

### იუპ დერვალი 80 წლისა გარდაიცვალა



AFP

ზეპ ჰერბერგერი, ჰელმუტ შიონი, იუპ დერვალი და ფრანც ბეკენბაუერი — გასული საუკუნის 90-იან წლებამდე ამ ოთხი მწვრთნელის ხელში გაიარა გერმანული ფეხბურთის დიდებამ. მათგან მხოლოდ იუპ დერვალის გფრ-ს არ მიუღწევია მსოფლიო ჩემპიონობისთვის, მაგრამ ის მაინც დიდი მწვრთნელის სახელით შევიდა ფეხბურთის ისტორიაში...

იუპ დერვალი 80 წლის ასაკში მძიმე დაავადებით გუშინ გარდაიცვალა...

შიონის შეცვლა იოლი როდი იყო, გერმანიის საფეხბურთო კავშირმა 1978 წლის მუნდიალის შემდეგ ნაკრების გაძღოლა დერვალს დაავალა და შედეგიც, იცოცხლეთ: პირველივე დიდ ტურნირზე, 1980 წლის ევროჩემპიონატზე გფრ ტრიუმფატორი გახდა.

ორი წლის შემდეგ დერვალმა ესპანეთში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ფინალში გაიყვანა გუნდი, 1984 წელს კი ევროპის პირველობაზე გერმანია ჯგუფში ჩარჩა და დერვალის ბუნდესმწვრთნელობაც ასე დასრულდა...

მიუნხენის „ბაიერნი" აღარ ხუმრობს. თუმცა რაღა დროს ხუმრობაა, როცა გერმანული და მსოფლიო ფეხბურთის გრანდმა ბოლო სეზონი სამარცხვინოდ ჩაატარა — უტიტულოდ დარჩა და ქომაგებიც მოიმდურა.

მოკლედ, ფრანკ რიბერის, ლუკა ტონის და ზე რობერტოს კიდევ ერთი მჟღერალა ტრანსფერი შეემატათ — გუშინ „ბაიერნმა" მიროსლავ კლოზე იყიდა.

მიუნხენელებმა „ვერდერს" 12 მილიონი ევრო გადაუხადეს, ფეხბურთელთან კი ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმეს.

ძალიან გაბრაზებულა „ბაიერნი"...

## კლოზეც!

### ბაიერნმა ერთიც დაიყვირა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩეხეთი, უეფა, საქართველო
## გიორგი ჩიხრაძე: ამერში არ არსებობს წვრილმანი დეტალი



საქართველოს თასის ორგზის მფლობელი „ამერი" ნაშუალამევს ჩეხეთში გაფრინდა, სადაც ორკვირიან შეკრებას მოიწყობს და ტესტ-მატჩებში საუკეთესო ჩეხურ გუნდებს გაეჯიბრება — „ლიბერეცს", „სლავიას", „სპარტას" და „პლზენს". მანამდე „ყვითლებმა" ბორჯომული შეკრება მოილიეს, შემდეგ რამდენიმე დღით თბილისში დაბრუნდნენ და გუშინწინ „დინამოს" ამხანაგურად ეთამაშნენ (1:2). ზეგ ევროტურნირების კენჭისყრაა, სადაც „ამერის" საუეფასთასო მეტოქეც გაირკვევა — ამ ყველაფერზე კი გუნდის მთავარ მწვრთნელ გიორგი ჩიხრაძეს ვესაუბრეთ...

— ბორჯომში ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესებაზე ვემზადებოდით, ორჯერადი ვარჯიშები გვქონდა: დილაობით დავრბოდით, საღამოობით კი პატარა ხელოვნურსაფარიან მოედანზე ვვარჯიშობდით. მიხარია, რომ ყველა ფეხბურთელი მწყობრშია — ჩეხეთში ოპტიმალური შემადგენლობით მივდივართ.

— მიხეილ კობაური, არჩილ ალავიძე, ბაჩანა ცხადაძე, რევაზ გოცირიძე, კობა შალამბერიძე, გიორგი ვარდოსანიძე — „ამერის" ახალწვეულებზე რას იტყვით, როგორ შეეგუვნენ დატვირთვებს?

— საერთოდ, ზაფხულის შეკრება უფრო ადვილი გადასატანია ფეხბურთელისთვის, ვიდრე ზამთრის. ახალწვეულებმა კარგად იმუშავეს ვარჯიშებზე და უკმაყოფილების საბაბი ნამდვილად არ მაქვს.

— შეიძლება ითქვას, რომ ისინი უკვე ამერელები არიან?

— მათთან კონტრაქტები არ გაგვიფორმებია და ასე ოფიციალურად ჯერ ვერ ვიტყვი, მაგრამ ფაქტია, რომ კარგ შთაბეჭდილებას ტოვებენ.

— ალბათ, კიდევ დაიმატებთ ფეხბურთელებს... კერძოდ, რა პოზიციებია გასაძლიერებელი?

— ეს ჩეხეთში უფრო გამოჩნდება საკონტროლო მატჩებისას, ჩვენ ხომ ჯერ მხოლოდ ერთი ტესტთამაში გვქონდა. სასელექციო მუშაობა არ დაგვისრულებია და თუ ვიპოვით ისეთ ფეხბურთელებს, რეალურად რომ გააძლიერებენ „ამერს"...

— შესაძლოა, მათ შორის ლეგიონერებიც იყვნენ?

— მთავარია, კვალიფიციური ფეხბურთელი იყოს, თორემ ლეგიონერს ლეგიონერობის გამო ვყიდულობდეთ, ასე არ დგას საკითხი. კარგი იქნება, თუ ჩეხეთში შეკრებაზევე შემოგვიერთდებიან პოტენციური ახალწვეულები და საკონტროლო მატჩებში უშუალოდ ვნახავთ მათ საქმეში.

— „ამერს" შარშან უეფას თასზე დებიუტი ჰქონდა და ღირსეულადაც გამოიყურებოდა. წესით, წლეულს უკეთ უნდა ითამაშოთ...

— ცხადია, გამოცდილება შეგვემატა და ეს უნდა გამოვიყენოთ. შარშან თუ კენჭისყრაში განთესილები ვიყავით, წლეულს პირიქით, სავარაუდო მეტოქეები უფრო ძლიერები გვყავს პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე, მაგრამ ეს არაა მთავარი: ვინც უნდა შეგვხვდეს, მაქსიმალურად ვეცდებით მოგებას.

— „ამერმა" ორჯერ მოიგო საქართველოს თასი და ალბათ ჩემპიონობის დროც მოვიდა...

— ჩვენი მიზანი სწორედ ესაა: ჩემპიონობა და თასის შენარჩუნება.

— ბევრისთვის გამოცანად რჩება ხუთი წლის „ამერის" ასეთი წარმატებები. რა არის ის მთავარი, რითაც სხვა გუნდებს ჯობნით?

— ყველამ იცის, რომ „ამერში" კარგი ინფრასტრუქტურაა, კლუბის ხელმძღვანელობა ყველაფერს აკეთებს წინსვლისთვის. ნებისმიერ კომპონენტში ვგრძნობთ მხარდაჭერას. ჩვენ არავის ვედრებით, გეგმაზომიერად არჩეული გზით მივიწევთ წინ. „ამერში" არ არსებობს წვრილმანი დეტალი — კეთდება რამე? ყველაფერი კარგად უნდა გაკეთდეს!

— „ამერში" ბევრი ახალგაზრდაა, მათ შორის 1988 წელს დაბადებულები სჭარბობენ და მათზე გკითხავთ: რამდენად პროგრესირებენ ბოლო ორი წლის განმავლობაში, ანუ მას შემდეგ, რაც გუნდი უმაღლეს ლიგაში თამაშობს?

— გარკვეულ კომპონენტებში ამ ბიჭებმა მოუმატეს, თუმც ეს იმათ უფრო ეტყობათ, რომლებსაც სათამაშო პრაქტიკა აქვთ. როდესაც დიდ მიზნებს ისახავ, ძნელია, მხოლოდ ახალგაზრდებზე გააკეთო აქცენტი, ამიტომაც რამდენიმე მათგანს გავანათხოვრებთ — ეს მათთვისაც სასარგებლო იქნება.

— იური გაბისკირიამ ფეხბურთელის კარიერა დაასრულა. ის თქვენს შტაბში იმუშავებს?

— დიახ, გაბისკირია „ამერის" სამწვრთნელო შტაბში იქნება.

— ორიოდ კვირის წინ ჰოლანდიაში იყავით სამწვრთნელო სემინარებზე და იქნებ უფრო დაწვრილებით გვითხრათ...

— ოთხდღიანი, მაგრამ საკმაოდ დატვირთული სემინარები იყო. პრაქტიკული მეცადინეობა, კონფერენციები, დისკუსიები, აზრთა გაცვლა-გამოცვლა, თეორია... მე და საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელები, პეტარ სეგრტი და გელა შეყილაძე ერთად ვიყავით ჰოლანდიაში.

— ცნობილი მწვრთნელებიდან ვინ იყვნენ?

— გუს ჰიდინკი, ლეო ბეენჰაკერი... დაახლოებით 60 მწვრთნელი იყო ამ კურსებზე.

— ჰოლანდიაში 21-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის მატჩებსაც ხომ არ დაესწარით?

— კი, ორი შეხვედრა ვნახე: გახსნის მატჩი ჰოლანდია — ისრაელი და ინგლისი — ჩეხეთი.

**ილია ნანობაშვილი**

გიორგი ჩიხრაძემ ჩეხეთში ეს ფეხბურთელები წაიყვანა:

*ზურაბ ქვაჩახია, ლადო ნადირაშვილი, მიხეილ კობაური, დავით მჭედლიშვილი, გივი დიდავა, ვახტანგ ხვადაგიანი, გიორგი დავითნიძე, ვლადიმერ კაკაშვილი, თენგიზ ჩიკვილაძე, გიორგი ელბაქიძე, მიხეილ მესხი, დენის დობროვოლსკი, გიორგი დეკანოსიძე, გიორგი ვარდოსანიძე, დავით ბოლქვაძე, გრიგოლ დოლიძე, კობა შალამბერიძე, მიხეილ ალავიძე, გიზო ჯელაძე, სულიკო დავითაშვილი, ბაჩანა ცხადაძე, რატი წინამძღვრიშვილი, დიმიტრი ტატანაშვილი, რევაზ გოცირიძე.*



# დურმიშხან ჩხაიძე გადადგა

**გურიის** რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი დურმიშხან ჩხაიძე თანამდებობიდან გადადგა.

ბოლოდროინდელი ამბების გათვალისწინებით, ეს მოულოდნელი სულაც არ ყოფილა — გურიის ფეხბურთის ფედერაციას სფფ-ის პრეზიდენტობის ამასწინდელ არჩევნებზე ხმის უფლება გაუუქმეს, ფედერაციის აღმასკომმა 2007 წლის 12 მაისის სხდომაზე ბათილად ცნო გურიის ფეხბურთის ფედერაციის 24 აპრილის საერთო კრების გადაწყვეტილებები, მიზეზი კი საკუთარი წესდების სერიოზული დარღვევები იყო.

გუშინწინ კი სფფ-ის აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა, რომ გუშინ დანიშნული გურიის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება ისევ და ისევ წესდების დარღვევის გამო გაურკვეველი ვადით გადადებულიყო.

**ლუკა თალაკვაძე**

# ოლიმპის კამერუნელი მოტორი




**საქართველოს** ჩემპიონ რუსთავის „ოლიმპს" კიდევ ერთი ლეგიონერი შეემატა: 19 წლის ერიკ ბოსამბე მოტორუ. იგი საყრდენი ნახევარმცველია და აქამდე ჯერ კამერუნში, ბოლო თვეებში კი სამხრეთ აფრიკის ერთ-ერთ გუნდში თამაშობდა. მოტორუ კამერუნის 19-წლამდელთა ნაკრების ფეხბურთელიც ყოფილა.

ვარლამ კილასონიას „ოლიმპში" კიდევ ელიან ლეგიონერებს: სავარაუდოდ, დღე-დღეზე კონგოს ეროვნული ნაკრების ფორვარდი და ორი კამერუნელი, თავდამსხმელი და მცველი ჩამოვლენ.

**ილია ნანობაშვილი**

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან არსებული ტურისტული სააგენტო GFF-TRAVEL გთავაზობთ ერთკვირიან ტურს სახელგანთქმულ კურორტ მონაკოში.
ამ ტურის განმავლობაში გეძლევათ უნიკალური შანსი, დაესწროთ ევროპის სუპერთასის შეხვედრას „მილანსა" და „სევილიას" შორის, რომელიც გაიმართება 31 აგვისტოს.
იჩქარეთ, ადგილები შეზღუდულია.
დეტალური ინფორმაციისათვის დარეკეთ: 91-70-14, 91-70-15, 877 900-902

# ქალთა ფეხბურთში აჭარა ლიდერობს

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით, ლაგოდეხსა და ჭაბუკიანში ქვეყნის მეორე ჩემპიონატი ტარდება ქალ ფეხბურთელთა შორის. ოთხგუნდიანი პირველობის პირველი წრე გუშინ დასრულდა, რის შემდეგაც პირველ ადგილზე აჭარის ნაკრებია, რომელმაც სამივე შეხვედრა მოიგო: თბილისის ნაკრებს 1:0, აღმოსავლეთ საქართველოს 4:1, ხოლო დასავლეთ საქართველოს 4:0 სძლია.

მეორე ადგილზეა შარშანდელი ჩემპიონატის გამარჯვებული თბილისის ნაკრები.

აჭარელებთან წაგებამდე ამ გუნდმა დასავლეთ საქართველოს 2:0 სძლია, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს კარში 6 უპასუხო გოლი გაიტანა.

დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ნაკრებთა მატჩში აღმოსავლელებმა 6:0 მოიგეს.

მეორე წრის შეხვედრები 27-29 ივნისს გაიმართება.

ჩემპიონატის დასრულების შემდეგ დაკომპლექტდება საქართველოს 17 და 19-წლამდელ გოგონათა ნაკრებები, რომლებიც 30 ივნისს ერთმანეთს გაეჯიბრებიან.

შეგახსენებთ: სფფ-ის ეგიდით, ქალ ფეხბურთელთა შორის ქვეყნის პირველი ჩემპიონატი შარშან, 6-14 ივლისს ჩატარდა ქობულეთში. ჩემპიონობა თბილისის ნაკრებმა მოიპოვა, რომელმაც 1:0 სძლია აჭარას.

**ოთარ მხეიძე**

### შვედეთი

**ალსვენსკა**
**XI ტური**

ელფსბორგი 3:0 ბრომაპოიკარნა
მალმიო 1:2 კალმარი

**სუპერეტა**
**XI ტური**

ლანდსკრონა 2:0 დეგერფორსი

### ამხანაგური მატჩები

შტურმი 2:0 ლეოგენი
ლინცერი 1:1 აპოელი
რაპიდი 2:2 დუბნიცა
ზალცბურგი 1:1 კლუჟი
შვანენშტადტი 1:3 რიდი

### ისლანდია

**პრემიერდივიზიონი. VIII ტური**

ვიკინგური 0:3 აკრანესი
ბრეიდაბლიკი — კოპავოგური
გვიან დამთავრდა

### ნორვეგია

**თასი. I ეტაპი**

ვოლერენგა 4:1 MO

### ირლანდია

**პრემიერლიგა**
**გადადებული მატჩები**

დროჰედა 4:1 ბრეი
ლონგფორდი 1:2 კორკი




# თუნი: ჩამოდი და ითამაშე

## იაშვილს შვეიცარიაში კონტრაქტი გაუმზადეს

**თბილისის** „დინამოსა" და საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი სანდრო იაშვილი კარიერას შვეიცარიულ „თუნში" გააგრძელებს. სანდრო შვეიცარიაში ხვალ-ზეგ გაემგზავრება და კონტრაქტსაც გააფორმებს — „თუნის" მწვრთნელებმა ჩვენიანის რამდენიმე თამაში ნახეს და დარწმუნდნენ, რომ იაშვილი მათთვის გამოსადეგი ფეხბურთელია.

სანდრო იაშვილი, მისი აგენტი და „თუნი" უკვე ყველანაირ პირობებზე მორიგებულნი არიან და ამ ტრანსფერის საბოლოოდ მოგვარებამდე შვეიცარიელთა და „დინამოს" ხელმძღვანელთა შეთანხმება დარჩა, თუმცა ეს ალბათ პრობლემა აღარ იქნება.

იაშვილს, რომელიც წლეულს ეროვნული ჩემპიონატის ბომბარდირიც გახდა, უკრაინული და რუსული კლუბები იწვევდნენ, მაგრამ თავად ფეხბურთელის სურვილი იყო, რომ თამაში ევროპაში გაეგრძელებინა. დაგვეთანხმებით, „თუნიდან" მას უფრო ძლიერ საფეხბურთო ლიგაში გადასვლის ბევრად მეტი შანსი ექნება, ვიდრე უკრაინა-რუსეთიდან.

„თუნი" შვეიცარიის ათგუნდიან ჩემპიონატში წლეულს მე-7 იყო, თუმცა მომავლისთვის სერიოზულად გაძლიერებას გეგმავს. „თუნისთვის" უცხო არ არის ჩემპიონთა ლიგა, ეს გუნდი, თუ გახსოვთ, სამი წლის წინ ჯგუფურ ეტაპზე თამაშობდა. შვეიცარიაში კი საშუალოზე მაღალი კლასის გუნდად ითვლება.

გუშინ „თუნმა" ახალი სეზონისთვის მოსამზადებლად პირველი ამხანაგური მატჩიც გამართა, „კონკორდიასთან" შეხვედრა 1:1 დამთავრდა. მომდევნო მატჩში თუნელთა შორის ალბათ ქართველი ფორვარდიც იქნება. იქამდე კი იაშვილი თბილისში ინდივიდუალურად ივარჯიშებს, „დინამო" ხომ უკვე გერმანულ შეკრებაზეა.

**ქობა ინასარიძე**

# გერმანული 22

## დინამო ორ კვირით დაგვშორდა

**თბილისის** „დინამო" გუშინ გერმანიაში ორკვირიან შეკრებაზე წავიდა. მწვრთნელმა დუშან უჰრინმა თან 22 ფეხბურთელი იახლა, მათ შორის კი არ არის სანდრო იაშვილი, ვინც თბილისში დარჩა და ამ დღეებში შვეიცარიაში, „თუნთან" კონტრაქტის გასაფორმებლად გაემგზავრება. სამაგიეროდ, „დინამოსთან" ერთად არიან კამერუნელი თავდამსხმელი რაიმონდ ვოუკოუე და გაბონელი მეკარე დიდიე ოვონო. გუნდს გერმანიაში უნდა შეუერთდეს ჩეხი მცველი მიხალ ლეშაკი, ვინც გუშინწინ „ამერთან" ამხანაგურ მატჩში ითამაშა და პირადი საქმეების მოსაგვარებლად საღამოსვე შინ გაბრუნდა.

„დინამო" გერმანიაში ელის კიდევ რამდენიმე უცხოელს, რომლებიც კამერუნელი, გაბონელი და ჩეხი ფეხბურთელებივით, გუნდს გასასინჯად ჩააკითხავენ.

*სოსო გრიშიკაშვილი, გიორგი ლორია, დიდიე ოვონო, შოთა კაშია, ნედ ზელიჩი, მილოშ კრშკო, უჩა ლობჟანიძე, გულვერდ თომაშვილი, გურამ კაშია, ოლეგ გველესიანი, ლევან ხმალაძე, დავით დიღმელაშვილი, გიორგი ფეიქრიშვილი, გიორგი ფირცხალავა, დავით ოდიკაძე, რაიმონდ ვოუკოუე, მიხეილ ხუციშვილი, გიორგი მერებაშვილი, ილია სპასოევიჩი, ზამირ ჯანაშია, სანდრო კობახიძე, ბორის გონჩაროვი* — დუშან უჰრინმა შეკრებაზე ეს ფეხბურთელები წაიყვანა.

გერმანიაში ჩვენები ექვს ამხანაგურ მატჩს გამართავენ. პირველ სამს „დინამო" სამოყვარულო გუნდებთან ითამაშებს, შემდეგ კი უფრო ძლიერ მეტოქეებთან.

ხვალ თბილისელები „შტაინაზეს" შეხვდებიან, 1 ივლისს „შლოტჰაიმს", 2-ში — „გერას", 4-ში ხორვატულ „ჰაიდუკს", 6-ში „ესენს" და ბოლოს, 9 ივლისს „კარლ ცაისს".

„დინამო" შინ 10 ივლისს დაბრუნდება. ზეგ კი წლევანდელი ევროტურნირების კენჭისყრაა, შვეიცარიაში „ოლიმპის", „დინამოსა" და „ამერის" მეტოქეები გაირკვევიან, „დინამოდან" კენჭისყრას მმართველი დირექტორი ბუბა ტყავაძე, სპორტული დირექტორი ამირან ლიბრაძე და ადმინისტრატორი გია იმნაძე დაესწრებიან.

**ქობა ინასარიძე**

# ღვინიანიძემ უიღბლოდ დაიწყო




**მეორებუნდესლიგელმა** „მიუნხენ 1860"-მა საახალსეზონო მზადება დაიწყო და პირველივე ვარჯიში უიღბლო გამოდგა საქართველოს ნაკრების მცველ მათე ღვინიანიძისთვის — „ლომების" 19 წლის ფეხბურთელმა წარბი გაიხეთქა და კარგა რაოდენობის სისხლი დაკარგა.

ექიმების თქმით, საშიში არაფერია — მათეს ვარჯიშების გაცდენაც აღარ მოუწევს, თუმც დაზიანებულ ადგილს უნდა მოუფრთხილდეს.

**კახა შალამბერიძე**

# გუნდები, შავი დღისანი

მტერს რომ გაახარებს, ისეთ მდგომარეობაშია საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე კლუბთა უმრავლესობა. ზოგი ჯერაც არ შეკრებილა, ზოგიც, ღმერთმა უწყის, საერთოდ მიიღებს თუ არა ჩემპიონატში მონაწილეობას...

**S O S**

**„ბათუმის"** მწვრთნელმა ამირან გოგიტიძემ, გუშინ რომ შევეხმიანეთ, ეს გვითხრა: „გუნდი არ შეკრებილა და სრულ გაურკვევლობაში ვართ. შეიძლება ითქვას, რომ ამ ეტაპზე „ბათუმი" აღარ არსებობს. არც ის ვიცი, როდის გაირკვევა, საერთოდ მივიღებთ თუ არა ჩემპიონატში მონაწილეობას".

ცნობისთვის: შარშანდელი „ბათუმიდან" ყველა ფეხბურთელი წავიდა.

ამ მძიმე ვითარებაში უკეთ გასარკვევად აჭარის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ალექსანდრე აზვლედიანსაც შევეხმიანეთ, რომელიც შვებულებაში ყოფილა, თუმც დაგვაიმედა, „ბათუმი" აუცილებლად იარსებებსო.

გუნდის უფროსმა თამაზ ცინარიძემ კი ეს გვითხრა: „ჯერ არაფერი ვიცი. რამდენიმე დღეში დაგვიკავშირდით. ალბათ, ყველაფერი დადებითად გადაწყდება".

**S O S**

**„ბორჯომის"** საქმეც ვერ არის კარგად. გუშინ მთავარ მწვრთნელ ვლადიმერ ხაჩიძეს შევეხმიანეთ და კარგი ვერა, მაგრამ „ბათუმთან" შედარებით უკეთესი ამბავი კი გავიგეთ: „28 ივნისს ბორჯომში უნდა შევიკრიბოთ და, სავარაუდოდ, მაშინ გაირკვევა, რა გაქანების გუნდი გვეყოლება. მეტს ველარაფერს გეტყვით".

**S O S**

**ისევ** გაურკვევლობაშია საჩხერის „ჩიხურა". რომ იტყვიან, დღეს და ხვალ არ გამოილევა და საჩხერლებიც რომ ამბობენ, ყველაფერი დღეს-ხვალ გაირკვევაო, სადაცაა, ჩემპიონატიც დაიწყება...

„ჩიხურას" მთავარმა მწვრთნელმა ვახტანგ თურმანიძემ დანამდვილებით ჯერაც არ იცის, რა ბედი ეწევა „ჩიხურას", ველოდებითო...

მაგრამ საკითხავიც ესაა: ვის და რას ელოდებიან?

**S O S**

**უკიდურეს** გასაჭირშია საქართველოს სამგზის ჩემპიონი და ორგზის თასის მფლობელი ქუთაისის „ტორპედო".

იმერული კლუბის პრესსამსახურის უფროს გოგა მინდელს იმ იმედით შევეხმიანეთ, იქნებ რამე სასიკეთოდ შეიცვალაო, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ...

აი, რა გვითხრა მინდელმა: „სრული ქაოსია. არც ქალაქის ხელმძღვანელობიდან შემოგვხმიანებია ვინმე და არც სხვა მოსულა სიტუაციის გასარკვევად, ძნელი სათქმელია, რა ეშველება „ტორპედოს". სამწუხაროა, მაგრამ ეს ფაქტია".

**S O S**

**უჭირს** შარშანდელ ჩემპიონ ბოლნისის „სიონსაც". გუნდი ქვემო ქართლის გუბერნატორ ზურაბ მელიქიშვილის და ბოლნისის რაიონის გამგებელ გია დაუშვილის იმედადაა, თუმცა რა გამოვა აქედან, ძნელი სათქმელია.

ისიც ითქვა, შესაძლოა, კლუბი შპს „მადნეულმა" მთლიანად შეისყიდოსო, თუმცა ჯერჯერობით ნათქვამი ნათქვამს იქით არ წასულა...

**ნუკრი ლოლაძე**

# დრო ფულია: უფულობამ მესხებს დრო დააკარგვინა

**უმაღლესი** ლიგის დებიუტანტმა ახალციხის „მესხეთმა" ფინანსური პრობლემები მოაგვარა და ვარჯიშსაც შეუდგა. გუნდი გუშინ შეიკრიბა.

გუშინ „მესხეთის" პრეზიდენტ გიორგი მესხელს დავუკავშირდით...

„გადაწყდა, რომ „მესხეთს" რაიონი დაეხმარება. ფინანსების 80 პროცენტი მათი იქნება, ხოლო დანარჩენს ბიზნესმენები დაფარავენ. ამ საკითხის მოგვარებისთანავე გუნდი ვარჯიშს შეუდგა. ჯერჯერობით არავინ შეგვიმატებია, თუმც გარკვეული იმედები გვაქვს. ცოტა ადრე რომ გადაწყვეტილიყო ყველაფერი, რამდენიმე ფეხბურთელი შეგულებული გვყავდა, მაგრამ ისინი სხვა გუნდებმა აიყვანეს. იმედს მაინც არ ვკარგავთ და სეზონის დაწყებამდე გავძლიერდებით...

..."მესხეთს" შორს მიმავალი გეგმები აქვს და ამიტომ ამ ჩემპიონატში ჩვენი მიზანი საშუალო დონის გუნდის ჩამოყალიბებაა, რაც სამომავლო გუნდს ჩაუყრის საფუძველს...

...როგორც ვიცი, სტადიონების გაკეთებას სახელმწიფო აპირებს და მერე კლუბებს გადასცემს. ჩვენ გაზაფხულიდან გვინდოდა სტადიონის შეკეთება და თუ სახელმწიფომ თავის თავზე აიღო, საქმე გაგვიადვილდება...

...გვინდა, პირველი წრე საკუთარ სტადიონზე ჩავატაროთ. ერთ თვეში ფედერაციიდან კომისია ჩამოვა და მოედანს შეამოწმებს. გვითხრეს, თუ მინიმალურ მოთხოვნებს დააკმაყოფილებს, გათამაშებთო. მეორე წრეს კი ალბათ ბორჯომში ჩავატარებთ".

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი ალექსანდრე იაშვილი ორიოდ დღის წინ გერმანულმა „კიკერმა“ მეორე ბუნდესლიგის საუკეთესო თავდამსხმელად დაასახელა. აწ უკვე „კარლსრუეს“ მე-20 ნომერზე კი ბუნდესლიგის ოფიციალურმა ვებგვერდმა ჩანახატი გააკეთა...

# მეფე წავიდა, გაუმარჯოს იაშვილს!

## ქართველი თავდამსხმელის ბუნდესჩანახატი

### ენა, თავი და სუნთქვა

ცნობილ სპორტსმენებს შეჯიბრების დროს განსაკუთრებული თვისებები ჰქონდათ — ლეგენდარული მაიკლ ჯორდანი თამაშისას ენას გამოჰყოფდა ხოლმე, ცნობილ ველომრბოლი ფრანსისკო მანსიბო ველოსიპედზე მუდამ გვერდულად იჯდა, ჩოგბურთელ ბორის ბეკერს კი კარიერის ბოლოს განსაკუთრებული სუნთქვა გამოუმუშავდა და თამაშის შემდეგ თავს ისე გრძნობდა, როგორც თევზი ხანგრძლივი ცურვის შემდეგ.

ცოტა ძნელია, აღწერო ალექსანდრე იაშვილის მიმიკა, როდესაც ბურთთან დამეგობრებული დრიბლინგს იწყებს — გაფართოებული თვალები და ენა ბაგებს შორის, ისე, როგორც საცობი.

შეიძლება, ეს არაეფექტურად მოჩანდეს, მაგრამ ერთგვარი გაფრთხილებაა მცველებისთვის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იაშვილი თვალებს აცეცებს.

### დინამოს სკოლა დამთავრდა

29 წლის ფეხბურთელმა თამაში საქართველოს დედაქალაქ თბილისის წამყვან გუნდ „დინამოში“ 12 წლის წინ დაიწყო.

1996 წელს ის პირველად გამოჩნდა გერმანიაში, როდესაც „ლიუბეკში“ მეორე წრე ითამაშა. მაშინ იაშვილმა 15 მატჩში 3 ბურთი გაიტანა.

შემდეგ იყო ხანმოკლე დაბრუნება „დინამოში“, სანამ ჩამოყალიბებულ ფეხბურთელს ყურადღება „ფრაიბურგმა“ მიაქცია და 1997-98 წლების სეზონისთვის გუნდში აიყვანა.

### დებიუტი

„ფრაიბურგში“ იაშვილის დებიუტი 10 დღის შემდეგ შედგა, როდესაც გუნდმა „ფიურტთან“ 0:1 წააგო, ოთხი დღის შემდეგ კი „კიოლნთან“ ფრედ, 2:2 ითამაშა და იაშვილმა პირველი გოლი გაიტანა. თუმც მისი პირველი სეზონი ძალიან შთამბეჭდავი არ გამოვიდა — იაშვილმა 24 მატჩში 4 ბურთი გაიტანა.

სულ იაშვილს პირველ და მეორე ბუნდესლიგაში 256 მატჩი აქვს ნათამაშები და 52 ბურთი გატანილი. „მონადირის“ სახელი იაშვილმა გასულ სეზონში დაიგდო, როდესაც მეტოქეთა მეკარეები ათჯერ დაამწუხრა.

### იაშვილის სინათლე და ფინკეს ჩრდილი

„ჯერ გადაწყვეტილი არაფერია, თუმც ალბათ წავალ“ — თქვა იაშვილმა სეზონის დასრულებამდე რამდენიმე კვირით ადრე. ახლა უკვე ის „კარლსრუეს“ ფეხბურთელია. „ფრაიბურგში“ ფოლკერ ფინკეს ერაც დასრულდა, თუმც მისი კარიერა იაშვილის დარი ვერ იქნება — „კარლსრუე“ და იაშვილი ელიტაში ითამაშებენ.

„ჩვენ შევიძინეთ ძლიერი და გამოცდილი მოთამაშე, რომელიც თავდაჯერებას შეგვმატებს“ — აცხადებს „კარლსრუეს“ მენეჯერი როლფ დომენი.

დომენმა და „კარლსრუემ“ მართლაც ძლიერი შემტევი შეიძინეს. ცოცხალ, მეტოქეთა ამწიოკებელ ფეხბურთელს ნებისმიერი დაცვის ნერვის გაწყვეტა შეუძლია. იაშვილი წყვეტს პრობლემებს და მიზანმიმართულად ურტყამს.

### სიცარიელე ივსება

„ფრაიბურგიდან“ გადასულმა იაშვილმა ის სიცარიელე უნდა შეავსოს, რაც „კარლსრუეს“ ჯოვანი ფედერიკოს წასვლის შემდეგ დარჩა. იაშვილმა ბუნდესლიგაშიც უნდა დაამტკიცოს ის, რაც „ფრაიბურგში“ შეძლო.

„იაშის“ შეუძლია, თავისი მაღალი ოსტატობით შეცვალოს ფედერიკო, რომელიც „კარლსრუედან“ როგორც მეფე, ისე წავიდა.

# ზარია შეკრებაზე, ბურდული შინ

## ლადო ახალ გუნდს უნგრეთში ნახავს

ლუგანსკის „ზარიამ“ ახალი სეზონისთვის მზადება დაიწყო და პირველ შეკრებაზე იალტაში გაემგზავრა. ალექსანდრ კოსევიჩმა საყირიმოდ 19 ფეხბურთელი იახლა, რომელთა შორის ვერ ამოვიკითხეთ ახალწვეული ვლადიმერ ბურდული.



მიზეზის გარკვევა რომ ვცადეთ, ბურდული თბილისში აღმოჩნდა...

„არანაირი პრობლემა არ არის. ჩემმა ყოფილმა გუნდმა „კრივბასმა“ გვიან დაამთავრა ვარჯიშები და კოსევიჩმა ხუთი დღე დასვენების უფლება მომცა. სწორედ ამდენი ხნით ესტუმრა „ზარია“ იალტას. 2 ივლისს კი გუნდი მეორე შეკრებაზე მიდის უნგრეთში და მეც გავყვები“ — გვითხრა გუშინ ლადომ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# იონა მართლა ბრუნდება?

**საქართველოს** ჩემპიონატების ყველა დროის საუკეთესო მეგოლე ზურაბ იონანიძე; შესაძლოა, ისევ დაუბრუნდეს „ზესტაფონს“. ყოველ შემთხვევაში, ამაზე უკვე ღიად ლაპარაკობენ...

იონანიძემ გუშინ გვითხრა, ახლა ქუთაისში ვარ და ინდივიდუალურად ვვარჯიშობ, „ტობოლთან“ მატჩამდე კი კლუბის ხელმძღვანელობას უნდა შევხვდე და ყველაფერი მაშინ გაირკვევაო.

**ნუგზარ ლოლაძე**

# ნახავენ ხორვატები რევანშს?

**30 მაისს** ინტერტოტოს თასის გათამაშების პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე „ზესტაფონი“ საპასუხო მატჩში კუშტანაის „ტობოლს“ უმასპინძლებს.

თამაში თბილისში, „მიხეილ მესხზე“ გაიმართება და მას ხორვატი მსაჯები მოემსახურებიან: არბიტრი ვლად სვილოკოსი, ასისტენტები კი იგორ კრამარი და სინიშა პრეგუზაი.

მეოთხე მსაჯი ქართველი არსენ ნონიკაშვილი იქნება.

23 ივნისს პირველ მატჩში, რომელიც კუშტანაიში გაიმართა, მასპინძლებმა 3:0 იმარჯვეს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ინტერტოტოს ახალი ქართველები

**ინტერტოტოს** თასის გათამაშებაში ჯერ ქართული გუნდი ჩაერთო, ახლა კი მათ ქართველი მსაჯებიც შეუერთდებიან.

30 ივნისს სერბეთში „სლავია“ ანდორას „სანტა ჯულიას“ უმასპინძლებს და მას ქართველები მოემსახურებიან: მთავარი მსაჯი ლაშა სილაგავა იქნება, ასისტენტები კი ზაზა მენთეშაშვილი და მამუკა ურუშაძე.

ამ გუნდების პირველი მატჩი ანდორაში „სლავიამ“ 3:2 მოიგო.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# გულშემატკივარს ბევრი რამ ახსოვს

## გივი ჩოხელს 70 წელი შეუსრულდებოდა...

**უკვე** ცამეტი წელიწადია, გივი ჩოხელის ახლობლები, მეგობრები, თანაგუნდელები თუ აღზრდილები სევდით იხსენებენ ქართული ფეხბურთის ამ შესანიშნავ წარმომადგენელს და მის ნათელ ხსოვნას პატივს მიაგებენ. იგი 1997 წელს გარდაიცვალა, დღეს კი გივი ჩოხელს 70 წლის იუბილე უნდა ჰქონოდა...

ასეთ დროს მიღებულია ღვაწლმოსილი კაცის ამაგის მოგონება და ჩვენც გავიხსენოთ, რომ გივი ჩოხელი იყო საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი. გივი ჩოხელი, მიხეილ მესხთან ერთად, არის პირველი ქართველი ფეხბურთელი, ვინც საბჭოთა ნაკრების წევრებთან ერთად, 1960 წელს პარიზში გამართული ევროპის ჩემპიონატი მოიგო; გივი ჩოხელი, მიხეილ მესხთან ერთად, არის ასევე ჩვენი პირველი თანამემამულე, რომელიც 1962 წელს მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობდა...

ჩოხელმა თავისი სპორტული კარიერა 1956 წელს თელავის „ნადიკვარში“ დაიწყო და უმალ გულშემატკივართა თუ სპეციალისტთა ყურადღება მიიქცია, როგორც ნიჭიერმა ფეხბურთელმა. მისი მზარდი ოსტატობით მოიხიბლა თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელობაც, რომელმაც ამ პერსპექტიულ ფეხბურთელს მომდევნო წელსვე საქართველოს უპირველეს გუნდში უხმო. მას შემდეგ, 1957 წლიდან 1965 წლამდე, ამ გუნდის დაცვის სული და გული იყო, 1962 წლიდან კი საბჭოთა ნაკრების დაცვის ერთ-ერთი ბურჯიც. მას საბჭოთა ნაკრების წევრებთან ერთად უთამაშია და გამარჯვებულს დაუტოვებია სარბიელი იმ დროის ევროპისა და მსოფლიოს საუკეთესო გუნდებთან ბრძოლაში. მათ შორის იყვნენ ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, ჩილეს, ურუგვაის, არგენტინის, კოლუმბიისა და სხვა ქვეყნების ნაკრებები. საერთო ჯამში კი, ჩოხელს საბჭოთა ნაკრების წევრებთან ერთად, 19 ოფიციალური და ერთიც არაოფიციალური შეხვედრა ჩაუტარებია, მაგრამ ქართველი გულშემატკივრის სიყვარული მან, უპირველეს ყოვლისა, თბილისის „დინამოში“ თავდადებული თამაშით დაიმსახურა, რისთვისაც გუნდის კაპიტნის სამკლავურიც გადაეცა.

ამ გუნდში გივი ჩოხელმა არაერთი გამარჯვება იზეიმა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების მედლებიც დაიმსახურა, შემდეგ კი მისი მწვრთნელიც გახდა. აქაც მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. პირველი სიხარული, როგორც თბილისის „დინამოს“ მწვრთნელმა, 1967 წელს განიცადა, როცა ვლადიმერ ბარქაიასთან და ვიაჩესლავ სოლოვიოვთან ერთად მომზადებული მისი გუნდი საკავშირო ჩემპიონატში ბრინჯაოს მედალს დაეუფლა. იმავე წარმატებას, ოღონდ ახლა ნიაზ ძიაპშპასთან და კვლავ ბარქაიასთან ერთად, 1969 წელსაც მიაღწია. 1972 წლის ბრინჯაოს მედლის მოპოვებაში კი მას მხარში ედგნენ გავრილ კაჩალინი და სერგო კოტრიკაძე.



სტაჟიან გულშემატკივარს ეხსომება 1967 წელს თბილისში ბრაზილიის ერთ-ერთი პოპულარული გუნდის, რიო დე ჟანეიროს „ფლამენგოს“ სტუმრობაც, დინამოელებთან ამხანაგური შეხვედრა და ჩოხელის მეთაურობით მისი გამანადგურებელი ანგარიშით (4:0) ძლევა.

კიდევ ბევრი რამ ახსოვს გულშემატკივარს...

**ავთანდილ ბუყიშელი**

# მშვენივრად ვიცი, სადაც მოვედი

## კატალონიურად ალაპარაკებული ფრანგი




**ტიერი ანრი** „ბარსელონაში“ გადასვლით თავს ბედნიერად გრძნობს. თავის პირველ კატალონიურ პრესკონფერენციაზე ფრანგმა მადლობა გადაუხადა მხარდამჭერებს.

„მინდა, ყველას — პრეზიდენტ ხუან ლაპორტას, სპორტულ დირექტორ ჩიკი ბეგირისტაინს და მწვრთნელ ფრანკ რაიკარდს გულითადი მადლობა ვუთხრა. მათი წყალობით აღმოვჩნდი „კამპ ნოუზე“. ძალიან კმაყოფილი ვარ „ბარსაში“ ყოფნით და ახლა ისღა დამრჩენია, ხალხმა მოედანზე ჩემი საუკეთესო საფეხბურთო თვისებები იხილოს — თქვა „ტიტიმ“ მედიის მრავალრიცხოვანი წარმომადგენლის თანდასწრებით — პიროვნულ მიზნებზე ნაკლებად ვფიქრობ, უფრო გუნდური გამარჯვება მაინტერესებს. „ბარსას“ მიზნები კი, როგორც ცნობილია, ყოველთვის ყველაფრის მოგებაა. მინდა, კლუბს ამის მიღწევაში დავეხმარო“.

ფრანგმა პრესკონფერენციაზე გაიხსენა, რომ „არსენალის“ შემადგენლობაში ჩემპიონთა ლიგის ფინალი სწორედ „ბარსელონასთან“ წააგო. შემდეგ კი განაცხადა: „ძალიან მინდა ლიგის მოგება. ჩემპიონთა თასი ნებისმიერი ფეხბურთელის ოცნებაა და იმედია, ამ ჯილდოს უკვე „ბარსაში“ მოვიგებ. ჩემს საფეხბურთო კარიერაში მხოლოდ ეს ტიტული მაკლია“.

ჟურნალისტებმა „ტიტის“, რა თქმა უნდა, „ბარსას“ თავდასხმაში სხვა ფეხბურთელებთან კონკურენციაზე და სამუელ ეტოოსთან ერთად თამაშის შანსებზეც ჰკითხეს. კატალონიელთა ახალწვეულმა შემადგენლობის დაყენების საქმე ფრანკ რაიკარდს მიანდო და ისევ გაიმეორა, რომ მისი ოცნება მოედანზე საუკეთესო ფეხბურთის ჩვენებაა: „მშვენივრად ვიცი, სათამაშოდ სადაც მოვედი და ისიც ვიცი, რომ აქ მაღალი დონის ოსტატები თამაშობენ. მოედანზე ვინ გამოვა, ამას მწვრთნელი გადაწყვეტს, მე კი ვეცდები, „ბარსას“ სასარგებლოდ მაქსიმალურად დავიხარჯო... მიზნის მისაღწევად ფეხბურთელებმა ერთად უნდა ვიმოქმედოთ“.

ანრი კატალონიის მთავარქალაქში ბარსელონური ინჩადის ფანტასტიკურ დახვედრას გაუკვირვებია...

„ახლაც გაოცებული ვარ ამ შეხვედრით. ქუჩებში ზღვა ხალხი იყო გამოსული. მე ფეხბურთი მიყვარს და სრული ყურადღება მასზე მაქვს გადატანილი, მაგრამ ამ შემთხვევამ დაადასტურა, რომ „ბარსა“ უფრო მეტია, ვიდრე ერთი, თუნდაც გრანდი გუნდი“ — განაცხადა ექსმეთოფემ, რომელმაც ასევე აღნიშნა, რომ კატალონიაში ჩამოსვლამდე „კონსულტაციებს“ თანამემამულე ბარსელებთან, ლილიან ტურამთან და ლუდოვიკ ჟიულისთან გადიოდა. „ტიტიმ“ ფრანკ რაიკარდთან კონტრაქტისწინა საუბარიც დაადასტურა.

ხუან ლაპორტას კლუბმა რომ 2006-07 წლების სეზონში წარმატებებს ვერ მიაღწია, ანრიმ ასე ახსნა: „ყველამ კარგად ვიცით, რომ „ბარსას“ ბევრი რთული მატჩის ჩატარება მოუხდა. გუნდი გადაიღალა და ბოლო სეზონებთან შედარებით წარუმატებლად ითამაშა“.

პრესკონფერენციაზე ანრის მიერ გადატანილ ზურგის ტრავმაზეც ისაუბრეს. ფეხბურთელს მიაჩნია, რომ სადღეისოდ შესანიშნავ ფორმაშია: „ეს ტრავმა საერთოდ პირველი იყო ჩემს პროფესიულ კარიერაში. ახლა კი სრულიად გამოვჯანმრთელდი, „ბარსელონას“ სამედიცინო შემოწმება წარმატებით გავიარე. მომავალი სეზონისთვის 100 პროცენტით მზად ვიქნები. გულშემატკივრები ჯილდოებით უნდა გავახარო“.

ანრიმ შარშან „ბარსაში“ თამაშზე უარი განაცხადა, წლეულს კი სიამოვნებით დათანხმდა. ფეხბურთელმა აღნიშნა, რომ „არსენალი“ „ბარსას“ გამო დატოვა: „ვგონებ, იმედები არ უნდა გამიცრუვდეს. მე მომწონს „ბარსელონას“ საფეხბურთო სტილი, თქვენი სტადიონი კი მართლაც ჯადოსნურია“.

პირველი შთაბეჭდილებების შესახებ „ტიტიმ“ თქვა: „რაც აქამდე ვნახე, იმის დასტურია, რომ კარგი ინფრასტრუქტურის კლუბში გადმოვედი, სადაც ხალხი თავის საქმეს შესაშური პროფესიონალიზმით ეკიდება. ყველას უნდა, რომ „ბარსა“ უფრო დიდი და სახელოვანი გახდეს. ამან ძალიან მომხიბლა“.

„ბარსელონას“ 14-ნომრიანი მაისურა ადრე „კამპ ნოუზე“ ლეგენდარული იოჰან კრუიფის საკუთრება იყო. კატალონიური გრანდის ფრანგმა ახალწვეულმა პრესკონფერენციაზე აღნიშნა, ამ მაისურის ისტორია გამაცნეს და ჩემთვის კრუიფის ნომრის ჩაბარება ბედნიერი დამთხვევა არისო.

ანრიმ მედიასთან შეხვედრის დასასრულს სამუელ ეტოოზეც ილაპარაკა და თქვა, რომ სამი წელიწადია, კამერუნელთან გულითადი მეგობრობა აკავშირებს...

„თქვენ, რა თქმა უნდა, იმის გაგონება გსურთ, რომ მე და ეტოო ერთმანეთს ვერ ვიტანთ, თუმცა იმედები უნდა გაგიცრუოთ. კამერუნელი ჩემი მეგობარია და ერთმანეთს დიდ პატივს ვცემთ“ — განაცხადა „ბარსელონას“ ახალმა მოიერიშემ.

გალი ვარსკვლავის შეძენა წლეულს „მილანს“ და „ინტერსაც“ უნდოდათ, მაგრამ „ტიტიმ“ იტალიურ სერია A-ში თამაშს „ბარსელონაში“ გადასვლა ამჯობინა: „მხოლოდ „ბარსა“, სხვა არცერთი კლუბის გაგონებაც ამ მსურდა. დღეს ოცნება ავისრულე, იმ გუნდში მოვედი სათამაშოდ, რომელშიც ყველაზე მეტად მინდოდა“.

დარბაზის დატოვების წინ ტიერი ანრიმ კატალონიური ენის ცოდნით გააკვირვა ადგილობრივები. „ESTIC MOLT CONTENT DE SER AL BARSA“ (ძალიან კმაყოფილი ვარ „ბარსაში“ ყოფნით) — უთხრა ფეხბურთელმა ჟურნალისტებს და მერე დასძინა, ეს ფრაზა „არსენალში“ ჩემმა ყოფილმა თანაგუნდელმა, კატალონიელმა ფრანსესკ ფაბრეგასმა მასწავლაო.

„ბარსათი“ ალტაცება ფრანგმა ვარსკვლავმა „კამპ ნოუზეც“ კატალონიურად გამოხატა, რითაც, ცხადია, ფრიად გაახარა ისედაც მასზე შეყვარებული ინჩასობა.

**ლადო ხომერიკი**

# გზა დაგილოცე!

## ტიერი ანრის არსენ ვენგერმა თბილი სიტყვები გაატანა



მოსწავლე და მასწავლებელი

**არსენ ვენგერისა** და ტიერი ანრის გზები ორჯერ გადაიკვეთა. პირველად ეს „მონაკოში“ მოხდა, როცა მწვრთნელმა 1994 წელს 17 წლის ბიჭი სამთავროს გუნდისთვის იყიდა და ახალგაზრდა „ტიტის“ საფრანგეთის უმაღლეს ლიგაში დებიუტის შანსი მისცა. შემდეგ ისინი ერთმანეთს დასცილდნენ, რადგანაც ვენგერი იაპონიაში წავიდა სამუშაოდ. ანრიმ კი კარიერა „მონაკოში“ გააგრძელა.

შემდეგ იყო ტურინის „იუვენტუსში“ გატარებული რთული წელიწადი და ლონდონის „არსენალი“, სადაც 1999-ში მასწავლებელი საყვარელ მოწაფეს სიხარულით შეეგება.

მაესტრომ და მისმა შეგირდმა 8 სეზონის განმავლობაში „მეთოფეებს“ მრავალი გამარჯვება მოუტანეს, თუმცა მათი შეხმატკბილებული დუეტი ბოლოს მაინც დაიშალა. ანრი „ბარსელონაში“ გადავიდა, ვენგერს კი „არსენალთან“ კონტრაქტი 2008 წლის ივნისში უმთავრდება და, საქმეს ისეთი პირი უჩანს, „ემირატეს სტედიუმზე“ დარჩენას ალარც ის აპირებს. ვინ იცის, იქნებ უახლოეს მომავალში არსენმა და ტიერიმ ისევ ითანამშრომლონ...

ვენგერმა მოწაფე „არსენალის“ ვებგვერდზე ასე დაახასიათა: „ტიერი 1999 წლიდან, ანუ მას შემდეგ, რაც კლუბში მოვიდა, ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანი ფეხბურთელი იყო. ინდივიდუალურად უკიდურესად დახვეწილი და გამორჩეული, იგი გუნდის სასარგებლოდ დიდ სამუშაოს ასრულებდა, რადგანაც გუნდური სულისკვეთებითაა გამსჭვალული. „არსენალის“ უახლესი ისტორიისთვის ტიერი ანრი ნამდვილ ლეგენდად დარჩება“.

ფრანგმა მწვრთნელმა თავისი ყოფილი შეგირდი შეაქო: „მინდა, ტიერი ანრის პირადად ვუთხრა მადლობა 8 სეზონის განმავლობაში ჩვენი გუნდის წინსვლა-განვითარებაში შეტანილი უზარმაზარი წვლილისთვის. შესანიშნავი საფეხბურთო დონე და ამბიცია — ამ ბრწყინვალე კომბინაციამ განაპირობა ის, რომ 49 მატჩის განმავლობაში დაუმარცხებელნი ვიყავით. ეს ხომ ისტორიული რეკორდია. ხსენებულმა კომბინაციამ ტიერის ინდივიდუალური რეკორდებიც დაამყარებინა, მაგალითად, კლუბის ისტორიაში მთავარმეგოლეობა... არ მგონია, ვინმემ მომავალში „ემირატებზე“ ანრის საგოლე მიღწევები გადაფაროს“.

და „ბარსაზეც“: „ტიერიმ „არსენალის“ მიტოვება გადაწყვიტა, მაგრამ იგი ლონდონიდან ჩემგან გზადალოცვილი წავიდა. ანრის ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებ. ეს ყველაზე უფრო მცირეა, რაც ჩვენთვის ასე თავდადებულ ფეხბურთელს შეგვიძლია, ვუსურვოთ“.

**ლადო ხომერიკი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ოქროს ვარსკვლავი

## 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, ფრანგი დიდიე დეშანი

## რა სარგებლობა მოაქვს დიდ გუნდში თამაშს?



# გვირგვინოსანი

— ბატონო დეშან, სანამ 1998 წლის მუნდიალზე დავიწყებდეთ საუბარს, თუ შეიძლება, გაიხსენეთ პირველი მძაფრი ემოცია, მსოფლიოს ჩემპიონატების ყურებისას რომ ალგეძრათ...

— პირველი მძაფრი ემოცია გახლდათ 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალი, რომელშიც საფრანგეთის ნაკრები გერმანიას 3:1-ს უგებდა, მაგრამ გერმანელებმა ანგარიში გაათანაბრეს და საბოლოოდ პენალტებით გაიმარჯვეს. ეს იყო საოცარი იმედგაცრუება.

— როდესაც საფრანგეთის მაშინდელი ნაკრების დიდ მატჩებს უყურებდით, თუნდაც იმავ საფრანგეთ — გერმანიას, ან 1982 წლის საფრანგეთ — ბრაზილიას, თუნდაც წამით წარმოიდგენდით, რომ ერთ მშვენიერ დღეს მსოფლიოს თასს თქვენ ალმართავდით?

— ყმაწვილკაცობაში ქომაგი ვიყავი და, როგორც ფეხბურთელი, „ნანტში“ ვდგამდი პირველ ნაბიჯებს. მსოფლიოს ჩემპიონატი? ის, რა თქმა უნდა, ყველაზე საუცხოო შეჯიბრებაა და ყველას ტელევიზორის გარშემო გვკრებდა, მაგრამ ჩემი ოცნება ამდენს ვერ სწვდებოდა. იმხანად, ჩემთვის მთავარი იყო, პროფესიული კარიერა დამეწყო, ხოლო ნაკრები უკვე შემდეგი ეტაპი იქნებოდა. ბუნებრივია, ჩემი კარიერის მწვერვალი სწორედ მსოფლიოს ჩემპიონობა გახლდათ, მაგრამ იმ წლებში, თქვენ რომ ბრძანებთ, არ მახსოვს, ამაზე მეოცნებოს.

— საინტერესოა, უკვე შემდეგ, როდესაც ნაკრებში მიგიწვიეს, დიდი გამარჯვებების გჯეროდათ? მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს ხომ რაიმონ კოპასა და მიშელ პლატინის დიდმა თაობებმა ვერ მიაღწიეს...

— გამარჯვებისა მხოლოდ 1998 წელს ვირწმუნეთ, რადგან ჩემპიონატი საფრანგეთში ტარდებოდა, ჩვენ კი დიდი გუნდი გვყავდა, თუმცა უამრავი რამ ჩვენზე მაინც არ იყო დამოკიდებული. ისე კი, რასაკვირველია, შინ რომ ვთამაშობდით, ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

— თუ შეიძლება აგვიხსენით, რატომ იყავით კაპიტანი ყველგან, სადაც კი თამაშობდით?

— ამის მიზეზი ჩემს ბუნებაში უნდა იყოს. ყმაწვილკაცობაშიც კი საკმაოდ დალვინებული გახლდით, მერეღა, არც პირადი პრობლემებით ვიყავი განსაკუთრებით დატვირთული და, შესაბამისად, სხვებისთვის ვიცლიდი. კაპიტნობა ჩემთვის ტვირთი არასდროს ყოფილა, ამ ამპლუაში თავს სრულიად ბუნებრივად ვგრძნობდი. საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც სიყმაწვილის გამო კაპიტნად არ მირჩევდნენ, გუნდისთვის და გუნდზე ვფიქრობდი.

— თავის დროზე თქვენს შესახებ მანუელ ამორომ თქვა, ფეხბურთი კარგად ესმისო. სხვებსაც ხშირად უთქვამთ, რომ ყოველთვის გამარჯვებისა და თანაგუნდელებთან ურთიერთობების დამყარების ჟინით იყავით შეპყრობილი. სწორი შეფასებებია?

— დიახ, მართალი ბრძანდებით. მე ხშირად ვერეოდი ტაქტიკურ საკითხებში და თამაშის მსვლელობისას თანაგუნდელებს გამუდმებით ველაპარაკებოდი. ალბათ, ეს ჩემი, დაცვაზე ორიენტირებული ნახევარმცველის ამპლუითაც გახლდათ განპირობებული. ამ ამპლუის კაცი ყოველთვის მოვლენათა შუაგულშია. მე ყოველთვის კარგად ვიცოდი, როგორ გამენაწილებინა ჩემი ენერგია, გამარჯვების წყურვილი და ნებისყოფა. ფეხბურთისადმი ჩემი დამოკიდებულება ასეთი გახლდათ: გართობისთვის კი არა, გამარჯვებისთვის ვთამაშობ. დიახ, ფეხბურთელისთვის საკუთარი თამაშით სიამოვნება ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა გამარჯვების სურვილი ჩემთვის მუდამ ამაზე ზევით იდგა.

— რა თვისებებით უნდა იყოს იდეალური კაპიტანი დაჯილდოებული?

— ამ კითხვაზე პირდაპირი პასუხის გაცემა ძნელია, რადგან კონკრეტულ ადამიანზეა დამოკიდებული. ვფიქრობ, ფრანც ბეკენბაუერი იყო გამორჩეული კაპიტანი თავისი განსაკუთრებული აურითა და ქარიზმით. მას თავის თანაგუნდელებზე დიდი გავლენა ჰქონდა. ნამდვილად დიდ პატივს ვცემ ფრანკო ბარეზის. მე მქონდა პატივი, მის წინააღმდეგ მეთამაშა — ის „მილანში“ გამოდიოდა, მე კი „იუვენტუსში“. ჩვენ ერთმანეთს სანაკრებო დონეზეც შევხვედრივართ. ბარეზი მოედანზე აბსოლუტურად მშვიდი გახლდათ, მაგრამ ამის მიუხედავად თავისი გუნდის თამაშზე დიდ გავლენას ახდენდა.

— მაშ, 1998 წელს დავუბრუნდეთ. მაშინ ემე ჟაკემ საფრანგეთის ნაკრები დანარჩენ მსოფლიოს ორი თვით დაუმალა. რა ხდებოდა იმ ორი თვის განმავლობაში? რა ურთიერთობები იყო ბიჭებს შორის?

— ბუნებრივია, საფრანგეთის ნაკრების ყოველ ფეხბურთელს თავისი ხასიათი ჰქონდა და სხვათაგან თავისი წილი უცნაურობა თუ თვისება გამოარჩევდა, მაგრამ მთავარი ეს არ იყო, მთავარი გახლდათ ის, რომ მოძრაობა ყველას ერთი მიმართულებით სურდა და ყველამ იცოდა, რომ გზა ბოლომდე ერთად უნდა გაგვევლო. გუნდის ხელმძღვანელობა ამაში ყოველმხრივ გვეხმარებოდა ხელს. ცდილობდა, ფეხბურთელების საუკეთესო პირობები შეექმნა, რათა ჩვენ საუკეთესო ფეხბურთი გვეთამაშა. დამეთანხმებით, ჩაკეტილ გარემოში 30 ადამიანის თანაცხოვრება და მით უმეტეს, ამ ხალხის ხელმძღვანელობა, ადვილი საქმე არ არის. ასეთ დროს ხელმძღვანელმა ყოველდღიურ საკითხებს უნდა დაუთმოს დიდი ყურადღება, უმცირესი პრობლემაც კი არ უნდა დატოვოს უყურადღებოდ. ემე ჟაკე გუნდს შიგნიდან გრძნობდა. მე, როგორც კაპიტანი, მას დასკვნებისთვის აუცილებელ ინფორმაციას ვაწვდიდი, ის კი მიამბობდა, რას აპირებდა. ერთი სიტყვით, ჩვენი ურთიერთობები პატივისცემასა და ნდობაზე იყო აგებული. ცხადია, კარგ ურთიერობებს დიდად ეხმარებოდა კარგი შედეგებიც.

— ჟაკე გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად იღებდა? მაგალითად, რომელ ექვს ფეხბურთელს უნდა დაეტოვებინა ბანაკი მსოფლიოს ჩემპიონატის წინ, ჟაკემ თავად განსაზღვრა?

— ჟაკეს თავისი ასისტენტები ჰყავდა: ფილიპ ბერჟერო, როჟე ლემერი და ანრი ემილი. ეს ხალხი ნაკრების მართვაში დიდ მონაწილეობას იღებდა, მაგრამ საბოლოო სიტყვა ყველა საკითხში, ბუნებრივია, ემე ჟაკესი იყო. ვფიქრობ, ეს ნორმალურია და ჩვენც ასე ვმუშაობდით.

— ისე მოხდა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი თამაში მარსელის „ველოდრომზე“ ჩაატარეთ, ასე ვთქვათ, მშობლიურ კედლებში — თქვენ ხომ ადრე „მარსელში“ თამაშობდით. მართალია, რომ ორი წლის განმავლობაში მხოლოდ ამხანაგურ შეხვედრებს დაჩვეული საფრანგეთის ნაკრები ამ მატჩმა მოიყვანა გონს?

— მართალია. ჩვენ კარგა ხანი ვიყავით ოფიციალური მატჩის, ნამდვილი ბრძოლის გარეშე და არ ვიცოდით, საით მივემართებოდით. სამხრეთ აფრიკასთან მატჩი ჩინებული გამოდგა. „ველოდრომი“ გადაივსო და ხალხმა საოცარი მხარდაჭერა გვაგრძნობინა. იმ დღეს გამარჯვებამ საკუთარი შესაძლებლობების რწმენა ჩაგვინერგა, კრიტიკოსები ცოტათი მაინც გაჩუმდა და მოგებათა რელსებზე დაგვაყენა.

— იმ დღეს თქვენ ძლიერი კრიტიკოსი ეჭვები და ძლიერი ქარი, მისტრალი...

— დიახ, მისტრალმა ძალიან გაგვირთულა საქმე. თამაშის წინა დღეს ხომ საერთოდ, კოშმარული ვარჯიში გვქონდა. ბურთს პირდაპირ ვერ ვურტყამდით. ამას ემატებოდა ის, რომ გვესმოდა, ჩვენზე რასაც ლაპარაკობდნენ. გვესმოდა ისიც, თუ რას ლაპარაკობდნენ ემე ჟაკეზე, როგორც მწვრთნელზე და ასე განსაჯეთ, ადამიანზეც კი. ასეთი გარემოს დაძლევა გუნდისთვის მეტისმეტად ძნელი იყო, მაგრამ ჩვენ ერთსულოვანნი ვიყავით და სირთულე გადავლახეთ.

— ამრიგად, სწორედ პირველი თამაში გამოდგა ის მოსახვევი, რომლის გავლის შემდეგ თქვენ ერთმანეთს უთხარით: მორჩა, ჩვენ სწორ გზაზე გავედით?

— არა, იმ შეხვედრაში კარგად ვითამაშეთ და სამი გოლის შეგდება მოვახერხეთ, მაგრამ ეს გადამწყვეტი და ყველაზე მთავარი დღე არ ყოფილა. ძნელი არ იყო იმის მიხვედრა, რომ ჯგუფში, რომელშიც ჩვენს გარდა სამხრეთ აფრიკა, საუდის არაბეთი და დანია გამოდიოდნენ, ჩვენ გამარჯვების დიდი შანსი გვქონდა. გზა ჯგუფური ეტაპის მერე გართულდა.

— ალბათ, მეორე გამოცდა პარაგვაი იყო. მაშინ ხოსე ლუის ჩილავერტი საუცხოო ფორმაში გახლდათ...

— დიახ, პარაგვაის საუცხოო ნაკრები ჰყავდა, ჩინებულად ორგანიზებული. თან, ისიც სათქმელია, რომ მაინც და მაინც იმ დღეს ჩვენ საუკეთესო ფორმაში არ ვიყავით. ლორან ბლანის დიდებულ, მხსნელ გოლამდე ბრძოლა დაგვჭირდა. ჩვენ და პარაგვაელები თანაბრად ვთამაშობდით, ჩილავერტი კი დიდებული იყო. ახლა, ცხადია, იმ დღეს ველარ დააბრუნებ, რაც მოხდა, ის მოხდა, მაგრამ საქმე პენალტებამდე რომ მისულიყო, შესაძლოა, ჩვენთვის დიდი კატასტროფაც დატრიალებულიყო.

— „ოქროს გოლის“ წესი სათქვენო გამოდგა...

— „ოქროს გოლის“ წესის არც განსაკუთრებული მომხრე ვყოფილვარ და არც მოწინააღმდეგე. დამატებითი დრო ისედაც დიდი დატვირთვაა. მართალია, მე გამარჯვებული გუნდის ფეხბურთელი ვიყავი, მაგრამ გოლზე თამაში რომ შეწყდა, მეც მეხამუშა. ისე, ალბათ, გუნდებისთვის მაინც ის სჯობს, გაშვებული გოლის შემდეგ დარჩენილი დრო შეაფასონ, ძალ-ღონე მოიკრიბონ და ანგარიშის გათანაბრება სცადონ.

— შემდეგ იყო თამაში იტალიის ნაკრებთან, რომლის წინააღმდეგაც საფრანგეთის გუნდმა სერია A-ს ხუთი ფეხბურთელით დაიწყო თამაში. ერთი მათგანი თქვენ იყავით. ეს გამოგადგათ?

— იცით, საფრანგეთის ნაკრების წარმატება მსოფლიოს ჩემპიონატზე დიდად იყო განპირობებული იმით, რომ ბევრი ჩვენგანი უცხოეთში განსაკუთრებით კი იტალიის კლუბებში გამოდიოდა. მახსოვს, ჩვენი და იტალიის ნაკრების თამაშის წინა დღეს „კორიერე დელო სპორტი“ წერდა, მონსტრები ჩვენ ვშობეთო. დიახ, იტალიაში თამაშმა ჩვენ ძალიან გაგვზარდა, როგორც ფეხბურთელები. ამის უარყოფა შეუძლებელია, რადგან მანამდე საფრანგეთის ნაკრებს არაფერი მოეგო.

— ვფიქრობთ, საკვანძო იყო ხორვატიის ნაკრებთან ნახევარფინალური შეხვედრის შესვენებაც...

— არ გამოვრიცხავ, რომ ჩვენ ფსიქოლოგიური პრობლემის წინაშე ვიდექით. ერთი მხრივ, არსებობდა ნახევარფინალის კომპლექსი — 1982 წელს ჩვენ სწორედ ნახევარფინალში დავმარცხდით, მეორე მხრივ კი, ცუდად მოქმედებდა ის ფაქტი, რომ ჩვენ აშკარა ფავორიტად მიგვიჩნევდნენ. ემე ჟაკე გვაფრთხილებდა, რომ ჩვენ საქმე გვქონდა ძალიან ტექნიკურ გუნდთან, რომელსაც თამაშის მსვლელობისას ტემპის და რიტმის მომატება შეეძლო. მწვრთნელი გვეუბნებოდა, რომ ხორვატები ურთულეს პერიოდებსა და სიტუაციებს ულებდნენ ალღოს. ასე ვთქვათ, ჟაკემ საყელოში ჩაგვავლო ხელი და აგვწია, თორემ ჩვენ უკვე რაღაც ძალიან მნიშვნელოვანს ვუშვებდით ხელიდან. მართალია, ჟაკეს მეთოდმა მყისიერად ვერ იმოქმედა, მაგრამ საბოლოოდ გაჭრა — მეორე ტაიმში ხორვატები დაწინაურდნენ, მაგრამ ჩვენ არ გავტყდით, სიტუაციას მალე ავუღეთ ალღო, ჯერ გავათანაბრეთ ანგარიში და შემდეგ გამარჯვების გოლიც გავიტანეთ.

— და ფინალი? თქვენი, როგორც კაპიტნის როლი რა იყო?

— მთავარი იყო, დეტალებზე გვეფიქრა, რადგან ჩვენ ბრაზილიას ვხვდებოდით, ბრაზილიას კი ნებისმიერი წვრილმანის გამოყენება შეუძლია. ტექნიკისა და ტაქტიკის თვალსაზრისით, საუცხოოდ ვიყავით მომზადებული. საშინლად ცხელოდა. შევგრძნება, რომ ჩვენ გავიმარჯვებდით, არ მოგვშორებია.

— იცოდით, რომ ფინალის წინ რონალდო ავად გახდა?

— არა. ჩვენ ვკითხულობდით მეტოქის შემადგენლობას და ვხედავდით, რომ ბრაზილიელთა ბანაკიდან ამ სიის სხვადასხვა ვარიანტები მოდიოდა, რამაც გაგვაბრაზა: მაგათ რა, იდიოტები ვგონივართ? დაგვცინიან? რონალდოს ჯანმრთელობის სამწუხარო ამბავი მერეღა შევიტყვეთ.

—ამ თამაშისთვის ლორან ბლანი დისკვალიფიცირებული. ალბათ, ეს პრობლემა ძალიან გაწუხებდათ...

ეროვნული ბიბლიოთეკა





— რა თქმა უნდა. ძალიან, ძნელი წარმოსადგენია, რა განცდებს და გულისტკივილს გაუძლო ბლანმა ნახევარფინალიდან ფინალამდე ოთხ დღეში, მაგრამ ის ამ ემოციებს გულში იკლავდა, გარეგნულად კი, ბიჭებთან არაფერს ამჟღავნებდა.

— თქვენ ზინედინ ზიდანის ორი გოლი შორიდან ნახეთ — თავად დაცვის დასაზღვევად უკან რჩებოდით...

— განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პირველი გოლი იყო, ვინაიდან მან დაგვაწინაურა და საკუთარ ძალებში ერთხელაც დაგვარწმუნა. მეორე გოლმა, რასაკვირველია, კიდევ უფრო დიდი სხვაობით გაგვიყვანა წინ. შესვენებისას, გასახდელში, ჩვენ ვგრძნობდით, რომ საქმე ცუდად აღარ წავიდოდა. სწორედ ამით არის დიდი გუნდი დიდი: მას ვითარების კონტროლი შეუძლია, შეცდომების რაოდენობა მინიმუმამდე აქვს დაყვანილი. დიდ გუნდში თამაში უდიდესი სიამოვნებაა.

— ცნობილია, რომ თქვენ ბევრჯერ გითქვამთ: ძლიერ გუნდებსა და ფეხბურთელებს ფინალი ავლენს...

— დიდი თამაშების ბედს დიდი ფეხბურთელები წყვეტენ. ჩვენთან ასეთი ზიდანი იყო.

— თქვენ ბაიონიდან ხართ, იქ კი მთავარი ოვალური ბურთია. რაგბის ერთი თვისება აქვს, ზუსტად ხვდები, როდის დამარცხდა მოწინააღმდეგე. ფეხბურთშიც ასეა?

— დიახ. ნამდვილად ძლიერი გუნდი თავის ძლიერებას ასეთ დროს გრძნობს. იმის თქმა არ მინდა, რომ მეტოქეს რასაც გინდა, იმას გაუკეთებ, მაგრამ გონს მოსაგებად და ვითარების გამოსასწორებლად დროს და საშუალებას აღარ მისცემ.

— საფინალო სასტვენის შემდეგ პირველი რა გაიფიქრეთ?

— ეიფორიაში ვიყავი, რა მოხდა, ზუსტად ვერც ვხვდებოდი. მსოფლიოს ჩემპიონობის ნამდვილი მნიშვნელობა მერეღა გავიგეთ, დრო რომ გავიდა. მოედანზე კი მართლა ყველას ვჯობდით.

— ამრიგად, ეს თქვენი კარიერის მწვერვალი იყო...

— ცხადია. მე ვიყავი საფრანგეთის ნაკრების ისტორიაში პირველი კაპიტანი, რომელმაც კიბე აიარა და მსოფლიოს თასი აღმართა. ბედნიერი კაცი გახლავართ, ცხოვრებაში რამდენიმე დიდი ტიტული მომიგია, მაგრამ ეს გვირგვინი იყო.



# არავითარი შუსტერი!

## სანამ რეალი ლაუდრუპზე, ვენგერსა და კუმანზე მკითხაობს, გუნდი მაინც კაპელოს ემხრობა

**ესპანეთის** სატახტოში დიდი არეულობაა, აქამდე მადრიდის „რეალის“ მომავალი მწვრთნელის ვინაობა თითქოს ყველამ იცოდა — ეს „ხეტაფეს“ ამჟამინდელი თავკაცი ბერნდ შუსტერი უნდა ყოფილიყო, თუმცა აღმოჩნდა, რომ არც ისეა საქმე, როგორც „ბერნაბეუზე“ ეგონათ...

საქმე ისაა, რომ ფაბიო კაპელო „რეალის“ მწვრთნელობიდან ჯერ ოფიციალურად არ წასულა. თუ შუსტერის ტრანსფერი განხორციელდა, მაშინ იტალიელი სამეფო გუნდისგან კომპენსაციის სახით 18 მილიონ ევროს მიიღებს — დონ ფაბიოს ხომ კასტილიურ გრანდთან კონტრაქტი კიდევ ორი წლით აკავშირებს.

და შუსტერი? ამ კაცმა რამდენიმე დღის წინ მადრიდულ „ასთან“ ინტერვიუში „რეალის“ შესახებ ისე დამაჯერებლად, ისეთი დიდაქტიკური ტონით ილაპარაკა, რომ ესპანეთში ირონიულად თქვეს, გერმანელი „ბერნაბეუზე“ ცოტა ხანში კი არ მოვა, არამედ სულ იყო და ჩვენ რომ „რეალში“ მწვრთნელად სხვა სპეციალისტი გვეგონა, ეტყობა, ის შუსტერი ყოფილაო. მაგრამ...

გაირკვა ისიც, რომ „ბერნარდოს“ ძალიან უყვარს თავისი „ხეტაფე“. ამაზე მავანი გაიცინებს, სად მადრიდის „რეალის“ მწვრთნელობის შესაძლებლობა და სად „ხეტაფე“, თუმცა ვითარება არც მთლად ასე მარტივადაა. 2006-07-ის სეზონში „ბარსელონას“ და „ვალენსიას“ გამამწარებელმა და გუნდის სამეფო თასის ფინალში გამყვანმა შუსტერმა ბანკეტზე ცრემლმომდგარმა უთხრა „ხეტაფეს“ პრეზიდენტ ანხელ ტორესს: „მშვიდად იყავი, იცოდე, რომ მე თქვენთან დავრჩები!“

სიხარულისგან ფრთაშესხმულმა ტორესმაც ესპანურ ტელევიზიას მხნედ განუცხადა: „შუსტერი და „რეალი“? ეგ თემა დაივიწყეთ.. იმედი მაქვს, „ბერნარდო“ თანამშრომლობას ჩვენთან გააგრძელებს. ორსამ დღეში ამ გაუგებრობას ბოლოს მოვუღებთ და ყველაფერი გაირკვევა“.

ახლა კი ყველაზე მთავარი და საინტერესო. თუ არც გერმანელი და არც კაპელო, მაშინ ვინ უნდა ჩაიბაროს სამეფო გუნდი? „რეალის“ სპორტულ დირექტორ პრედრაგ მიატოვიჩს დანიელი მიქაელ ლაუდრუპის მიყვანა უნდა.

ლაუდრუპი თავის ქვეყანაში „ბრონდბიუს“ თავკაცობდა და ეს გუნდი ორი წლის წინ დანიის ჩემპიონი გახადა, 2003 და 2005 წლებში კი დანიის თასიც მოაგებინა.

დანიელს აქამდე უელსის „რეკრეატივო“ ეპატიჟებოდა, თუმცა უარი თქვა — უელვაში ინგლისურენოვანი კოლეჯი არ გაქვთ, სადაც ჩემი შვილები ისწავლიდნენო. ახლა კი უცებ „რეალი“ გამოჩნდა...

კიდევ ვინ არიან სამეფო თეთრების მწვრთნელობის კანდიდატები? არსენ ვენგერი და რონალდ კუმანი. თუმცა „რეალის“ ფეხბურთელთა დიდ ნაწილს (ამ ბანაკს გუნდის კაპიტანი რაული მეთაურობს) უცხო კაცის მოყვანა არამც და არამც არ სურს — ესენი ფაბიო კაპელოს მომხრენი არიან...

**ლადო ხომერიკი**


მიქაელ ლაუდრუპი


არსენ ვენგერი


რონალდ კუმანი

# ლოტინა გალისიაში დაბრუნდა

**სეგუნდა** დივიზიონში ჩაქვეითებული „სოსიედადის“ ყოფილი თავკაცი მიგელ ანხელ ლოტინა „დეპორტივოს“ მწვრთნელად დანიშნეს.

ბასკურ კლუბში იგი გასული წლის ოქტომბრიდან მუშაობდა, პრიმერადივიზიონში ადგილი ვერ შეუნარჩუნა და გადადგა. ლოტინას „სელტაშიც“ უმუშავია და გალისიური გუნდი 2003 წელს ჩემპიონთა ლიგაში გაიყვანა. ახლა ისევ გალისიაშია და „სელტას“ მეტოქის მწვრთნელი გახდა. მან სახელი 90-იანი წლების ბოლოს გაითქვა, როცა ჯერ „ნუმანსია“, მერე კი „ოსასუნა“ პრიმერადივიზიონში აიყვანა. „სელტას“ შემდეგ „ესპანიოლში“ იყო და შარშან ესპანეთის თასი მოაგებინა.

43 წლის ლოტინამ „დეპორტივოში“ ხოაკინ კაპაროსი შეცვალა, რომელსაც „ბილბაო“ ეპატიჟება.

**ვაჟა ხუციშვილი**

# მიჭირს, მაგრამ არ მიკვირს

## მესი სავიოლას ვერ იმეტებს

**ლეო მესიმ** თქვა, ხავიერ სავიოლას მადრიდის „რეალში“ გადასვლასთან შერიგება ძალიან გამიჭირდება, მაგრამ „ბაჭია“ ჩემი ძმაბიჭია და რომელ გუნდშიც უნდა გადავიდეს, მინდა, მისი საქმეები საუკეთესოდ წარიმართოსო: „მართალი გითხრათ, ხავიერის მადრიდულ მაისურაში ნახვა გამიჭირდება, რადგანაც სულ რამდენიმე ხნის წინ მე და ის „ბარსელონაში“ ერთად ვთამაშობდით. სავიოლა ჩემი მეგობარია და ყოველივე კარგს ვუსურვებ, თუნდაც მან „რეალში“ თამაში გადაწყვიტოს“.



ესპანურმა „მარკამ“ ჯერ კიდევ 26 აპრილს აცნობა ქვეყანას, რომ „ბარსელონას“ ძირითადში ვერმოხვედრით უკმაყოფილო სავიოლას „რეალის“ აგენტებმა მიაკითხეს და „ბაჭიასაც“ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გადასვლაზე უარი არ უთქვამს. მესი კი ამბობს, რომ ესმის, მისი თანამემამულე და მეგობარი „ბარსას“ დაუძინებელ მტერთან მოლაპარაკებაზე რატომ დათანხმდა: „ბარსელონაში“ ხავიერს თავის გამოჩენის ნაკლები შანსი ჰქონდა და სავსებით ნორმალურია, კარიერის სასიკეთოდ სხვა კლუბს რომ ეძებს. „რეალი“ კი გრანდია და სავიოლას შესანიშნავ შესაძლებლობას მისცემს. მჯერა, თუ „ბაჭია“ საბოლოოდ „ბერნაბეუზე“ წასვლას დათანხმდა, მადრიდული გუნდი ამით დიდ მოიგებს“.

**ლადო ხომერიკი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ოთხგოლიანი სამწლიანში

**„მარსელის“** თავდამსხმელმა ტოიფილუ მაულიდამ „ოსერთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

27 წლის მეგოლემ კარიერა „მონპელიეში“ დაიწყო, შემდეგ კი „რენში“, „მეცსა“ და „მონაკოში“ თამაშობდა. გასულ სეზონში მაულიდამ „მარსელის“ მაისურით 4 გოლი გაიტანა.

## ემრეს სურათი

**„ნიუკასლის“** თურქ ნახევარმცველ ემრე ბელოზოღლუს გუნდში დარჩენა სურს. მას „ფენერბაჰჩე“, „გალათასარაი“ და მიუნხენის „ბაიერნიც“ კი ეპატიჟებოდნენ, მაგრამ 26 წლის თურქმა თქვა: „აქ ბედნიერი ვარ და წასვლას არ ვაპირებ. ბევრი თურქული გაზეთის პირველ გვერდზე ვნახე ჩემი ფოტო. რა ფულიც არ უნდა შემომთავაზონ „გალამ“ ან „ფენერმა“, კარიერის გაგრძელებას ინგლისში ვამჯობინებ“.

ემრე „ნიუკასლში“ 2005 წელს „ინტერიდან“ გადავიდა. მასში 3 მილიონ 800 ათასი გირვანქა გადაიხადეს.

## აყლაყუდაც გაურიეს

**26 მილიონ** გირვანქად შეფასებული ფერნანდო ტორესის ტრანსფერში „ლივერპულმა“ ეგებ პიტერ კრაუჩი გაურიოს — წერს „დეილი სტარი“. მადრიდის „ატლეტიკოს“ ტორესში თავიდან 18 მილიონს და ჯიბრილ სისეს, მერე ფულს და ლუის გარსიას სთავაზობდნენ, მაგრამ იუარა. ახლა პიტერ კრაუჩს უპირებენ მადრიდში გაგზავნას.

## თოფების გამგე

**ამ კვირაში** ჟილ გრიმანდის „არსენალის“ ტექნიკურ დირექტორად ოფიციალურად დაამტკიცებენ. „გარდიანის“ ცნობით, გადაწყვეტილება გასულ პარასკევს მიიღეს, როცა კლუბის შეფობა „ბარსაში“ ანრის გადასვლასთან დაკავშირებით შეიკრიბა.

„არსენალის“ ყოფილი ნახევარმცველი გრიმანდი დევიდ დინის ადგილს დაიკავებს, რომელიც ათი წლის განმავლობაში მუშაობდა „არსენალში“. დინი კლუბიდან მაისში წავიდა, რადგან შეიტყო, რომ აპირებდნენ, „არსენალი“ ამერიკელი ბიზნესმენისთვის მიეყიდათ. გრიმანდი ამიერიდან „მეთოფეების“ სატრანსფერო საქმეებს უხელმძღვანელებს.

## აგენტის ორი კლიენტი

**პორტუგალიური** „ა ბოლას“ ცნობით, „ჩელსი“ და „ბარსელონა“ სპორტინგელი ტიაგუ პინტუთი დაინტერესდნენ, რომელიც, ცხადია, უკეთეს გუნდში გადასვლას არ იუარებს. ჟოზე მაურინიუს და 19 წლის პინტუს ერთი აგენტი ემსახურება და ამ ფაქტმა შეიძლება „ჩელსის“ სასარგებლოდ იმუშაოს ტრანსფერისას.

„ბარსაც“ კარგა ხანია, აკვირდება 19 წლის ნახევარმცველს და ერთხელ უკვე სცადა მისი ყიდვა.

## ინტერტოტო მარკესისთვის

**მადრიდის** „ატლეტიკო“, რომელიც ივლისის ბოლოს ინტერტოტოს ტურნირში ჩაერთვება, დაცვის გაძლიერებას აპირებს. მათ „ბარსელონადან“ რაფაელ მარკესის ყიდვა უნდათ. „ატლეტიკოს“ მექსიკელ მწვრთნელ ხავიერ აგირეს აზრით, მარკესი გუნდის დაცვას ერთიორად გააძლიერებს.

„ბარსაში“ იაია ტურეს მისვლის გამო იქ მექსიკელის ადგილი აღარ რჩება.

## მაიტა მოტა

**„კალჩომერკატოს“** ცნობით, „მილანმა“ „ბარსელონას“ ტიაგუ მოტას ფასი ჰკითხა. ბრაზილიელმა ნახევარმცველმა გასულ სეზონში თავი ვერაფრით ვერ დაამახსოვრა ფრანკ რაიკარდს და ალბათ გუნდიდან გაუშვებენ.

„მილანს“ მოტას ვარიანტი მას შემდეგ გაახსენდა, რაც „რეალიდან“ ემერსონის, „ლივერპულიდან“ კი სისოკოს გადაბირება ვერ შეძლო.

## მაინც დეკუ

**„ინტერი“** არ ეშვება დეკუს — წერს „ტუტოსპორტი“ — და ორიოდ დღის წინ ფეხბურთელის აგენტსაც დაუკავშირდა.

მიუხედავად იმისა, რომ ლუიშ ფიგუმ „ინტერთან“ კონტრაქტი ერთი წლით გაახანგრძლივა, „შავ-ლურჯები“ მაინც ცდილობენ დეკუს გადაბირებას, რომელმაც არაერთი საყვედური მოისმინა „ბარსას“ შეფებისგან გასულ სეზონში სუსტი თამაშის გამო.

## სანია: გამიშვით!

**„ოსერის“** მცველი ბაკარი სანია „არსენალში“ გადადის — წერს SKY. ფრანგულ კლუბს არ ეთმობა ფეხბურთელი, მაგრამ თვითონ ასე ამბობს: „ვარჯიშზე თუ თამაშზე ყოველთვის ბოლომდე ვიხარჯებოდი, რათა რომელიმე დიდ გუნდში გადავსულიყავი. ახლა სწორედ ასეთი შანსი მაქვს და ვიმედოვნებ, რომ კლუბი არ შემაფერხებს“.

## კატჩავი მორიგებას ელის

**„ვესტ ჰემის“** ფეხბურთელ იოსი ბენაიუნის აგენტმა რონენ კატზავმა განაცხადა, რომ მის კლიენტს „ლივერპულში“ გადასვლის იმედი არ დაუკარგავს: „ვიმედოვნებთ, კლუბები მალე შეთანხმდებიან და იოსი „ლივერპულის“ მაისურას მოირგებს. როცა ასეთი სახელოვანი კლუბი გეპატიჟება, უარს ვერ იტყვი“.

**გაგა ხუციშვილი**

# ტრეზეგე დარჩა, ნედვედი და კამორანეზი ფიქრობენ



**რამდენიმე** კვირის წინ დავიდ ტრეზეგემ განაცხადა — „იუვენტუსის“ ახლანდელი ხელმძღვანელობა პატივს არ მცემს, ისეთი სასაცილო კონტრაქტი შემომთავაზეს, ჯობდა, პრიდაპირ ეთქვათ, აღარ გვჭირდებიო. ამიტომ მივდივარ და ჩემი 140 გოლიც თან მიმაქვს.

ბუნებრივია, ამის მერე ყველა ამბობდა, 99 პროცენტით გადაწყვეტილია, რომ ტრეზეგე „ბიანკონერიდან“ წავაო. თუმცა ხდება ხოლმე ისეც, რომ 99 პროცენტს ის ერთი დარჩენილი ჯობნის და ეს შემთხვევაც ამის მაგალითია — ფრანგმა ფორვარდმა „ბებერ ქალბატონთან“ ახალი, ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

„ძალიან მიხარია. ეს ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო ჩემს კარიერასა და ცხოვრებაში. ამ კლუბმა ბევრი რამ მომცა და მინდა, მასთან ერთად წარმატებების მიღწევა გავაგრძელო. ბოლო ორ კვირაში ხელმძღვანელობამ იმხელა ყურადღება და პატივისცემა გამოიჩინა, რომ ძველი გაუგებრობა უკვე დავივიწყეთ“ — თქვა ტრეზეგემ.

„იუვეს“ გენერალური დირექტორი ჟან-კლოდ ბლანი: „დავიდთან საკმაოდ ხანგრძლივი მოლაპარაკება გვქონდა და საბოლოოდ მივაღწიეთ შეთანხმებას, რითაც ორივე მხარე კმაყოფილი დარჩა. ჩვენ ყოველთვის გვინდოდა მისი შენარჩუნება. ტრეზეგე უკვე შევიდა კლუბის ისტორიაში, როგორც ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ფეხბურთელი.“

ამბობენ, მალე ალბათ მაურო კამორანეზი და პაველ ნედვედიც გაახანგრძლივებენ კონტრაქტებსო. ნედვედის აგენტმა ცოტა ხნის წინ კი თქვა, ჩემმა კლიენტმა შეიძლება კარიერა დაასრულოსო, მაგრამ „ბიანკონერის“ პრეზიდენტ ჯოვანი კობოლი ჯილის სჯერა, რომ ვეტერანი ჩეხი კიდევ ერთი წლით დარჩება.

„ჩემი აზრით, ნედვედი, სულ მცირე, კიდევ ერთ სეზონს ითამაშებს. უბრალოდ, ჩვენ უნდა ვაჩვენოთ და ავუხსნათ პაველს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია იგი გუნდისთვის“ — აღნიშნა კობოლი ჯილიმ.

„იუვეს“ პრეზიდენტს იმაზე ჰკითხეს, ბოლო 13 წლის მანძილზე გუნდის ყოფილ დირექტორსა და კონსულტანტს, ახლახან წასულ რობერტო ბეტეგას ვისით შეცვლით და გაბრიელ მილიტოს ტრანსფერზე რა ხდებაო...

„რატომ უნდა შევცვალოთ ბეტეგა? დარწმუნებული ვარ, მწვრთნელი კლაუდიო რანიერი, სპორტული დირექტორი ალესიო სეკო და გენერალური დირექტორი ჟანკლოდ ბლანი ყველაფერს გაართმევენ თავს. რაც შეეხება მილიტოს, იგი გუნდს ძალიან გამოადგებოდა, მაგრამ „სარაგოსას“ უკვე ვუთხარით ჩვენი ბოლო სიტყვა, რომელსაც არ გადავთქვამთ. თუ ეს ვარიანტი არ გამოვა, სხვა არანაკლებ ძლიერი კანდიდატებიც გვყავს“ — დასძინა კობოლი ჯილიმ.

**გიორგი ქაქაბაძე**

# თურქები სევილიას შეესივნენ

**თურქულ** ფეხბურთში დიდი ფული ტრიალებს და ოსმალო ემისრებიც „სევილიას“ ესტუმრნენ — „ბეშიქთაშის“ უფროსობას წლეულს ანდალუზიელთა წარმატებები ყურადღების მიღმა არ დარჩენია.

სტამბოლელი „არწივების“ აგენტები „სევილიას“ ლუიშ ფაბიანოს წარმომადგენელს ესაუბრნენ. მიუხედავად თურქთა დიდი ინტერესისა, გაირკვა, რომ ფაბიანო „სევილიას“ მხოლოდ იმ შემთხვევაში დატოვებს, თუ მას ინგლისური ან იტალიური კლუბი შეეხმიანება.

ლუიშ ფაბიანოს ღირებულება 10 მილიონი ევროა.

თურქების სატრანსფერო სამიზნეზეა „სევილიას“ კიდევ ერთი ბრაზილიელი რენატო, რომელმაც კლუბთან კონტრაქტი ცოტა ხნის წინ გაახანგრძლივა და მისი ტრანსფერი ალბათ გაჭირდება.

თუმცა „ბეშიქთაშს“ მარტო ბრაზილიელები არ აინტერესებს. თუ „არწივები“ ჯიბეზე ხელს გაიკრავენ, შეიძლება, სერბი მცველი ივიცა დრაგუტინოვიჩი იყიდონ.

**ლადო ხომერიკი**

# მითხარი, რა მანქანა გყავს და გეტყვი...

## დარიუს ვასელი

თავდამსხმელი

დაიბადა 1980 წლის 13 ივნისს ბირმინგემში

სიმაღლე: 1,71 მეტრი

წონა: 76 კგ

კარიერა: 1997-2005 წლები — „ასტონ ვილა“

(167 მატჩი, 42 გოლი),

2005 წლიდან — „მანჩესტერ სიტი“

(77 მატჩი, 15 გოლი)

2002 წლიდან თამაშობს ინგლისის ნაკრებში

(22 მატჩი, 6 გოლი)







## MERCEDES ML63

გამოშვების თარიღი: 2006 წელი

სიგრძე: 4,788 მეტრი

სიგანე: 1,910 მეტრი

სიმაღლე: 1,815 მეტრი

წონა: 2 150 კგ

ცილინდრი: 8

ძრავის კუბატურა: 6,2

ავტომატური გადაცემათა კოლოფი

სიჩქარე: 348 კმ/სთ

100 კმ/სთ-ს ავითარებს 4,8 წამში

ფასი: 70 000 გირვანქა

ეროვნული ბიბლიოთეკა




# კალჩო იტალია დიდ ჭაობშია

## ახალი ბრალდებები: ფეხბურთელებზეც და კლუბებზეც

**იტალიის** ნაკრებისა და „პალერმოს" ფეხბურთელ დავიდე დი მიკელეს ბრალად ედება ტოტალიზატორში არალეგალური თამაში. ამის შესახებ იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ განაცხადა. დი მიკელეს გარდა, ბრალდებულები არიან მასიმო მარჯოტა („ვიჩენცა"), ტომას მანფრედინი („ატალანტა") და ვინჩენცო სომეზე („მანტოვა").

ოთხეული იტალიის ჩემპიონატის მატჩებზე ფსონების დადებაში ამხილეს. მათ ეს არაპირდაპირ, ვილაცის დახმარებით გააკეთეს და დამნაშავეებად თუ ცნეს, სამი თვიდან სამ წლამდე დისკვალიფიკაცია ემუქრებათ.

გარდა ამისა, პოლიციაში არის საქმეები კლუბებზეც — „მანტოვა", „ვიჩენცა" და „უდინეზე" ეჭვმიტანილები არიან მატჩების გარიგებაში.

იტალიაში ფეხბურთელებს უკვე დიდი ხანია, აკრძალული აქვთ ფულის დადება შინაური ჩემპიონატის მატჩებზე. შარშან თვით ჯანლუიჯი ბუფონიც კი იყო ეჭვმიტანილი, მაგრამ სუფთად გამოძვრა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# გავყიდო და გავიქცე?



**„მილანის"** პრეზიდენტმა სილვიო ბერლუსკონიმ თქვა, რონალდინიოს ყიდვის შანსი არ არსებობს, მაგრამ სამუელ ეტოოს ვეცდებიო.

„ხუან ლაპორტას ვესაუბრე და მითხრა, თუ რონალდინიოს გავყიდი, ქვეყნიდან გაქცევა მომიწევსო" — განაცხადა ბერლუსკონიმ.

რაც შეეხება ეტოოს, „ბარსას" ვიცე-პრეზიდენტმა ფერერ სორიანომ ორშაბათს მსოფლიოს გასაგონად ბრძანა: „კამერუნელი ფეხბურთელი არ იყიდება." მიუხედავად ამისა, „მილანის" პატრონი სხვაგვარად ფიქრობს: „ტრანსფერებისას ერთ-ორ მოთამაშეზე არ უნდა ჩავიციკლოთ. კარგად თუ მოვძებნით, ისეთ ბიჭებს ვიპოვით, რომლებიც „მილანის" დონეს შეესაბამებიან. რონალდინიო თუ არ გამოვა, ეტოოს ვცდით."

გარდა ამისა, „მილანი" „ლიონის" ფრედითაცაა დაინტერესებული. ბრაზილიის ნაკრების ფორვარდის სანახავად „შავ-წითელი" მზვერავები ვენესუელაში წავიდნენ. 23 წლის ფრედი 9 მილიონი გირვანქა ღირს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ტევესმა ინტერი გადაწყვიტა



**ინგლისური** „ვესტ ჰემის" არგენტინელმა ფორვარდმა კარლოს ტევესმა დაადასტურა, რომ დიდი შანსია, „ინტერში" გადავიდეს. 23 წლის ფეხბურთელს, რომელზეც უფლებებს კია ჯურაბჩიანი ფლობს, ბოლო დროს აქტიურად უკავშირებენ „ნერაძურის".

„მინდა, დიდი მადლობა ვუთხრა „ინტერის" პრეზიდენტ მასიმო მორატის გამოჩენილი ინტერესისთვის. დიდი შანსია, მალე მართლაც იტალიაში გადავიდე. მადრიდის „რეალსაც" სურს ჩემი ხელში ჩაგდება, მაგრამ მე უკვე „ინტერი" ავირჩიე. ჩემი მრჩეველი „ნერაძურის" კაპიტანი ხავიერ ძანეტია" — განაცხადა ტევესმა.

გავრცელებული ცნობით, ჯურაბჩიანსა და მორატის შორის მოლაპარაკებები ისევ მიმდინარეობს და მხარეები შეთანხმებასთან ახლოს არიან.

ტევესის მსურველები „ინტერისა" და „რეალის" გარდა, „არსენალი", „ლივერპული", „მანჩესტერ იუნაიტედი" და „სევილია" არიან.

**კოკი კანდელაკი**

# ჟიული იქ მიდის, საიდანაც წავიდა



**ლუდოვიკ ჟიული** შეიძლება, ისევ „მონაკოში" დაბრუნდეს. ფრანგი „ბარსაში" თავის ადგილს ველარ პოულობს და სამომავლო სარბიელის გამონახვა სურს, სადაც ძირითადში მოხვედრის პრობლემა არ ექნება.

ასეთი გუნდი თითქოს „მარსელი" უნდა ყოფილიყო, მაგრამ ოლიმპიკელები ჟიულის სატრანსფერო ფასმა, 9 მილიონმა ევრომ დააფრთხო.

იყო „რომაში" მოხვედრის შანსიც. თითქოს ლუდოვიკ ჟიული კრისტიან კივუს სატრანსფერო ოპერაციაში უნდა ჩართულიყო, თუმცა „რომამ" თქვა, რუმინელში მარტო ფულს ავიღებთ, „ხურდად" ფეხბურთელები არ გვინდაო. ესეც ჩაიშალა.

რჩება „მონაკო". პრესის ცნობებით, „ლუდო" სამთავროში გუშინ უნახავთ, ყოფილ კლუბთან მოლაპარაკებას აწარმოებს და მალე ალბათ შეთანხმებაც შედგება.

მიდის ბასკი ფორვარდი სანტი ეზკეროც. მას „ბილბაო" ეპატიჟება.

ეზკეროს შეძენას მხარს „ბილბაოს" პრეზიდენტობის ორი კანდიდატი უჭერს. არჩევნებში ნებისმიერის გამარჯვების შემთხვევაში ბასკი „სან მამესზე" დაბრუნდება.

ეიდურ გუდიონსენით კი ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედი", „ნიუკასლი" და „ვესტ ჰემი" დაინტერესდნენ. თუმცა ისლანდიელი არსად წასვლას არ აპირებს (მიუხედავად იმისა, რომ „ბარსამ" ტიერი ანრი იყიდა).

„ესპანური ენაც ვისწავლე, კლუბის ავანჩავანიც გავიგე და ახლა წასვლა არასწორი საქციელი იქნება. ვფიქრობ, წარმატებებს წლეულს უფრო უნდა მივაღწიო" — აცხადებს გუდიონსენი.

**ლადო ხომერიკი**

## კივუ მილანში

**„რომას"** მცველი კრისტიან კივუ „ინტერის" მაისურას მოირგებს, რადგან ბოლო წამს „ბარსელონა" იუარა.

რუმინელი ფეხბურთელის „შავ-ლურჯ" გუნდში გადასვლაზე დიდი ხანია, ლაპარაკობენ, მაგრამ ტრანსფერი გუშინღა მოგვარდა. კივუ და მისი აგენტი მილანში უნახავთ. იტალიური მედიის ცნობით კი, ბიჭმა „ინტერთან" ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. იგი წელიწადში 3 მილიონ გირვანქას მიიღებს, „რომამ" კი რუმინელის სანაცვლოდ 9 მილიონი გირვანქა ჩაიჯიბა.

## ფლაკი დოპინგმა დაასრულა

**„სამპდორიამ"** ფრანჩესკო ფლაკის კონტრაქტი მას შემდეგ გაუბათილა, რაც დოპინგზე გამოჭერილ ფეხბურთელს ორწლიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს.

„ფრანჩესკომ რვა სეზონი შეალია გუნდს და ფანებისთვის კვლავაც უსაყვარლესი მოთამაშეა, მაგრამ ჩვენ სხვა გზა არ გვაქვს" — თქვა კლუბის სპორტულმა დირექტორმა ბეპე მაროტამ.

32 წლის ფლაკი ალბათ კარიერას დაასრულებს.

## სარაგოსა ლაციოს გადაახტა

**„სარაგოსა"** „რივერ პლეიტიდან" მეკარე ხუან პაბლო კარიზოს ყიდვას აპირებს, რომლის გადაბირებასაც „ლაციოც" ცდილობს. ესპანურმა კლუბმა რივერელებს 4 მილიონი გირვანქა შესთავაზა, ერთით მეტი, ვიდრე რომაელმა.

„ლაციოს" ან მეტის გადახდა მოუწევს, ან თავს დაანებებს კარიზოს, ვისი აგენტიც ამჟამად რომშია და იქაურებს ევაჭრება.

## აბიატი გაათხოვეს

**„მილანმა"** დაადასტურა, რომ მეკარე კრისტიან აბიატი ერთი წლით მადრიდის „ატლეტიკოს" ათხოვა. 29 წლის გოლკიპერმა გასული სეზონი „ტორინოში" გაატარა. იგი „მილანში" „მონცადან" 1998-ში გადავიდა და ძირითად შემადგენლობაში თამაშობდა, მაგრამ ნელსონ დიდას მისვლის (2002) შემდეგ სათადარიგოდ იქცა. „ტორინომდე" იგი „იუვენტუსსაც" ათხოვეს 2005-ში და იქ 19 მატჩი ითამაშა.

## კასილიასისგან დაჩაგრული

**მადრიდის** „რეალის" მეორე მეკარე დიეგო ლოპესი „ვილიარეალში" გადავიდა. კლუბებმა ტრანსფერის ფასი არ გაამხილეს. ლოპესს „რეალთან" კონტრაქტი 2009-ში უმთავრდებოდა, მაგრამ იკერ კასილიასის შემხედვარეს ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის მიზერული შანსი ჰქონდა.

„ვილიარეალისთვის", რომელიც უეფას თასზე ითამაშებს, ეს მესამე შენაძენია — მათ უკვე იყიდეს რობერტო აიალა „ვალენსიადან" და ხუან კაპდევილა „დეპორტივოდან".

## ვალების პრეზიდენტი ზაგორაკისი

**ევროპის** ჩემპიონი თეოდორას ზაგორაკისი, რომელმაც ცოტა ხნის წინ კარიერა დაასრულა, პაოკ-ის პრეზიდენტი გახდა.

„კლუბი კრიტიკულ ზღვარზეა მისული. მარტო მე ვერ შევძლებ აქაური პრობლემების მოგვარებას. ძალიან მძიმე სამუშაო გველის და ლაპარაკი კი არა, საქმის კეთება და მთავრობის დახმარებაა საჭირო" — თქვა ზაგორაკისმა.

კლუბს 40 მილიონ დოლარამდე ვალი აქვს.

## იზმაილოვი სპორტინგში

**მარატ იზმაილოვმა** ლისაბონის „სპორტინგთან" კონტრაქტი გააფორმა — წერს პორტუგალიური „ა ბოლა". იგი მოსკოვის „ლოკომოტივიდან" ერთი წლით გაანათხოვრეს და ლისაბონელებს მისი გამოსყიდვის უფლება აქვთ.

იზმაილოვამდე „სპორტინგმა" გლელსტოუნი და დერლეი გადაიბირა.

## ნიუკასლმა ფიფას მოუგო

**„დეილი ტელეგრაფის"** ცნობით, „ნიუკასლმა" ფიფას და ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას მაიკლ ოუენთან დაკავშირებული სასამართლო მოუგო.

ოუენი მსოფლიოს შარშანდელ ჩემპიონატზე ისე დაშავდა, რომ თითქმის მთელი წელი გაუცდა. „ნიუკასლი" ფიფასგან და ასოციაციისგან კომპენსაციის სახით 10 მილიონ გირვანქას ითხოვდა და მიიღებს კიდეც.

„ჩვენ დავითვალეთ ხარჯები, მათ შორის, ოუენის ფასი, როცა „რეალიდან" ვიყიდეთ, მისი ჯამაგირი და დაახლოებით 10 მილიონი გამოვიდა" — ნათქვამია კლუბის განცხადებაში.

მაიკლ ოუენის ხელფასი კვირაში 103 ათასი გირვანქაა.

## ჰუგელი ფუნკელს გაერიდა

**ფრანკფურტის** „აინტრახტის" შვეიცარიელი ნახევარმცველი ბენჟამინ ჰუგელი „ბაზელში" გადავიდა. 29 წლის ფეხბურთელი ბაზელელებს 400 ათასი ევრო დაუჯდათ.

ჰუგელი „აინტრახტში" 2005 წელს სწორედ „ბაზელიდან" აღმოჩნდა, გასულ სეზონში კი მწვრთნელ ფრიდჰელმ ფუნკელის ხელქვეით სათადარიგოდ იქცა. ჰუგელამდე „შტუტგარტიდან" ფორვარდი მარკო შტრელერი წავიდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **შვედეთი. ალსვენსკა** | | | | | | |
| | | 27 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 30 | ჰამარბი-გიოტებორგი | 2.00 | 3.20 | 3.10 | 1.23 | 1.21 | 1.57 |
| | | **შვედეთი. სუპერეტა** | | | | | | |
| | | 27 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 37 | ნორჩიოპინგი-იორგრიტე | 1.50 | 3.50 | 4.80 | 1.04 | 1.14 | 2.02 |
| | | 28 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 38 | ბანკეფლო-სირიუსი | 2.35 | 3.20 | 2.50 | 1.35 | 1.21 | 1.40 |
| 21:00 | 39 | ფალკენბერგი-ლიუნგსკილე | 2.40 | 3.10 | 2.50 | 1.35 | 1.22 | 1.38 |
| 21:00 | 40 | ჰეკენი-მიალბი | 1.65 | 3.30 | 4.20 | 1.10 | 1.18 | 1.84 |
| 21:00 | 41 | იოსტერსი-ატვიდაბერგი | 1.95 | 3.20 | 3.10 | 1.21 | 1.19 | 1.57 |
| 21:00 | 42 | სუნდსვალი-იონკოპინგი | 1.55 | 3.40 | 4.30 | 1.06 | 1.13 | 1.89 |
| 21:00 | 43 | სილვია-ენჩიოპინგი | 2.05 | 3.20 | 2.85 | 1.24 | 1.19 | 1.50 |
| | | **ფინეთი** | | | | | | |
| | | 28 ივნისი | | | | | | |
| 19:30 | 52 | ჰაკა-ოულუ | 1.40 | 3.70 | 6.20 | 1.01 | 1.14 | 2.31 |
| 19:30 | 53 | ინტერი-ჰიკ | 2.80 | 3.10 | 2.15 | 1.47 | 1.21 | 1.26 |
| 21:00 | 54 | ვპს-კტპ | 1.95 | 3.20 | 3.20 | 1.21 | 1.21 | 1.60 |
| | | 29 ივნისი | | | | | | |
| 20:30 | 55 | ლაჰტი-ვიიკინგიტი | 1.40 | 3.90 | 6.30 | 1.03 | 1.14 | 2.40 |
| 20:30 | 56 | ტურკუ-ტამპერე | 2.45 | 3.10 | 2.50 | 1.36 | 1.23 | 1.38 |
| | | **ბრაზილია** | | | | | | |
| | | 28 ივნისი | | | | | | |
| 23:45 | 90 | ფიგეირენსე-სან პაულუ | 2.50 | 3.10 | 2.40 | 1.38 | 1.22 | 1.35 |
| 23:45 | 92 | სპორტ რისაიფი-ნაუტიკო | 2.15 | 3.10 | 2.80 | 1.26 | 1.21 | 1.47 |
| | | **რუსეთი. თასი** | | | | | | |
| | | 27 ივნისი | | | | | | |
| 16:00 | 107 | ავანგარდი(კურსკ) -დინამო მ | 4.30 | 3.00 | 1.75 | 1.76 | 1.24 | 1.10 |
| 20:00 | 108 | ბალტიკა-ცსკა მ | 4.40 | 3.20 | 1.65 | 1.85 | 1.20 | 1.08 |
| 19:00 | 109 | დინამო ბრიანსკი-ზენიტი | 4.85 | 3.20 | 1.60 | 1.92 | 1.20 | 1.06 |
| 18:00 | 110 | კამაზი -კრილია | 2.60 | 2.60 | 2.70 | 1.29 | 1.32 | 1.32 |
| 14:00 | 111 | მეტალურგი(კრ)-ლუჩ ენერგია | 5.50 | 3.40 | 1.50 | 2.10 | 1.17 | 1.04 |
| 14:00 | 112 | მეტალურგი(კუზბ)-კუბანი | 6.00 | 3.50 | 1.45 | 2.21 | 1.16 | 1.02 |
| 19:00 | 113 | როტორი-ამკარი | 6.00 | 3.50 | 1.45 | 2.21 | 1.16 | 1.02 |
| 14:00 | 114 | შინიკი-ნალჩიკი | 2.00 | 2.70 | 3.85 | 1.14 | 1.31 | 1.58 |
| 16:00 | 115 | ურალი-ლოკომოტივი მ | 4.00 | 3.00 | 1.80 | 1.71 | 1.24 | 1.12 |
| 19:00 | 116 | ასკ როსტოვი-როსტოვი | 3.00 | 2.80 | 2.20 | 1.44 | 1.26 | 1.23 |
| 16:00 | 117 | ტერეკი-სპარტაკი მ | 4.50 | 3.10 | 1.65 | 1.83 | 1.20 | 1.07 |
| 16:00 | 118 | ტორპედო მ-ხიმკი | 2.70 | 2.60 | 2.70 | 1.32 | 1.35 | 1.32 |
| | | **ნორვეგია. თასი** | | | | | | |
| | | 27 ივნისი | | | | | | |
| 20:00 | 283 | ალესუნდი-ალტა | 1.12 | 6.00 | 11.00 | 1.00 | 1.01 | 3.88 |
| 20:00 | 284 | ბოდიო გლიმტი-პორსგრუნი | 1.30 | 4.30 | 7.00 | 1.00 | 1.09 | 2.66 |
| 20:00 | 285 | ჰაუგესუნდი-ლოვ ჰამი | 1.70 | 3.50 | 3.90 | 1.14 | 1.18 | 1.84 |
| 20:00 | 286 | ნოტოდენი-კონგსვინგერი | 2.45 | 3.20 | 2.45 | 1.38 | 1.22 | 1.38 |
| 20:00 | 287 | დრობაკი-ვიკინგი | 11.00 | 6.00 | 1.12 | 3.88 | 1.01 | 1.00 |
| 20:00 | 288 | კოპერვიკი-ბრანი | 18.00 | 7.00 | 1.04 | 5.03 | 1.00 | 1.00 |
| 20:00 | 289 | ფრედრიკსტადი-ნიბერგსუნდი | 1.12 | 6.00 | 11.00 | 1.00 | 1.01 | 3.88 |
| 20:00 | 290 | მოსი-სტრომსგოდსეტი | 3.10 | 3.20 | 1.90 | 1.57 | 1.17 | 1.19 |
| 20:00 | 291 | კორსვოლი-სტაბეკი | 20.00 | 8.00 | 1.03 | 5.71 | 1.00 | 1.00 |
| 20:00 | 292 | მანგლერუდ სტარი-სტარტი | 8.00 | 5.00 | 1.20 | 3.07 | 1.04 | 1.00 |
| 20:00 | 293 | ოდ გრენლანდი-ტონსბერგი | 1.20 | 5.50 | 8.00 | 1.00 | 1.04 | 3.25 |
| 20:00 | 294 | ტრომსიო-ტრომსდალენი | 1.12 | 6.00 | 11.00 | 1.00 | 1.01 | 3.88 |
| | | 28 ივნისი | | | | | | |
| 20:00 | 295 | ბრინი-ლინი | 3.80 | 3.30 | 1.75 | 1.76 | 1.19 | 1.14 |
| 20:00 | 296 | ლილესტრომი-ბეირუმი | 1.03 | 9.00 | 20.00 | 1.00 | 1.00 | 6.20 |
| 20:00 | 297 | სკეიდი-რუსენბორგი | 11.00 | 6.00 | 1.12 | 3.88 | 1.01 | 1.00 |
| | | **ამერიკის თასი 2007 (ვენესუელა)** | | | | | | |
| | | 27 ივნისი | | | | | | |
| 23:45 | 133 | ეკვადორი-ჩილე | 2.95 | 3.20 | 2.05 | 1.53 | 1.20 | 1.24 |
| 23:45 | 134 | ბრაზილია-მექსიკა | 1.50 | 3.30 | 5.50 | 1.03 | 1.17 | 2.06 |
| | | 28 ივნისი | | | | | | |
| 23:45 | 135 | პარაგვაი-კოლუმბია | 2.60 | 3.10 | 2.30 | 1.41 | 1.22 | 1.32 |
| 23:45 | 136 | არგენტინა-აშშ | 1.35 | 3.60 | 7.70 | 1.00 | 1.14 | 2.45 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10030 | ჰამარბი-გიოტებორგი | 2.35 | 2.10 | 3.50 | 1.10 | 1.40 | 1.31 |
| 10037 | ნორჩიოპინგი-იორგრიტე | 1.85 | 2.30 | 5.20 | 1.02 | 1.36 | 1.59 |
| 10038 | ბანკეფლო-სირიუსი | 2.65 | 2.00 | 2.85 | 1.13 | 1.37 | 1.17 |
| 10039 | ფალკენბერგი-ლიუნგსკილე | 2.75 | 2.00 | 2.85 | 1.15 | 1.39 | 1.17 |
| 10040 | ჰეკენი-მიალბი | 2.00 | 2.20 | 4.60 | 1.04 | 1.39 | 1.48 |
| 10041 | იოსტერსი-ატვიდაბერგი | 2.35 | 2.10 | 3.50 | 1.10 | 1.40 | 1.31 |
| 10042 | სუნდსვალი-იონკოპინგი | 1.85 | 2.30 | 4.60 | 1.02 | 1.31 | 1.53 |
| 10043 | სილვია-ენჩიოპინგი | 2.35 | 2.10 | 3.25 | 1.10 | 1.36 | 1.27 |
| 10052 | ჰაკა-ოულუ | 1.70 | 2.40 | 6.30 | 1.00 | 1.33 | 1.73 |
| 10053 | ინტერი-ჰიკ | 3.20 | 2.00 | 2.50 | 1.23 | 1.40 | 1.11 |
| 10054 | ვპს-კტპ2.30 | 2.20 | 3.60 | 1.12 | 1.40 | 1.36 | |
| 10133 | ეკვადორი-ჩილე | 3.30 | 2.00 | 2.45 | 1.24 | 1.40 | 1.10 |
| 10134 | ბრაზილია-მექსიკა | 2.00 | 2.20 | 5.00 | 1.04 | 1.42 | 1.52 |
| 10135 | პარაგვაი-კოლუმბია | 3.00 | 2.00 | 2.70 | 1.20 | 1.42 | 1.14 |
| 10136 | არგენტინა-აშშ | 1.60 | 2.30 | 7.00 | 1.00 | 1.30 | 1.73 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11030 | ჰამარბი-გიოტებორგი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11037 | ნორჩიოპინგი-იორგრიტე | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11038 | ბანკეფლო-სირიუსი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11039 | ფალკენბერგი-ლიუნგსკილე | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11040 | ჰეკენი-მიალბი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11041 | იოსტერსი-ატვიდაბერგი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11042 | სუნდსვალი-იონკოპინგი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11043 | სილვია-ენჩიოპინგი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11052 | ჰაკა-ოულუ | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11053 | ინტერი-ჰიკ | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11054 | ვპს-კტპ | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11133 | ეკვადორი-ჩილე | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11134 | ბრაზილია-მექსიკა | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11135 | პარაგვაი-კოლუმბია | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11136 | არგენტინა-აშშ | 1.70 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12030 | ჰამარბი-გიოტებორგი | 1.60 | 1.80 |
| 12037 | ნორჩიოპინგი-იორგრიტე | 1.80 | 1.60 |
| 12038 | ბანკეფლო-სირიუსი | 1.60 | 1.80 |
| 12039 | ფალკენბერგი-ლიუნგსკილე | 1.60 | 1.80 |
| 12040 | ჰეკენი-მიალბი | 1.80 | 1.60 |
| 12041 | იოსტერსი-ატვიდაბერგი | 1.60 | 1.80 |
| 12042 | სუნდსვალი-იონკოპინგი | 1.60 | 1.80 |
| 12043 | სილვია-ენჩიოპინგი | 1.60 | 1.80 |
| 12052 | ჰაკა-ოულუ | 1.80 | 1.60 |
| 12053 | ინტერი-ჰიკ | 1.60 | 1.80 |
| 12054 | ვპს-კტპ | 1.60 | 1.80 |
| 12133 | ეკვადორი-ჩილე | 1.60 | 1.80 |
| 12134 | ბრაზილია-მექსიკა | 1.80 | 1.60 |
| 12135 | პარაგვაი-კოლუმბია | 1.60 | 1.80 |
| 12136 | არგენტინა-აშშ | 1.80 | 1.60 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13030 | ჰამარბი-გიოტებორგი | 1.60 | 1.80 |
| 13037 | ნორჩიოპინგი-იორგრიტე | 1.60 | 1.80 |
| 13133 | ეკვადორი-ჩილე | 1.60 | 1.80 |
| 13134 | ბრაზილია-მექსიკა | 1.60 | 1.80 |
| 13135 | პარაგვაი-კოლუმბია | 1.80 | 1.60 |
| 13136 | არგენტინა-აშშ | 1.80 | 1.60 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14030 | ჰამარბი-გიოტებორგი | 1.70 | 2.20 |
| 14037 | ნორჩიოპინგი-იორგრიტე | 1.30 | 2.50 |
| 14038 | ბანკეფლო-სირიუსი | 1.80 | 2.00 |
| 14039 | ფალკენბერგი-ლიუნგსკილე | 1.85 | 1.95 |
| 14040 | ჰეკენი-მიალბი | 1.45 | 2.40 |
| 14041 | იოსტერსი-ატვიდაბერგი | 1.70 | 2.20 |
| 14042 | სუნდსვალი-იონკოპინგი | 1.30 | 2.50 |
| 14043 | სილვია-ენჩიოპინგი | 1.75 | 2.10 |
| 14052 | ჰაკა-ოულუ | 1.20 | 2.60 |
| 14053 | ინტერი-ჰიკ | 2.10 | 1.75 |
| 14054 | ვპს-კტპ | 1.70 | 2.20 |
| 14133 | ეკვადორი-ჩილე | 2.10 | 1.75 |
| 14134 | ბრაზილია-მექსიკა | 1.30 | 2.50 |
| 14135 | პარაგვაი-კოლუმბია | 2.00 | 1.80 |
| 14136 | არგენტინა-აშშ | 1.20 | 2.60 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15030 | ჰამარბი-გიოტებორგი | 2.70 | 2.70 | 2.00 |
| 15038 | ბანკეფლო-სირიუსი | 2.70 | 2.70 | 2.00 |
| 15039 | ფალკენბერგი-ლიუნგსკილე | 2.70 | 2.70 | 2.00 |
| 15040 | ჰეკენი-მიალბი | 2.70 | 2.70 | 2.00 |
| 15041 | იოსტერსი-ატვიდაბერგი | 2.70 | 2.70 | 2.00 |
| 15042 | სუნდსვალი-იონკოპინგი | 2.70 | 2.70 | 2.00 |
| 15043 | სილვია-ენჩიოპინგი | 2.70 | 2.70 | 2.00 |
| 15052 | ჰაკა-ოულუ | 2.70 | 2.70 | 2.00 |
| 15053 | ინტერი-ჰიკ | 2.70 | 2.70 | 2.00 |
| 15054 | ვპს-კტპ | 2.70 | 2.70 | 2.00 |
| 15133 | ეკვადორი-ჩილე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15134 | ბრაზილია-მექსიკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15135 | პარაგვაი-კოლუმბია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15136 | არგენტინა-აშშ | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრის გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16030 | ჰამარბი-გიოტებორგი | 1.40 | 2.55 |
| 16037 | ნორჩიოპინგი-იორგრიტე | 1.14 | 4.70 |
| 16038 | ბანკეფლო-სირიუსი | 1.65 | 2.05 |
| 16039 | ფალკენბერგი-ლიუნგსკილე | 1.70 | 1.95 |
| 16040 | ჰეკენი-მიალბი | 1.23 | 3.60 |
| 16041 | იოსტერსი-ატვიდაბერგი | 1.38 | 2.65 |
| 16042 | სუნდსვალი-იონკოპინგი | 1.17 | 4.10 |
| 16043 | სილვია-ენჩიოპინგი | 1.45 | 2.45 |
| 16052 | ჰაკა-ოულუ | 1.11 | 5.70 |
| 16053 | ინტერი-ჰიკ | 1.95 | 1.65 |
| 16054 | ვპს-კტპ | 1.38 | 2.65 |
| 16133 | ეკვადორი-ჩილე | 2.05 | 1.62 |
| 16134 | ბრაზილია-მექსიკა | 1.14 | 4.70 |
| 16135 | პარაგვაი-კოლუმბია | 1.82 | 1.82 |
| 16136 | არგენტინა-აშშ | 1.10 | 5.50 |

### გოლი:ლუწი-1ლე კენტი-2 (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17030 | ჰამარბი-გიოტებორგი | 1.85 | 1.95 |
| 17037 | ნორჩიოპინგი-იორგრიტე | 1.85 | 1.95 |
| 17038 | ბანკეფლო-სირიუსი | 1.85 | 1.95 |
| 17039 | ფალკენბერგი-ლიუნგსკილე | 1.85 | 1.95 |
| 17040 | ჰეკენი-მიალბი | 1.85 | 1.95 |
| 17041 | იოსტერსი-ატვიდაბერგი | 1.85 | 1.95 |
| 17042 | სუნდსვალი-იონკოპინგი | 1.85 | 1.95 |
| 17043 | სილვია-ენჩიოპინგი | 1.85 | 1.95 |
| 17052 | ჰაკა-ოულუ | 1.85 | 1.95 |
| 17053 | ინტერი-ჰიკ | 1.85 | 1.95 |
| 17054 | ვპს-კტპ | 1.85 | 1.95 |
| 17133 | ეკვადორი-ჩილე | 1.85 | 1.95 |
| 17134 | ბრაზილია-მექსიკა | 1.85 | 1.95 |
| 17135 | პარაგვაი-კოლუმბია | 1.85 | 1.95 |
| 17136 | არგენტინა-აშშ | 1.85 | 1.95 |

# უსტიაშვილმა დუჟინი ჩამოწერა და ხუთეული თქვა



დავით უსტიაშვილმა სანაკრებო ფორმა მოთამაშეებს საკუთარი ხელით დაურიგა

**დღეს** საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები უკრაინაში მიემგზავრება, სადაც კარსმომდგარი ევროჩემპიონატის წინ სამ ამხანაგურ მატჩს გამართავს იქაურ თანატოლებთან. გუშინ დავით უსტიაშვილის გუნდმა ღია ვარჯიში გამართა და მწვრთნელმა ის 12-ეულიც გამოაცხადა, რომელსაც უკრაინაში და ევროპის ჩემპიონატზე დაეყრდნობა.

მაშ ასე, აი, ჩვენი 20-წლამდელების შემადგენლობაც:

**უკანახაზელები:** გიორგი გაფრინდაშვილი (ასკ, ლატვია), ლევან ცეკვავა (აზოტი), ბექა წივწივაძე (აკადემია, ლიტვა), ლექსო ლაფანაშვილი (დინამო), ლაშა ფარლალავა (პენსაკოლა, აშშ), მიხეილ ჭოჭუა (აზოტი).

**ფორვარდები:** რეზო დიდია (აზოტი), მიხეილ ბერიშვილი (თსუ), ირაკლი ჯგერენაია (მაკაბი), დიმიტრი ფაცაცია (უგუნდოდ).

**ცენტრები:** გიორგი შერმადინი (მაკაბი), რიჩარდ მათიაშვილი (თსუ).

ნაკრებში ვარჯიშობდნენ, მაგრამ შემადგენლობაში ვერ მოხვდნენ — ლუკა ნოზაძე, დავით პირველაშვილი და ირაკლი გულისაბედაშვილი. დავით უსტიაშვილმა განსაკუთრებით ამ უკანასკნელზე იჭოჭმანა, მაგრამ გულისაბედაშვილი რომ აეყვანა, გუნდიდან, გამთამაშებელი უნდა ამოეგდო და ამის გაკეთება ვერ გარისკა...

— სამივე მოთამაშეზე მწყდება გული, რომლებიც შემადგენლობაში ვერ მოხვდნენ, განსაკუთრებით კი გულისაბედაშვილზე — გვითხრა უსტიაშვილმა — ის კარგი კალათბურთელია, მაგრამ ვინმეზე ხომ უნდა მეთქვა უარი. მსროლელები საკმარისად გვყავს გუნდში და გულისაბედაშვილიც რომ ამეყვანა, გამთამაშებელს უნდა შევლეოდი. ასეთები სამნი არიან. წინ უსერიოზულესი მატჩები გველის და 2 გამთამაშებლის იმედზე ვერ ვიქნებოდით...

— ირანთან მატჩები ძალიან წაგვადგა. ამ შეხვედრებმა ბევრი ხარვეზი დაგვანახვა, რაზეც მუხლჩაუხრელი მუშაობა გვმართებს. ეს მატჩები ამათ გუნდისთვის პირველი იყო. 4 მოთამაშე შარშანდელ ახალგაზრდულ ნაკრებშიც იყო, მაგრამ ისინი მაშინ მეორეხარისხოვან როლს თამაშობდნენ და მოედანზე ერთად ძალიან იშვიათად ხვდებოდნენ.

— უკრაინასთან 3 ამხანაგური თამაში მისწრება იქნება ჩვენთვის. ძალიან ბევრი ნიუანსი გვაქვს დასახვეწი, პირველ რიგში შეთამაშება გვაკლია და ბიჭებს გამოცდილების მიღება ესაჭიროებათ.

— ხუთეული თითქმის აქედანვე ვიცი — გაფრინდაშვილი, ჭოჭუა, ბერიშვილი, დიდია და შერმადინი. ძირითადად ამ ხალხს დავეყრდნობით, თუმც სათადარიგოების იმედიც გვაქვს...

— უკრაინადან პირველ ივლისს დავბრუნდებით, 2 დღე თბილისში გავჩერდებით და სლოვენიაში გავემგზავრებით. ევროპის ჩემპიონატზე საკმაოდ სერიოზული მეტოქეები გვყავს. ყველანაირად შევეცდებით, ჯგუფიდან გავიდეთ და, შესაბამისად, A დივიზიონშიც დავრჩეთ.

შეგახსენებთ, რომ ახალგაზრდული ნაკრების მეტოქეები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე იქნებიან იტალიის, ბულგარეთისა და ლატვიის გუნდები. ჯგუფიდან გასასვლელად სამეულში მოხვედრაც კმარა, რაც ჩვენი ნაკრებისთვის პროგრამა-მინიმუმიცაა და, ალბათ, მაქსიმუმიც.

**ირაკლი პერტაია**

# აზოტის ევროპას სპონსორები იტყვიან

## რუსთავში თექვსმეტობანას თამაში არ უნდათ

**ბოლოს** ქართული კლუბი როდის მონაწილეობდა ევროტურნირზე, ალბათ ბევრს აღარც ახსოვს. კარგა ხანია, ჩვენი გუნდები საკუთარ ნაჭუჭში არიან ჩაკეტილნი და ეროვნულ ჩემპიონატში იხარშებიან. მიზეზი, რა თქმა უნდა, უფულობაა — გუნდები მხოლოდ საარსებოდ საჭირო ფინანსებს თუ უყრიან თავს. ლეგიონერთა ჩამოყვანა და ევროსარბიელზე გასვლა თითქმის ყველასთვის ფანტასტიკის სფეროა.




თუმც გასულ სეზონში ჩემპიონატს ფინანსურად მძლავრი გუნდი მოევლინა, რომელმაც იოლად მოიგო ოქრო და ევროპისკენაც გაიხედა. რუსთავის „აზოტმა" ხანგრძლივი შესვენების შემდეგ საერთაშორისო ტურნირში თამაში განიზრახა, მაგრამ საამისოდ არაერთი პირობის შესრულება გახდა საჭირო.

რუსთაველთა გამაჩემპიონებელი მწვრთნელი დავით უსტიაშვილი სეზონის დასრულების შემდეგ ამბობდა: „ევროპულ სარბიელზე გასვლა ჩვენს ხელმძღვანელობას კი სურს, მაგრამ თუ იმის გარანტია არ გვექნა, რომ ტურნირში ჯგუფურ ეტაპზე მოვხვდებით, ყველაფერს აზრი ეკარგება. ვთქვათ, ჩამოვიყვანეთ ლეგიონერები, მეტ-ნაკლებად ანგარიშგასაწევი გუნდიც შევქმენით, თუმც მერე საკვალიფიკაციო ეტაპი ველარ დავძლიეთ და გამოვვარდით... ასე არ გამოვა. ამიტომ თავიდანვე უნდა ვიცოდეთ, ჯგუფში ვიქნებით თუ არა, რათა მინიმუმ 6 მატჩის თამაშის გარანტია გვქონდეს".

როგორც იგეგმებოდა, ფიბა-ევროპის მიერ ორგანიზებული „ევროთასი" და „ჩელენჯ ქაპი" უნდა გაერთიანებულიყო. რუსთაველებსაც იმედი ჰქონდათ, რომ ეს გაერთიანებული ტურნირი მასშტაბური იქნებოდა, მასში ბევრი გუნდი მოიყრიდა თავს და ერთ-ერთ ჯგუფში „აზოტს" ადგილი თავიდანვე ექნებოდა დაბევებული.

გუშინ ფიბა-ევროპამ გამოაცხადა გაერთიანებულ ტურნირში მონაწილეთა რაოდენობა. ოთხ-ოთხი გუნდისგან შემდგარი 4 ჯგუფი, ანუ ფიბა-ევროპის ახალშობილ და ერთადერთ ტურნირში 16 გუნდი მიიღებს მონაწილეობას.

მონაწილეობის მსურველი 8 საუკეთესო კოეფიციენტის მქონე გუნდი ჯგუფში თავიდანვე განაღდებს ადგილს, ხოლო დანარჩენები საკვალიფიკაციო მატჩებს გამართავენ იქ მოსახვედრად. კოეფიციენტები ბოლო სამი წლის მანძილზე ევროტურნირებში ნაჩვენები შედეგებით ჯამდება. ანუ რუსთაველებს საკვალიფიკაციო არ ასცდებათ, რადგან ბოლო წლებში, არათუ „აზოტს", არც ერთ ქართულ გუნდს არ უთამაშია ევროტურნირებში.

არადა, მონაწილეობის მსურველებს 10 ივლისამდე აქვთ ვადა, რათა ფიბა-ევროპაში განაცხადი შეიტანონ. რუსთაველებმა კი ჯერ არ იციან, რას იზამენ, ბოლო სიტყვა გუნდის სპონსორებზეა.

„უნდა ვიმსჯელოთ, ყველაფერი ავწონ-დავწონოთ და მერეღა მივიღოთ გადაწყვეტილება. საკვალიფიკაციო ეტაპის გავლა რომ გვიწევს, ეს ცუდია, რადგან ჯგუფურ ეტაპზე მოვხვდებით თუ არა, არ ვიცით. თავდაპირველი ინფორმაციით, ჯგუფურ ეტაპზე 36 გუნდს უნდა ეთამაშა, რაც ჩვენთვის მისაღები იყო, მაგრამ ახლა გავიგეთ, რომ 16 იქნება" — ეს კი უსტიაშვილმა გუშინ თქვა.

რუსთაველთა სამწვრთნელო შტაბის წევრ მიხეილ ბერუაშვილს რომ შევეხმიანეთ, გვითხრა, ყველაფერს სპონსორები გადაწყვეტენ, იქნება ფული, გავალთ ევროთასზე, არადა, არაო.

**ირაკლი პერტაია**



# ბილაფსმა დეტროიტი გაწყვიტა

**„დეტროიტ პისტონსის"** ერთ-ერთი ლიდერი და 2004 წლის ფინალური სერიის უძვირფასესი მოთამაშე ჩონსი ბილაფსი თავისუფალი აგენტია. დეტროიტელებმა და ჩონსიმ მოილაპარაკეს, რომ გაეუქმებინათ ექვსწლიანი კონტრაქტის ბოლო წელი, რომელშიც ელვაგამთამაშებელს 6,8 მილიონი უნდა მიეღო.

ბოლო წლის გაუქმების შესაძლებლობა თავად კონტრაქტში იყო თავიდან ჩაწერილი, თორემ მის გაწყვეტას ან გუნდი არ ისურვებდა, ან მოთამაშე — გააჩნია, ვისთვის იქნებოდა ფინანსურად მომგებიანი.

ბილაფსი დღესდღეობით წელიწადში 7 მილიონზე მეტს იმსახურებს და ალბათ მონახავს კიდეც მეტის გადამხდელ გუნდს, რომელიც, არ გაგიკვირდეთ, რომ თავად „დეტროიტი" გახდეს.

„დგუშების" პრეზიდენტმა ჯო დუმარსმა სეზონის დასრულებისთანავე თქვა, ჩვენი მთავარი მიზანი ჩონსი ბილაფსისთვის ახალი კონტრაქტის გაფორმებაო.

# ჩახლართული გარნეტი

**კევინ გარნეტს** რომ „მინესოტას" დატოვება სურს, ყველას კარგად მოეხსენება. ამერიკელ ჟურნალისტებსაც მეტი რა საქმე აქვთ, ნაირგვარ კომბინაციებს იხილავენ და მარჩიელობენ, რა გზით უნდა მოხვდეს გარნეტი ნბა-ს სხვა გუნდში.

აი, მაგალითად, გუშინ გავრცელდა ახალი ვერსია — გარნეტი „ლეიკერსში" გადავა, გაცვლაში კი სხვა გუნდები და მოთამაშეებიც ჩაერთვებიანო. ძალიან ჩახლართული გაცვლაა: „მინესოტადან" გარნეტი და მარკო იარიჩი მიდიან „ლეიკერსში", რომელიც თავის მხრივ ლამარ ოდომს „ინდიანაში" უშვებს. ეს უკანასკნელი ჯერმენ ონილს გზავნის „ბოსტონში", ხოლო ბოსტონელთა დრაფტის მე-5 და მე-19 ნომრები „მინესოტაში" წავლენ. ამათ გარდა კიდევ არის გაცვლის წვრილ-წვრილი შემადგენელი ნაწილები და, შესაძლოა, ეს გრანდიოზული გაროგება არც შედგეს — ამასაც ოკეანგაღმელი ჟურნალისტები ამბობენ.

**ირაკლი პერტაია**



# მძიმე არითმეტიკა: ხუთი ათში ოთხი იქნება

17-24 სექტემბერს ტაილანდში ძალოსნებს სეზონის უმთავრესი ტურნირი — მსოფლიოს ჩემპიონატი ელით. ისედაც უმნიშვნელოვანეს პირველობას წლეულს დატვირთვად სალიცენზიო მუხტიც ემატება. გუნდური შედეგების მიხედვით გაირკვევა, რომელი ქვეყანა რამდენ საგზურს მოიპოვებს პეკინის ოლიმპიადაზე წასასვლელად. საქართველოს ნაკრებმა ტაილანდური სამზადისი წლის დასაწყისში პოლონური შეკრებით გახსნა. ათი დღის წინ ვანო გრიძუროვი და მისი შეგირდები პატარა ქალაქ ჩეხანოში მეორედ დაბანაკდნენ, ამჯერად ორმოცი დღით. ნაკრების თავკაცი სასექტემბრო გეგმებზე გუშინ საღამოს ვარჯიშის დასრულების შემდეგ ტელეფონით გვესაუბრა

— მეორე კვირაა, ჩეხანოში ვართ და იმავე დარბაზში ვვარჯიშობთ, წლეულს ერთი შეკრება რომ გავიარეთ. პირობები მაშინდელივით მშვენიერია და ბიჭებს ყველა საშუალება აქვთ, მხოლოდ მზადებაზე იფიქრონ.

**— რამდენი ძალოსანი გახლავთ პოლონეთში?**

— ოთხი — ზვიად სამუკაშვილი, რაულ ცირეკიძე, ალბერტ კუზილოვი და არსენ კასაბიევი.

**— გიორგი ასანიძე რატომ არ წაიყვანეთ?**

— ძალიან დიდი სურვილი მქონდა, გიორგიც ჩვენს გვერდით ყოფილიყო და აქაური რიტმით ევარჯიშა, მაგრამ, სამწუხაროდ, სხვა საქმეებიც ბლომად აქვს და გადავწყვიტეთ თბილისში დარჩენილიყო.

**— სრული დატვირთვით ვარჯიშს ვერც საქართველოში ახერხებს?**

— ამას ნამდვილად ვერ ვიტყვი. გიორგი ძალიან ბეჯითი სპორტსმენია და მიზნის მისაღწევად თავს არ დაზოგავს. მართალია, შეკრებას გამოაკლდა, მაგრამ თბილისში ჩვეულებრივად ემზადება. ჩვენთან რომ ყოფილიყო, დარწმუნებული ვარ, საუკეთესო ფორმაში ჩადგებოდა. მჯერა, არც მანდ ვარჯიშით ჩამორჩება.

**— თქვენი აზრით, მსოფლიოს ჩემპიონატზე მედლისთვის ბრძოლას შეძლებს?**

— თუ მზადებაში ხელი არ შეგვეშალა, რა თქმა უნდა, ჩვეულ ფორმას აღიდგენს და ისევ ფავორიტებში გაერევა, მაგრამ მომავალ მსოფლიოს პირველობაზე არც ასანიძეს და არც სხვებს მედლის მოპოვებას მიზნად არ ვუსახავ. ტაილანდში ჩვენი მთავარი სტრატეგია გუნდურ ჩათვლაში, რაც შეიძლება მეტი ქულის აღება იქნება. სწორედ იმ ქულების მიხედვით გადანაწილდება პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიები.

**— ტაილანდურ ფიცარნაგზე ჩეხანოში მყოფი ოთხეულის და გიორგის გარდა სხვა ძალოსნებიც გავლენ?**

— ჯერ კონკრეტული პასუხის გაცემა მიჭირს. ალბათ 7-8-კაციანი გუნდით გამოვალთ. თბილისში დარჩენილთაგან შემადგენლობაში მოხვედრის რეალური შანსი გია მაჭავარიანს, თემურ გოგიას და ალეკო ნოზაძესაც აქვთ.

**— წინა პოლონური შეკრება ზვიად სამუკაშვილმა ტრავმის გამო გამოტოვა, არსენ კასაბიევი კი იგივე მიზეზის გამო ჩვეულად ვერ დაიტვირთა. ახლა როგორაა გუნდში ტრავმების საქმე?**

— პატარ-პატარა ტრავმები ახლაც გვიშლის ხელს. კასაბიევმა ნაოპერაციევი მუხლი უკვე ბოლომდე მოირჩინა. ბოლო დროს მხოლოდ ხერხემლის ტკივილი ახსენებს თავს. სამუკაშვილმა კი სრული დატვირთვით ვარჯიში ორი კვირის წინ დაიწყო. კუზილოვს მაჯის ტრავმა ჰქონდა და ნემსის გაკეთებაც დასჭირდა, მაგრამ საგანგაშო არაფერია. მსგავსი პრობლემები მოსამზადებელ ეტაპზე ჩვეულებრივი ამბავია.

**— შეკრება როდის დასრულდება?**

— წინ კიდევ ერთი თვე გვაქვს. თბილისში 25 ივლისს დავბრუნდებით.

**— შემდეგ როგორ გააგრძელებთ ჩემპიონატისთვის მზადებას?**

— ბოლო ორ თვეს საქართველოში ვივარჯიშებთ. დასკვნით შეკრებას ან გლდანის დარბაზში მოვაწყობთ, ან ბორჯომში.

**— თუ საიდუმლო არაა, რამდენ ლიცენზიას გეგმავთ?**

— ოთხი ლიცენზია უკვე კარგი შედეგი იქნება. ამისთვის ხუთმა ძალოსანმა ათეულში შესვლა უნდა მოახერხოს. ძალიან ზოგადი პროგნოზია, მაგრამ დაახლოებით ასე იქნება.

**ოთარ მაღლაკელიძე**



## საქართველოს ჩემპიონატი
### პირველი წრე. მესამე ტურის გადადებული მატჩი

# ლელომ ლოკომოტივი დაალილავა

**ლელო 36:26 ლოკომოტივი**

**ლელო:** ყიასაშვილი, ჯოგლიძე, თოდუა, მანჯავიძე, ცერცვაძე, ხმალაძე, ზაალიშვილი, ბელქანია, მჭედლიშვილი, მძინარიშვილი, მაისურაძე, ჩიტიძე, სანიკიძე, ცხოვრებაშვილი, ჯამრულიძე

შეცვლაზე შევიდნენ: ქიზიყურაშვილი, დაუშვილი

5ლ: ჯამრულიძე (2); ჩიტიძე; მაისურაძე; ცერცვაძე; 4გ: ყიასაშვილი; ჩ: ყიასაშვილი

**ლოკომოტივი:** ასათიანი, ნადირაძე, უდესიანი, ხაჩირაშვილი, ქავთარაძე, კვინიხაძე, ღვინჯილია, მაისურაძე, მგელაძე, ყურაშვილი, მთიულიშვილი, კახიანი, მალალაძე, ტურაშვილი, პეტრიაშვილი

შეცვლაზე შევიდნენ: ხეჩკოვი, ნიშნიანიძე, ბერძენიშვილი, ბერიშვილი

4ლ: ნადირაძე; მაისურაძე; ხეჩიკოვი; ასათიანი; 3გ: კვინიხიძე (2); ხაჩირაშვილი

**სატურნირო ვითარება**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლელო | 5 | 4 | 0 | 1 | +106 | 8 |
| ლოკომოტივი | 5 | 4 | 0 | 1 | +77 | 8 |
| ყოჩები | 5 | 4 | 0 | 1 | +28 | 8 |
| არმაზი | 5 | 1 | 0 | 4 | -46 | 2 |
| დინამო | 5 | 1 | 0 | 4 | -56 | 2 |
| თსუ | 5 | 1 | 0 | 4 | -80 | 2 |

**გუშინ** ლოკომოტივის სათადარიგო მოედანზე მესამე ტურის გადადებული მატჩი გაიმართა „ლელოსა" და „ლოკომოტივს" შორის. გუნდების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ თამაშის დინამიკურობამ და სანახაობრივმა მხარემ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ჯერ მარტო ბოლო წლებში ქართული რაგბის ჰეგემონის დამარცხება რად ღირს, თანაც როცა ამ ყველაფერს „ლელო" ახერხებს უპრინციპულეს შეხვედრაში. ორივე გუნდი სატურნირო ცხრილის თავშია, „ლოკომოტივი" თამაშს თამაშზე იგებდა და ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომ მათ დამარცხებას ვერავინ შეძლებდა.

მატჩის დაწყებისთანავე მოედანზე შექმნილი ატმოსფერო ისე დაიძაბა და დაიმუხტა, რომ კაცს ეგონებოდა, მობურთალები ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეებნენო. თავიდან „ლოკომოტივი" შეტევების ჩვეული აგრესიულობით წარმართვას ცდილობდა, მაგრამ „ლელო" კონტრშეტევებით პასუხობდა და უკანმოუხედავად თავდასხმის საშუალებას არ აძლევდა მეტოქეს. „ლელოს" ხელდახელ თამაში გამოსდიოდა და ეს ფაქტორი გადამწყვეტი გამოდგა. მომენტების აღწერით თავს არ შეგაწყენთ, მით უმეტეს, იმდენი შეიქმნა, რომ ყველას აღწერას მთელი გვერდიც კი არ ეყოფა.

ანგარიში „ლოკომოტივმა" გახსნა, ხაზზე ჩათამაშებული ბურთი ნადირაძემ ჩაჭრა და თითქმის მთელი მოედანი ირბინა მოწინააღმდეგის ლელომდე. ლელოელი ჩიტიძის გარღვევების ნახვას კი არაფერი სჯობდა, ერთ მომენტში ისეთი დრიბლინგი შეასრულა, რომ თითქმის მთელი „ლოკომოტივი" სახტად დატოვა. ზედმეტი თავდაჯერება კარგი რომ არ არის, ეს „ლოკომოტივის" მაგალითზე გუშინდელმა შეხვედრამაც დაადასტურა.

მატჩის შემდეგ თავჩაქინდრული ჩემპიონები ამბობდნენ, კარგიც კია, რომ წავაგეთ, ცოტა მიწაზე დავეშვებით და მოვლენებს უფრო რეალურად შევაფასებთო. „ლელომ" კი ჯერ მხოლოდ ბრჭყალები გამოაჩინა და იქნებ ჩემპიონის ტიტულსაც კი გამოჰკრას ხელი.

**ზურაბ მიგრიაული**

# დაცული, როგორც არასდროს
## ბებერი გრეგანი კრიტიკას უყრუებს და თამაშით ტკბება



**30 ივნისს** მელბურნში ახალი ზელანდია ჩავა და ავსტრალიელთა საკუთარ კედლებში დამარცხებას შეეცდება. ვის არ წაუგია, მაგრამ სამი ერის პირველობაზე ზედიზედ მეორე მარცხი და ისიც საკუთარი გულშემატკივრების თვალწინ, შიმომხილველთა კრიტიკის ქარცეცხლში გატარებულ „ვოლაბებს" ნამდვილად არ გაუხარდებათ. ვის არ უსწავლია საკუთარ შეცდომებზე, ჰოდა, ავსტრალიელთა ბებერ ცხრანომერ ჯორჯ გრეგანის აზრითაც, მათი გუნდის კრიზისის მაგვარი სიტუაციიდან გამოსვლის გზები შეცდომების გააზრებასა და ძირფესვიანად აღმოფხვრაზე გადის...

„მხოლოდ იმ შემთხვევაში მოვახერხებთ „მაორების" დამარცხებას, თუ „ქურციკებთან" დაშვებულ შეცდომებს გავაანალიზებთ და გულთან ახლო მივიტანთ — ამბობს ავსტრალიელთა ექსკაპიტანი — სამი ერის პირველობის დონის თამაშებში უამრავი მომენტი არ შეგვექმნება, უნდა ვისწავლოთ მაქსიმუმის გამოწურვა თუნდაც ჩვენთვის წამგებიანი სიტუაციიდან. სამხრეთ აფრიკასთან შეხვედრამდე წინასწარ დაგვაბრალეს ფიზიკური მოუმზადებლობა, მაგრამ ამ უდაბაძულესმა თამაშმა საპირისპირო აჩვენა. „ქურციკებთან" ბრწყინვალედ გამოვიდა ძველი გვარდია — ლარქემი, ქიტუ, მორტლოკი და სხვანი. ეს ხალხი ჩვენი გუნდის ფასდაუდებელი საგანძურია. ნაკრების ავ-კარზე მისი გუნდური და მებრძოლი სულით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, ხოლო ამ თვალსაზრისით არაფერი დაგვეწუნება. თამაშის დროს მე წინ რკინის კედელი მიცავს, უკან ჩემი მოიერიშეები შეტევის გაგრძელების უამრავ ვარიანტს მთავაზობენ. როცა თავს ასე დაცულად ვგრძნობ, აღარ მიჭირს ლიდერის ფუნქციების შესრულება და ისღა დამრჩენია, თამაშით დავტკბე ისე, როგორც არასდროს."

**ზურაბ მიგრიაული**

# პატივაყრილი მეფე
## ქემფიზს არ მოაკიდებინეს

**მოგეხსენებათ,** სპორტი ცრუმორწმუნე ხალხით სავსე სფეროა. ავსტრალიელ მორაგბეებსაც აქვთ ძველი ტრადიცია, რომლის დროსაც ბრძოლის ველისკენ მიმავალი მოთამაშეები მაისურაზე ხელს აკიდებინებენ წარსულის რომელიმე ცნობილ მორაგბეს.

ოზებში ცნობილებსა და ლეგენდებს რა დალევს, მაგრამ დევიდ ქემფიზი ლეგენდებშიც კი გამორჩეულია. წარმოიდგინეთ კაცი, რომელსაც სანაკრებო რაგბში ყველაზე მეტი ლელო დაუდია და რაგბის მეფობაზეც აცხადებს პრეტენზიას. მეფობა და ტახტი ცოტა ხნით დავივიწყოთ და, „ვოლაბებმა" წინა შაბათს სამხრეთ აფრიკასთან შეხვედრის წინ მისტერ დევიდს მაისურაზე ხელი არ მოაკიდებინეს. ახალგაზრდა „კენგურუების" ბებერთან დამდურების მიზეზი „მეფის" საგაზეთო სტატია გახლდათ, რომელიც რბილად რომ ვთქვათ, კრიტიკული იყო. იქაურმა ჟურნალისტებმაც როგორც კი სკანდალის სუნი იგრძნეს, კომენტარისთვის ქემფიზს მიმართეს:

„ვფიქრობ, თანამედროვე მოთამაშეებს არ უყვართ კრიტიკა — გვიხსნის ქემფიზი — უნდათ, რომ მათზე მხოლოდ კარგი ვწერო. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი როგორც არაპროფესიონალს და „არაგულმართალ" კაცს ისე მიყურებენ. ახლა მე რაგბის კომენტატორი და კრიტიკოსი ვარ და სრული უფლება მაქვს, „ვოლაბებზე" ჩემი აზრი გამოვთქვა. თვითონ განსაჯეთ, ავსტრალიამ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სტუმრად თხუთმეტი მატჩი ჩაატარა ახალ ზელანდიასთან, სამხრეთ აფრიკასთან და საფრანგეთთან და ერთიც ვერ მოიგო. ჯორჯ გრეგანის სათამაშო ფორმა არადამაკმაყოფილებელია, მეტ ქიტუ კი თითქოს ამოვარდნილია საერთო ანსამბლიდან. მე ჩემი ქვეყნის სასიკეთოდ ვლაპარაკობ, თორემ პირადად არანაირი პრობლემები არ გამაჩნია. მყავს ორი შვილი, ლამაზი ცოლი და ვაკეთებ ჩემს საყვარელ საქმეს სამხრეთ აფრიკაში, რატომ უნდა ვინერვიულო, ცხოვრება ხომ ასე ხანმოკლეა."

**ზურაბ მიგრიაული**

# პატარების დიდი გამოცდა

**ბოსნია ჰერცოგოვინას ქალაქ ჟენიცაში მეორე ლიგის მძლეოსანთა ევროპის თასის გათამაშება გაიმართა, რომელშიც საქართველოს გუნდიც გამოდიოდა. ამასთან დაკავშირებით ჩვენი ქვეყნის მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტ თამაზ მდინარაძეს ვესაუბრეთ**



დავით ილარიანი

**— რომელი ქვეყნის გუნდები არიან მეორე ლიგის ბინადრები და მათგან ვინ გამოდიოდნენ ჟენიტაში?**

— აქამდე ამ ლიგაში ქალებშიც და კაცებშიც თორმეტ-თორმეტი ქვეყნის გუნდი იყო, ახლა კი მათი რაოდენობა ორით გაიზარდა და ჟენიცაში თოთხმეტ-თოთხმეტი ნაკრები ვიხილეთ. უფრო სწორად, სპორტსმენები მეტი ქვეყნის წარმომადგენლები იყვნენ, მაგრამ ჯუჯა ქვეყნების, მაგალითად ლიხტენშტეინის, სან მარინოს, ანდორისა და სხვათა მძლეოსნები ერთ გუნდად გაერთიანდნენ.

ასე იყო თუ ისე, ჟენიცაში კაცთა ტურნირში თავი მოიყარეს თურქეთის, ხორვატიის, კვიპროსის, ლუქსემბურგის, ისრაელის, მოლდოვას, ბოსნია-ჰერცოგოვინას, ჯუჯა ქვეყნების გაერთიანებულმა ნაკრებმა, აზერბაიჯანის, საქართველოს, ჩერნიგორიის, სომხეთის, ალბანეთისა და მაკედონიის გუნდებმა. მათ შორის გუნდური ადგილებიც ასეთივე თანმიმდევრობით განაწილდა. ქალებშიც, ერთის გარდა, იგივე გუნდები იყვნენ, კვიპროსს შვეიცარია ჩაენაცვლა, საქართველოს მძლეოსნები კი თანაგუნდელ ვაჟებს ორი საფეხურით ჩამორჩნენ. მომავალი წლიდან ამ შეჯიბრებაზე ქალები და კაცები ცალ-ცალკე გუნდებად აღარ დაიყოფიან და ერთიანი ძალით იბრძოლებენ.

**— გასულ წლებთან შედარებით, როგორ გამოვიდნენ ჩვენი მძლეოსნები?**

— ამ შეჯიბრებაზე გუნდური ბრძოლა ჩვენ ნაკლებად გვაინტერესებდა, რადგან აქცენტი ახალგაზრდა მძლეოსნებზე გადავიტანეთ და ჟენიცაში სრული გუნდით არ ჩავსულვართ. ნაკრებში 21 სპორტსმენი გვყავდა მაშინ, როცა სხვები 50-50-კაციანი გუნდებით ჩამოვიდნენ. ასე იყო თუ ისე, ჩვენი ნაკრები ყველაზე ახალგაზრდული იყო: საერთო ჯამში გუნდურ პირველობაში ისევე გამოვედით, როგორც გასულ წლებში. ჩვენი პროგნოზიც ეს იყო.

**— მერედა, როგორ შეაფასებდით ჩვენი ახალგაზრდების გამოსვლას?**

— ჩვენ ძირითადად, იმ მძლეოსნებს ვცდიდით, რომლებმაც ერთი თვის მერე ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალზე უნდა იასპარეზონ და უნდა ითქვას, რომ მათი გამოსვლით კმაყოფილები ვართ. მაგალითად, თიანეთელმა სალომე რევიშვილმა ბადრო 44 მეტრსა და 39 სანტიმეტრზე ტყორცნა, რითაც მე-6 ადგილი დაიკავა. ეს შედეგი ურიგო სულაც არაა და ვფიქრობთ, რომ ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე იგი მედლისთვის იბრძოლებს. იგივე უნდა ვთქვათ ახალციხელ ენდრო ზილბერშტეინზე, რომელიც 400 მეტრზე რბენაში მერვე (49,76) იყო. დიდი იმედი ჩაგვინერგა 5000 მეტრზე მორბენალმა ვანელმა გიული დეკანიძემ, რომელიც სხვა თანაგუნდელებივით ამ დისციპლინაში ყველაზე ახალგაზრდა იყო და 14 მონაწილეს შორის მეხუთე ადგილი დაიკავა (17.40,19) ხოლო 3000-მეტრიან დისტანციაზე მეთხე (16.19,45). მერაბ ქინიძე კი არა მხოლოდ 800 მეტრზე მორბენლებში, საერთოდ მთელი შეჯიბრების ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე იყო და მისი შედეგი (1.55,34) სამომავლოდ დამაიმედებელია. შეიძლება ითქვას, რომ ამ ბიჭმა, პირველ რიგში, საკუთარ თავს აჯობა.

**— კი, მაგრამ, შეჯიბრებაში მთლად უძლიერესთა გარეშე ჩაებით? პეკინის ოლიმპიური თამაშებისთვის შესაძლო ლიცენზიანტებს გამოცდა ხომ სჭირდებოდათ?**

— არა, ასეთ სპორტსმენებზე უარი არ გვითქვამს. მათგან საუკეთესოდ გამოვიდა დავით ილარიანი, რომელმაც 110 მეტრზე თარჯრბენში ყველას აჯობა (13,97), სიგრძეზე ხტომაში კი მეხუთე იყო (7.85). ილარიანი ასეთი შედეგებისთვის სტამბოლში, კომერციულ ტურნირზე მიიწვიეს, მერე ოსაკაში მსოფლიოს ჩემპიონატზეც გამოვა და ვფიქრობთ, პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილეობისთვის თარჯრბენში სალიცენზიო ნორმატივს (13,62) შეასრულებს. კიდევ ერთმა ჩვენმა სავარაუდო ოლიმპიურმა ლიცენზიანტმა იულია დუბინამ სამხტომში არცთუ ურიგო მეხუთე ადგილი დაიკავა, თუმცა შედეგით (12,04) მთლად კმაყოფილნი არ ვართ, მას მეტი შეუძლია.

შეიძლებოდა, ამ შეჯიბრებაზე ჩამოგვეყვანა ათენის ოლიმპიური თამაშების მონაწილე, ბირთვის მკვრელი მარიამ ქევხიშვილიც, რომელიც ამერიკაში ვარჯიშობს და ჟენიცაში ალბათ გაიმარჯვებდა კიდეც, მაგრამ მისი მოცდენა ამ ასპარეზობისთვის მიზანშეუწონლად მივიჩნიეთ, სხვებისთვის კი ეს შეჯიბრება მეტად საჭირო იყო, სადაც საქართველოს სპორტის დეპარტამენტის ძალისხმევით გამოვედით.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

# ანტონიეტამ იტალიის ჭერი აუწია



**ამ უქმეებზე** მიუნხენში ევროპის თასი რომ გათამაშდა, წინა ნომერში მოგახსენეთ. ეს იყო კონტინენტის ერთგვარი გუნდური ჩემპიონატი, რომლის მსგავსიც ოლონდ ცოტა კიდევ არაერთი იმართება. შეიძლება ითქვას, ევროპა სიძლიერის მიხედვითაა რამდენიმე ლიგად დაყოფილი.

ერთი ასეთი „ქველიგის“ შეხვედრებს იტალიურმა მილანმა უმასპინძლა და იქ მასპინძლებმა ქალებშიც და კაცებშიც დამაჯერებლად იმარჯვეს. კაცებმა 30 ქულით აჯობეს სლოვენიელებს, იტალიელ ქალებს კი ყველაზე დიდი კონკურენცია რუმინელებმა გაუწიეს.

შესანიშნავი შედეგით დაამთავრა გამოსვლა იტალიელმა სიმაღლეზე მხტომელმა ქალმა ანტონიეტა დი მარტინომ, რომელმაც 2,03 მეტრი დაძლია, ამაზე მაღლა გადებულ თამასას კი წლეულს მხოლოდ ხორვატი ბლანკა ვლასიჩი თუ გადავლებია. საერთოდ, ქალთა სიმაღლეზე ხტომაში აშკარად იზრდება კონკურენცია და ადრე შვედ კაისა ბერგკვისტს რეალურ კონკურენტად მხოლოდ ბელგიელი ტია ელებო რომ ჰყავდა, ახლა ბევრის სუნთქვა უცხელებს მაღალ ზურგს.

დი მარტინოს არც ჰქონდა დაგეგმილი ასეთი შედეგის მიღწევა, უბრალოდ, ყველაფერი კარგად წაუვიდა და 203 სანტიმეტრამდე ისე აღზევდა, მგონი, თავადაც ვერ იგრძნო მღელვარება ან დაღლა. იტალიელმა კალიამ მოკრძალებული სიმაღლეებით დაიწყო და სულ რაღაც 1,91 სანტიმეტრზე აჯობა ყველას, შემდეგ კი, რა შეატყო, რომ თამასა ძალიან იოლად დასაძლევად ეჩვენებოდა, ერთი ცდით დაძლია 1,96 მეტრი, შემდეგ 2,00 მეტრსაც იოლად გადაევლო და მიადგა 2,03-ს, რომლის ასაღებადაც ორი ცდა დასჭირდა და იტალიის ახალი რეკორდიც გამოაცხო.

თავად დი მარტინო ოდნავ გაკვირვებული ჩანდა: „ვერ ვიტყვი, რომ ამ სიმაღლის აღება მოულოდნელობა იყო. მე უფრო ჩემმა სპორტულმა ფორმამ გამაოცა. წინა კვირაში აშკარად გადაღლილი ვიყავი და ასეთ სიმაღლეს 10 სანტიმეტრითაც ვერ მივუახლოვდებოდი. ახლა კი ისე კარგად ვიხტუნავე, რომ ძალაუნებურად ოსაკას მსოფლიოს ჩემპიონატის მედალზე დავიწყე ფიქრი. მთავარია, იქამდე ასეთი ფორმით მივიდე და მერე შეუძლებელი არაფერი იქნება. ამ კვირაში შვედეთში უნდა ჩავიდე და კაისა ბერკვისტის მიერ ორგანიზებულ ტურნირში გამოვიდე, პარასკევს კი პარიზში მივდივარ ოქროს ლიგის მეორე ეტაპზე და იმედი მაქვს, ოსლოში პირველ ეტაპზე ნაჩვენებ 1,90 მეტრს შესამჩნევად მოვუმატებ“.

მილანში იტალიის კიდევ ორი რეკორდი გამოცხვა და მათი ავტორებიც ქალები არიან. ბირთვის მკვრელმა ჩიარა როსიმ 18,71 მეტრზე ჰკრა რკინის ჭურვი და 11 სანტიმეტრით გააუმჯობესა ევროპის ჭერქვეშა პირველობის მომგები ასუნტა ლეგანტეს იტალიური რეკორდი, მერე კი ისე გაიხარა, რომ მწვრთნელის და სხვა ხელისმომკიდეების მისამართით მადლობები მადლობებზე იხადა, მაგათი შემწეობით ვარ, თუკი რამე ვარო.

მესამე იტალიური რეკორდი 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში ელენა რომანოლიმ (9:41,11) დაამყარა.

არაიტალიელთაგან პორტუგალიელი დიაცი ნაიდე გომეში უნდა ვახსენოთ. ევროპის ჩემპიონატის ვერცხლოსანმა სიგრძეზე მხტომელმა 6,80 მეტრზე ისკუპა, მერე კი იმაზე ლაპარაკი დაიწყო, ტრავმები რომ არ მქონოდა, უფრო შორსაც გადავხტებოდი და პირად რეკორდსაც გავაუმჯობესებდი, რომელიც 6,82 მეტრიაო. გომეშის კაცმა თანამემამულემ, სამხტომელმა ნელსონ ევორამ კი 17,35 მეტრზე ისკუპა.

**ქოტე ყორშია**



# 202 17-ზე დახტის

**სამხტომის** შევდ ვარსკვლავ კრისტიან ოლსონს თითქოს კონკურენტები და მეტოქეები აკლდა და წლეულს კიდევ ერთი სერიოზული მეტოქე გამოუჩნდა. კალათბურთელის აღნაგობის მძლეოსანმა, 202-სანტიმეტრიანმა ბრაზილიელმა ჟადელ გრეგორიომ კიდევ ერთხელ შეახსენა თავი სამხტომში მონოპოლისტ ევროპელებს. მაისში მან სულისშემხუთავი შედეგი აჩვენა — 17,90 მეტრზე დაეშვა მიწასთან ფეხის სამჯერ შეხების შემდეგ და სეზონის საყოველთაო რეკორდთან ერთად მან სამხრეთ ამერიკის ყველა დროის საუკეთესო შედეგიც აჩვენა.

ეს ადრე იყო, ახლა კი სან პაულუში მიმდინარე ტურნირზე ბრაზილიელმა გიგანტმა 19,70-მეტრიანი შედეგით ძალიან იოლად იმარჯვა და კიდევ ერთი მესიჯი გაუგზავნა ოლსონსა და კომპანიას. მის შემხედვარე ევროპელებს ის თუ დაამშვიდებთ, რომ გრეგორიო ძალიან არასტაბილურად ხტის. სან პაულუშიც ხუთი ცდიდან მხოლოდ ეს ერთი შეასრულა ხეირიანად, სხვები კი ან ჩაუფლავდა, ან მოკლე გამოუვიდა.

# ლიუ სიანი თავისივეზე ოცნებობს

**110 მეტრზე** თარჯრბენში ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიოს რეკორდსმენი ლიუ სიანი მიმდინარე სეზონში ჯერ ხეირიანად არც გახურებულა, მაგრამ უკვე თავისივე რეკორდის განახლებაზე ოცნება-ფიქრებს ველარ მალავს. ჩინური გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში ჩინელი დიდვარსკვლავი ამბობს: „ეს წელი ძალიან ხელსაყრელია ახალი რეკორდებისთვის. ვფიქრობ, ამისთვის ყველა შანსი მაქვს. დარწმუნებული ვარ, რომ უფრო სწრაფად სირბილიც შემიძლია, მაგრამ რეკორდი რომ დავამყარო, ამისთვის რამდენიმე ხელსაყრელი ფაქტორის დამთხვევა უნდა მოხდეს და მათ შორის იღბალი ნამდვილად არაა უკანასკნელი და უმნიშვნელო.“

ლიუ სიანის რეკორდია 12,88 წამი 110 მეტრ თარჯრბენში, რომელიც მან ზუსტად ერთი წლის წინ შვეიცარიულ ლოზანაში დაამყარა.

## დორტმუნდის სუპერტურნირი

**გერმანია. 23 ივნისი — 1 ივლისი**

**II ტური**

| | | |
|---|---|---|
| ევგენი ალექსეევი (რუსეთი) | 1:0 | შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი) |
| ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) | 1:0 | ბორის გელფანდი (ისრაელი) |
| ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 0,5:0,5 | პეტერ ლეკო (უნგრეთი) |
| არკადი ნაიდიჩი (გერმანია) | 0,5:0,5 | მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) |

# რუსი თავები დორტმუნდში

**მეორე ტურის** შემდეგ ცხრილის თავში რუსები მოექცნენ. ვლადიმირ კრამნიკმა და ევგენი ალექსეევმა თეთრი ფიგურებით თავთავიანთი შეხვედრები მოიგეს და 1,5 ქულით ყველას გადაუსწრეს.

21 წლის ალექსეევს სპეციალისტები ტურნირის აუტსაიდერად თვლიდნენ და მამედიაროვთან შეხვედრისას ფავორიტად აზერბაიჯანელს მიიჩნევდნენ. დებიუტში მათ სიცილიური დაცვა გაითამაშეს. ევგენიმ მარჯვნიდან განავითარა იერიში, მამედიაროვის მეფეს სამძრაო გზები მოუსპო და მე-40 სვლაზე დაამარცხა.

საინტერესო გამოდგა ანანდისა და ლეკოს დაპირისპირება. ინდუსმა კლასიკური e4-ით დაიწყო პარტია, მე-5 სვლაზე როქი გააკეთა და წინ მსუბუქი ფიგურები გამოუშვა. 24-ე სვლაზე მათ ეტლები გაცვალეს და ლეკოს მოგების შანსი მიეცა, თუმცა, ანანდმა მდგომარეობა ორ სვლაში განმუხტა, კუ გადაადგილა და 29-ე სვლაზე ყაიმს გამორჩა.

**ლაშა გეგეჭკორი**

**სატურნირო ვითარება**

| | | |
|---|---|---|
| 1. | სერგეი ალექსეევი | 1,5 |
| 2. | ვლადიმირ კრამნიკი | 1,5 |
| 3. | ვიშვანათან ანანდი | 1 |
| 4. | პეტერ ლეკო | 1 |
| 5. | მაგნუს კარლსენი | 1 |
| 6. | შაჰრიარ მამედიაროვი | 1 |
| 7. | ბორის გელფანდი | 0,5 |
| 8. | არკადი ნაიდიჩი | 0,5 |


სერგეი კარიაკინი და ლუკ ვან ველი

# საუკეთესო შეტევა პატარისაა

**უკრაინაში,** კერძოდ კი ყირიმულ სანატორიუმ ფოროსში მიმდინარე „აეროსვიტის" ტურნირზე მეშვიდე ტური ჩატარდა. ცხრილის თავში კვლავაც სერგეი კარიაკინია. ჭაბუკი უკრაინელი ხუთი ქულით ლიდერობს და მეორეზე მყოფ ვასილ ივანჩუკს ნახევარი ქულით უსწრებს.

მეშვიდე ტურში კარიაკინმა ჰოლანდიელი ლუკ ვან ველი დაამარცხა. დებიუტში მათ სიცილიური დაცვა გაითამაშეს. თავიდან ოლანდიელი გააქტიურდა, ორივე ფლანგიდან იერიშები დაიწყო და უპირატესობას დაეუფლა. კარიაკინმა მანევრებს მიმართა, 26-ე სვლაზე კუ შესწირა მეტოქეს, 31-ზე კი ეტლი და მტერს დაწყობილი ჯარი აურია. სერგეიმ ლაზიერით დაარტყა შავ მეფეს, ამასთან ცენტრიდან პაიკითაც მიაწვა და 35-ე სვლაზე დაამარცხა.

სპეციალისტებს დიდად მოეწონათ უკრაინელის თამაში და მისი პარტია „საუკეთესო შეტევის" ნომინაციაზე წარადგინეს.

**ლაშა გეგეჭკორი**



# ტოპალოვის გზა

## ვითომ მოკლე, ვითომ გრძელი, ჩახლართული

**ტალინში** დასრულებულ ფიდეს საპრეზიდენტო საბჭოს სხდომაზე ვესელინ ტოპალოვს მსოფლიოს ჩემპიონატზე არაპირდაპირ თამაშის ნება დართეს. არაპირდაპირი იმას ნიშნავს, რომ ტოპალოვი არ ითამაშებს მექსიკაში გასამართ პრეტენდენტთა ტურნირში, მაგრამ მერე ხანტი-მანსიისკში გასამართ მსოფლიოს თასის მფლობელს შეხვდება და მოგების შემთხვევაში მსოფლიოს ჩემპიონს დაუპირისპირდება. ანუ რაღაც, შუალედური, ნახევარფინალური ეტაპიდან დაიწყებს თამაშს. მატჩს სავარაუდოდ ბულგარეთი უმასპინძლებს და მომავალი წლის პირველ ნახევარში გაიმართება.

ისიცაა, რომ თუ ვლადიმირ კრამნიკი სექტემბერში მსოფლიოს ჩემპიონობას შეინარჩუნებს, მომავალ წელს ტოპალოვს დაუპირისპირდება, ანუ მატჩ-რევანში შედგება. ბულგარელის მენეჯერი სილვიო დანაილოვი ამ გადაწყვეტილებით კმაყოფილი დარჩა.

**ლაშა გეგეჭკორი**

კრივი

# ერთი ხელის მოწერა

## ჰატონმა მეივეზერს სადერღელი აუშალა

**მას შემდეგ,** რაც ნაკლებადპრესტიჟული IBO-ს ვერსიით საჩემპიონო ქამრის მფლობელმა, ბრიტანელი ქვესაშუალოწონოსანმა რიკი ჰატონმა, უაღრესად შთამბეჭდავ სტილში, მეთხე რაუნდში ნოკაუტით მოუგო WBC-ს ძველ ჩემპიონს, მექსიკელ ხოსე ლუის კასტილიოს და თავისი პროფესიონალური მონაგარი 43 ბრძოლაში 43 გამარჯვებამდე აიყვანა, ბრიტანელით ამერიკელი პრომოუტერებიც დაინტერესდნენ.

თანაც, ვინმე რიგითი მოკრივეების კი არა, თვით ფლოიდ მეივეზერ უმცროსის, ვისაც ბევრი თანამედროვეობის საუკეთესო მოკრივედ მიიჩნევს. მეივეზერმა მაისში ქულებით რომ მოუგო ოსკარ დე ლა ჰოიას, რინგიდან წასვლის შესახებ გააკეთა განცხადება, მაგრამ არავის შეპარვია იმაში ეჭვი, რომ სარფიანი წინადადების შემთხვევაში ის თავის სიტყვებს უკან წაიღებდა.

როგორც ჩანს, ასეც ხდება. ფლოიდის მენეჯერმა ლეონარდ ელერბემ „დეილი ნიუსისთვის" მიცემულ ინტერვიუში ბრძანა, რომ მისი შეგირდი მზადაა ჰატონთან საჩხუბრად. „ჰატონმა მიაღწია იმას, რაც უნდოდა — ფლოიდის ინტერესი გამოიწვია. მისი გამონათქვამები ხშირად თავხედურია და ასეთი გზით ცდილობს საკუთარი სახელის განდიდებას. ახლა მას მოუწევს საკუთარ სიტყვებზე პასუხის გაცემა — თქვა ელერბემ და დაამატა — ჩვენ მზად ვართ. ერთადერთი, რაც ახლა ჰატონისგანაა საჭირო, ის გახლავთ, რომ კონტრაქტზე ხელი მოაწეროს".

ჰატონი ამ საქმეზე, ალბათ, უკან არ დაიხევს. ის ხომ მართლაც დიდი ხანია აცხადებს, რომ სწორედ მეივეზერთან სურს ჩხუბი და ამავდროულად, ბრიტანელი იმაშიც დარწმუნებულია, რომ ამ ბრძოლაში სწორედ ის იქნება გამარჯვებული.


კასტილიოსთან გამარჯვების შემდეგ რიკი ჰატონი დიდ გუნებაშია



ჩოგბურთი

ბიბლიოთეკა

# მაკა პადოვაში მესამეა

**იტალიის** ქალაქ პადოვაში სტამბოლის ანალოგიური, 25-ათასიანი ტურნირი ტარდება და საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელმა ქალმა მაკა ჩახნაშვილმა კვალიფიკაციიდან მოახერხა ძირითად ბადეში შესვლა — კოლუმბიელი კარენა-ემილია კასტიბლანკო-დუარტესთან 6:1 6:3 მოგების შემდეგ 6:2 6:2 სძლია იტალიელ ალესანდრო დი ბატეს.

ჩახნაშვილმა ტურნირი კვალიფიკაციიდან იმიტომ დაიწყო, რომ შეჯიბრში მონაწილეობაზე განაცხადის შეტანა დააგვიანა, თორემ რეიტინგით მას ისედაც ეკუთვნოდა ძირითად ბადეში ყოფნა. სხვა თუ არაფერია კვალიფიკაციიდან წამოსული მაკა ძირითად ტურნირში მე-3 ნომრად განთესეს და პირველ წრეში 27 წლისა და კლასიფიკაციაში 268-ე პოზიციაზე მყოფ ჩეხ მიხაელა პახტიკოვასთან სწორედ ქართველი ითვლება ფავორიტად.

# დარჩა ერთი სოფო


სოფო ქვაცაბაია

**სტამბოლში** ITF-ის ეგიდით მიმდინარე ქალთა 25-ათასიანი შეჯიბრის საკვალიფიკაციო ბარიერი ორი ქართველიდან მხოლოდ ერთმა დაძლია. სოფო შაფათავამ რუს ანასტასია შილინსკაისთან გამარჯვების შემდეგ რეიტინგში 648-ე ადგილზე მყოფ აზერბაიჯანელ ელენა ჰასანოვასაც აჯობა და ახლა ძირითად ტურნირში ითამაშებს, სადაც პირველ წრეში 17 წლისა და კლასიფიკაციაში 554-ე ადგილზე მყოფ ყაზახ ქსენია პაკლინას შეხვდება.

სამწუხაროდ, სეხნიას მხარი ვერ აუბა სოფო ქვაცაბაიამ, რომელმაც კვალიფიკაციის პირველ წრეში ბულგარელ ლუტფია ველევას კი აჯობა, მაგრამ მერე თავად დამარცხდა რეიტინგში 508-ე ადგილზე მყოფ ინდოელ სანაა ბჰამბრისთან.

# დევიძე ფრეზერით იწყებს

**ამერიკის** შეერთებულ შტატებში, ოკლაჰომას შტატის ქალაქ ედმონდის ჰარდზე პატარა, 10-ათასიანი ტურნირი ტარდება. იქ სალომე დევიძე თამაშობს და ქართველი ჩოგბურთელი მე-7 ნომრადაა განთესილი.

სალომეს მეტოქე პირველ წრეში 22 წლის ამერიკელი ნატალი ფრეზერი იქნება, ვინც შეჯიბრეჯი ორგანიზატორთა კეთილი ნებით, ანუ „უაილდ ქარდით" მოხვდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## უიმბლდონი 2007. ბალახი საპრიზო 11 282 710 $

### 26 ივნისი
### კაცები
### პირველი წრე

**ხუან მარტინ დელ პოტრო** (არგენტინა) — დავიდე სანგინეტი (იტალია) 3:6 6:3 6:4 6:4; **აისამ-ულ-ჰაკ ქურეში** (პაკისტანი) — ლი ჩაილდსი (ბრიტანეთი) 6:3 6:4 7:6; **მარატ საფინი** (26, რუსეთი) — რიკ დე ვოსტი (ჰოლანდია) 7:6 6:4 7:5; **ჯეიმს ბლეიკი** (9, აშშ) — იგორ ანდრეევი (აშშ) 6:3 6:4 6:4; **ანდრეი პაველი** (რუმინეთი) — ხუან პაბლო გუზმანი (არგენტინა) 6:4 6:4 6:1; **ჟილ მიულერი** (ლუქსემბურგი) — ოსკარ ერნანდესი (ესპანეთი) 6:2 6:7 4:3 (უარი); **ხუან კარლოს ფერერო** (20, ესპანეთი) — იამ ჰაჟეკი (ჩეხეთი) 6:7 4:6 6:3 6:2 7:5; **ფერნანდო ვერდასკო** (ესპანეთი) — ბობი რეინოლდსი (აშშ) 6:4 6:4 6:3; **ანდრეა სეპი** (იტალია) — დომინიკ ჰრბატი (31, სლოვაკეთი) 7:6 6:1 6:2; **იან ჰერნიხი** (ჩეხეთი) — მარკ ჟიკელი (საფრანგეთი) 0:6 6:4 6:4 6:4; **ივან ლიუბიჩიჩი** (15, ხორვატია) — ვინსენტ სპადეა (აშშ) 6:4 6:4 4:6 7:6; **რიშარ გასკე** (12, საფრანგეთი) — ბოგდან ულირახი (ჩეხეთი) 6:3 6:4 6:4; **ნიკოლა მაჰუ** (საფრანგეთი) — არნო კლემანი (საფრანგეთი) — 6:3 3:6 7:6 6:4; **ედუარდო როჟე-ვასელინი** (არგენტინა) — ჯეიმს ბეიკერი (ბრიტანეთი) 7:6 6:2 6:3; **ტიმ ჰენმანი** (ბრიტანეთი) — კარლოს მოია (25, ესპანეთი) 6:3 1:6 5:7 6:2 13:11; **ფელისიანო ლოპესი** (ესპანეთი) — ჯოშუა გუდოლი (ბრიტანეთი) 6:1 6:4 6:4; **ჟო-უილფრიდ ცონგა** (საფრანგეთი) — ჟულიენ ბენეტო (საფრანგეთი) 7:6 7:5 6:4; **ნიკოლა ლაპენტი** (ეკვადორი) — კევინ კიმი (აშშ) 2:6 6:2 4:6 6:3 6:4; **დმიტრი ტურსუნოვი** (21, რუსეთი) — ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი) 7:6 6:4 6:7 6:3; **ხუან-იგნასიო ჩელა** (24, არგენტინა) — ბენჯამინ ბეკერი (გერმანია) 3:6 4:6 6:4 6:4 10:8; **დავიდ ნალბანდიანი** (23, არგენტინა) — მიხაილ ზვერევი (გერმანია) 6:3 6:4 6:2; **ლეიტონ ჰიუიტი** (16, ავსტრალია) — რიჩარდ ბლუმფილდი (ბრიტანეთი) 7:6 6:3 7:5; **მაქს მირნი** (ბელარუსი) — იენ-ჰსუნ ლუ (ტაივანი) 6:3 6:4 2:1 (უარი); **იონას ბიორკმანი** (19, შვედეთი) — ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) 6:3 6:1 6:2; **ტომი რობრედო** (11, ესპანეთი) — რობერტ კენდრიკი (აშშ) 6:2 3:6 6:3 6:7 6:3; **ვერნერ ეშჰაუერი** (ავსტრია) — რუბენ რამირეს-იდალგო (ესპანეთი) 6:2 3:6 6:4 6:3; **უეინ არტურსი** (ავსტრალია) — ტიმო დე ბაკერი (ჰოლანდია) 6:7 6:7 7:6 6:4 6:4; **ჰიუნგ-ტაიკ ლი** (სამხ. კორეა) — მარტინ ვასალო არგუელო (არგენტინა) 6:4 6:2 6:3; **აგუსტინ კალერი** (29, არგენტინა) — ლუის ჰორნა (პერუ) 6:2 7:6 7:5; **რაფაელ ნადალი** (2, ესპანეთი) — მარდი ფიში (აშშ) 6:3 7:6 6:3; **ტომაშ ბერდიხი** (7, ჩეხეთი) — ნიკოლას მასუ (ჩილე) 7:6 6:4 6:2; **სიმონე ბოლელი** (იტალია) — გილერმო გარსია-ლოპესი (ესპანეთი) 4:6 7:6 6:4 6:4; **კრის გუჩიონე** (ავსტრალია) — ალექს ბოგდანოვიჩი (ბრიტანეთი) 7:6 6:4 6:4; **კრისტოფ ვლიგენი** (ბელგია) — ხუან მონაკო (32, არგენტინა) 6:4 6:3 7:6; **ფაბრის სანტორო** (საფრანგეთი) — ივო კარლოვიჩი (ხორვატია) 4:6 7:6 7:6 3:6 6:4; **ამირ დელიჩი** (აშშ) — ლუკაშ დლუჰი (ჩეხეთი) 6:3 6:4 5:7; **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (4, სერბეთი) — პოტიტო სტარაჩე (იტალია) 6:0 6:3 6:4; **მიშელ ლოდრა** (საფრანგეთი) — სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია) 6:4 6:4 6:1; **ეუ-ცუო ვანგი** (ტაივანი) — იგორ კუნიცინი (რუსეთი) 6:3 6:4 6:7 6:2; **რობინ სოდერლინგი** (28, შვედეთი) — ოლივიე როხუსი (ბელგია) 6:3 6:2 6:2; **სებასტიან გროჟანი** (საფრანგეთი) — ჯონატან მერეი (ბრიტანეთი) 6:2 7:6 7:5; **ფლორიან მაიერი** (გერმანია) — სემ ვორბურგი (აშშ) 6:4 6:2 6:2; **იარკო ნიემინენი** (18, ფინეთი) — მაიკლ რასელი (აშშ) 6:3 6:2 7:5; **მიხაილ იუჟნი** (14, რუსეთი) — კრისტიან პლესი (დანია) 6:4 6:2 6:4; **გილერმო კანასი** (22, ესპანეთი) — ივან ნავარო პასტორი (ესპანეთი) 7:6 6:3 6:1; **ნიკლას კიფერი** (გერმანია) — ფილიპო ვოლანდრი (30, იტალია) 6:3 7:6 6:1; **ფრენკ დანცევიჩი** (კანადა) — შტეფან კუბეკი (ავსტრია) 6:2 6:4 6:2; **ნიკოლა დევილდერი** (საფრანგეთი) — მარიანო ზაბალეტა (არგენტინა) 6:7 6:4 7:5 6:4; **ნიკოლაი დავიდენკო** (6, რუსეთი) — ევგენი კოროლიოვი (რუსეთი) 7:6 6:4 7:6; **ჟილ სიმონი** (საფრანგეთი) — მარინ ჩილიჩი (ხორვატია) 3:6 7:5 6:4 4:6 6:3; **გაელ მონფილზი** (საფრანგეთი) — ტომას იოჰანსონი (შვედეთი) 6:4 7:6 6:2; **მარკოს ბაღდატისი** (10, კვიპროსი) — ერნესტ გულბისი (ლატვია) 3:6 6:4 6:3 6:2

### ქალები
### პირველი წრე

**ემილი ლუა** (საფრანგეთი) — ტიან ტიან სუნი (ჩინეთი) 6:3 6:1; **ელენა ვესნინა** (რუსეთი) — ოლგა პუჩკოვა (30, რუსეთი) 6:1 6:3; **ალიონა ბონდარენკო** (24, უკრაინა) — ჯილ კრეიბასი (აშშ) 6:1 6:2; **აგნეს სჟავაი** (უნგრეთი) — ევა ბრინეროვა (ჩეხეთი) 6:4 6:1; **დანიელა ჰანტუხოვა** (10, სლოვაკეთი) — ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუსეთი) 6:0 6:1; **ელენა ლიხოვცევა** (რუსეთი) — მარია ელენა კამერინი (იტალია) 3:6 6:1 7:5; **ნიკა ოჟეგოვიჩი** (ხორვატია) — ანა-ლენა გრონეფელდი (გერმანია) 6:3 6:2; **კატარინა სრებოტნიკი** (19, სლოვენია) — ელენა ბალტაჩა (ბრიტანეთი) 7:6 3:6 6:2; **სამანტა სტოსური** (27, ავსტრალია) — კრისტინა ბრანდი (პუერტო რიკო) 4:6 6:2 6:2; **მილაგროს სექერა** (ვენესუელა) — ჯულია შრუფი (გერმანია) 6:3 6:2; **ალისია მოლიკი** (ავსტრალია) — ანასტასია როდიონოვა (რუსეთი) 6:3 6:2; **ელენა იანკოვიჩი** (3, სერბეთი) — ენ კეტავონგი (ბრიტანეთი) 6:2 6:0; **იარმილა გაიდოშოვა** (სლოვაკეთი) — მეგან შონესი (აშშ) 6:2 6:4; **ელენი დანილიდუ** (საბერძნეთი) — გიზელა დულკო (არგენტინა) 5:7 6:3 8:6; **ოლგა გოვორცოვა** (ბელარუსი) — გრეტა არნი (გერმანია) 6:7 7:6 6:1; **მიკაელა კრიაჩეკი** (31, ჰოლანდია) — ციპორა ობზილერი (ისრაელი) 6:2 6:7 6:1; **კეტი ობრაიენი** (ბრიტანეთი) — სანდრა კლოზელი (გერმანია) 6:3 7:5; **ანა ჩაკვეტაძე** (8, რუსეთი) — ანჟელიკ კრებერი (გერმანია) 7:5 6:3; **ტატიანა პუჩეკი** (ბელარუსი) — ვიქტორია კუტუზოვა (უკრაინა) 6:4 6:2; **ამელი მორესმო** (4, საფრანგეთი) — ჯამეა ჯექსონი (აშშ) 6:1 6:3; **ჰანა შრომოვა** (ჩეხეთი) — შუაი პენგი (ჩინეთი) 6:4 6:4; **ივონ მოისბურგერი** (ავსტრია) — ვირჟინი რაზანო (საფრანგეთი) 6:4 7:5; **ალიზე კორნე** (საფრანგეთი) — მარია კირილენკო (რუსეთი) 6:4 6:4; **სანია მირზა** (ინდოეთი) — იაროსლავა შვედოვა (რუსეთი) 6:0 6:3; **ნადია პეტროვა** (11, რუსეთი) — ვანია კინგი (აშშ) 6:0 6:1; **სვეტლანა კუზნეცოვა** (5, რუსეთი) — იულია ვაკულენკო (უკრაინა) 4:6 6:4 6:3; **ბეტანი მატეკი** (აშშ) — ვასილისა ბარდინა (რუსეთი) 6:1 6:0; **მარია შარაპოვა** (2, რუსეთი) — იუნგ-იან ჩანი (ტაივანი) 6:1 7:6; **ვინუს უილიამსი** (23, აშშ) — ალა კუდრიავცევა (რუსეთი) 2:6 6:3 7:5; **აი სუგიამა** (26, იაპონია) — მელანი საუთი (ბრიტანეთი) 6:3 6:2


ანა ჩაკვეტაძემ თავისი მესამე უიმბლდონი მოგებით დაიწყო

AFP ფოტო

# სიტყვის კაცი

## ტიმ ჰენმანმა სიბერე გაიხალისა


AFP ფოტო

ჯერ კიდევ სამი-ოთხი წლის წინ ტიმ ჰენმანისა და კარლოს მოიას შეხვედრა ტურნირის უფრო შორეულ ეტაპზე გაიმართებოდა და შეიძლება დღის მატჩიც ყოფილიყო. თუმც ამჯერად ორი ვეტერანი ერთმანეთს პირველივე წრეში დაუპირისპირდა და მათ შეხვედრას წესით, არც ისე დიდი ინტერესი უნდა გამოეწვია — ჰა-ჰა მასპინძლებს გამოედოთ თავი და ენდი მიურეის უარის შემდეგ შემორჩენილი ერთადერთი იმედისთვის მიედევნებინათ თვალი მეტ-ნაკლები ყურადღებით. თუმც ბრიტანელმა და ესპანელმა ვეტერანებმა ნამდვილი სპექტაკლი დადგეს და ისეთი ორდღიანი მარათონი მოაწყვეს, ჯერჯერობით ამ უიმბლდონის მთავარ მშვენებად რომ იქცა.

წვიმის გამო კორტზე დაგვიანებით გასულმა მეჩოგნეებმა ორშაბათს ვერ დაასრულეს თავიანთი შეხვედრა, რადგან ორივე ყველა ბურთისთვის იბრძოდა. ისე, ჰენმანს გუშინწინვე შეეძლო საქმის მოთავება, რადგანაც მეხუთე სეტში 5:4-ზე ოთხი მატჩ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ პირინეელმა მაინც გაათანაბრა ანგარიში — თამაში დაბინდების გამო სწორედ აქ შეწყდა. ვინაიდან უიმბლდონზე მეხუთე სეტში ტაიბრეიკი არ ტარდება და მატჩი იქამდე გრძელდება, სანამ რომელიმე მეჩოგნე ორგეიმიან უპირატესობას არ მოიპოვებს, ჰენმანმა და მოიამ გუშინაც თითქმის მთელი საათი იჭიდავეს და ცენტრალურ კორტზე შეკრებილი მაყურებელი მაგრადაც ასიამოვნეს. ამ ჯახში საბოლოოდ გამარჯვება მასპინძელთა ფავორიტს დარჩა, რომელმაც ესპანელი მხოლოდ 24-ე გეიმში გატეხა და ტურნირის წინ დადებული პირობა აასრულა, როცა ლამის დაიფიცა, უიმბლდონზე მინიმუმ ერთ წრეს აუცილებლად გავივლიო.

სხვა მხრივ კი დიდად საინტერესო უიმბლდონზე ჯერჯერობით არაფერი ხდება, რადგან ფავორიტები შეუცდომლად მიიწევენ წინ. კაცების ამბებით დავიწყოთ და რაფაელ ნადალზე ვთქვათ, რომელმაც სასტარტო უიმბლდონური გამოცდა წარმატებით ჩააბარა და მარდი ფიში სამ სეტში დაჯაბნა. ესპანელს მხარი აუბეს სხვა ბობოლებმაც — მეორე წრეს უპრობლემოდ უწიეს ლეიტონ ჰიუიტმა და ჯეიმს ბლეიკმაც. ოზი მასპინძელ რიჩარდ ბლუმფილდს გაუმკლავდა, შავტუხა იანკიმ კი იგორ ანდრეევს გამოუყვანა წირვა.

მოულოდნელობების გარეშე მიდის ქალთა ტურნირიც. ძალიან ადვილად მოიგეს თავიანთი შეხვედრები მოქმედმა ჩემპიონმა ამელი მორესმომ და შარშანდელმა ფინალისტმა ჟუსტინ ენინმა. მხარბეჭიანმა ფრანგმა შანსიც კი არ დაუტოვა ჯამეა ჯექსონს, მაშინ როცა ჰინკა ბელგიელმა მეორე წრის საგზური ჯერ კიდევ ორშაბათს გვიან ღამით გაინაღდა. ისე, ორივე ისეთ მაგარ ფორმაშია, არ გაგიკვირდეთ, ფინალში ისევ ისენი რომ გავიდნენ.

თუმც ამას კატეგორიულად არ დაეთანხმებიან სხვა ბობოლები და ალბათ უპირველსად ამერიკელი დები უილიამსები. ოღონდ აქვე ვთქვათ, რომ პირველ წრეში ორივემ საკმაოდ მძიმე შთაბეჭდილება დატოვა. ეს განსაკუთრებით უფროსს, ვინუსს ეხება, რომელმაც ალა კუდრიავცევა კი გაუყენა სახლის გზას, მაგრამ ასეთივე წარმატებით შეიძლებოდა თვითონ აღმოჩენილიყო დამარცხებულის როლში. რუსმა გოროზ მეტოქეს სეტი მოუგო და მეორეში ბრეიკიც ჰქონდა, მაგრამ რაღ გინდა — როგორც ასეთი დონის მეჩოგნეებს ხშირად ემართებათ ხოლმე, აქ აუკანკალდა ხელები და ვინუსს გონს მოსვლის საშუალება მისცა. ამერიკელი კი არასოდეს გამოირჩეოდა განსაკუთრებული მიმტევებლობით, სლავისთვის ეს შეცდომა რომ ეპატიებინა. მართალია, მესამე სეტში კუდრიავცევამ ისევ გაიბრძოლა და კარგა ხანს იომა კიდეც, მაგრამ ვინუსს მაინც ეტყობოდა, რომ ამ მატჩის ხელიდან გაშვები აღარ იყო.

დისგან განსხვავებით, სერენას სამი სეტის გამართვა არ დასჭირვებია, მაგრამ ლურდეს დომინგესლინომ ისიც მაგრად გააწვალა, განსაკუთრებით პირველ პარტიაში. თუმც აქვე გაფრთხილების სახით ვქთვათ, რომ პირველი მატჩებით შავდების პერსპექტივებზე რაიმე დასკვნის გაკეთება უაზრობა იქნება — ბოლოს და ბოლოს, არც ერთს „როლან გაროსის" მერე არ უთამაშია და თავისთავად, რომ ახალ საფარზე ცოტა გაუჭირდათ. საკმარისია ერთი-ორი ასეთი გამარჯვება და მერე სიჩქარეაკრეფილ ლოკომოტივებს თუ დაემსგავსნენ, გაბედოს ვინმემ და წინ გადაეღობოს.

მეორე წრეშია „ფავორიტთა კლუბის" კიდევ ორი წარმომადგენელი — მარია შარაპოვა და ელენა იანკოვიჩი. ამ დუეტიდან სერბი ავღნიშნოთ, რომელმაც საათზე ნაკლები დრო მოანდომა მასპინძელი კეტავონგის განადგურებას. ორ სეტში იხეირა რუსმა პრიმამაც, მაგრამ ტაივანელმა ჩანმა მაშა საკმაოდ გააწვალა.

**ქახა ლომჯარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მსოფლიო ლიგა. კაცები ჯგუფური ეტაპი მე-9 და მე-10 ტურები



რუსები ფინალში გასვლას ზეიმობენ

# ოთხნი სახლში და იტალია გარეთ

**2007 წლის** მსოფლიო ლიგის ფინალურ ეტაპს 11-15 ივლისს პოლონეთის ქალაქი კატოვიცე უმასპინძლებს. მასში ექვსი ნაკრები მიიღებს მონაწილეობა — მასპინძელი პოლონეთი, ჯგუფების გამარჯვებულები და მეექვსეს კი მსოფლიო ლიგის ორგანიზატორები ჯგუფებში მეორე ადგილებზე გასული გუნდებიდან შეარჩევენ და კატოვიცეში „ვაილდ ქარდით" მიიწვევენ.

იქიდან გამომდინარე, რომ D ჯგუფში პირველი ადგილი ფინალის მასპინძელმა პოლონეთმა გაინაღდა, ამ ჯგუფიდან მეორეადგილოსანი, ანუ ბულგარეთი პირდაპირ მოხვდება კატოვიცეში.

პოლონეთისა და ბულგარეთის დარად, ფინალური ეტაპზე თამაშის უფლება უკვე მოიპოვეს ბრაზილიელმა და რუსმა ფრენბურთელებმა, რომლებმაც შესაბამისად A და C ჯგუფებში პირველი ადგილები გაინაღდეს.

ყველაზე ჩახლართული მდგომარეობა B ჯგუფშია, სადაც პირველობის შანსებს ამერიკელები და ფრანგები ინარჩუნებენ. აი, იტალიის ნაკრები კი, პირველად ისტორიაში, შესაძლოა ფინალს მიღმა აღმოჩნდეს. პირველ ადგილს აღარავინ ჩივის და საამისოდ, მეორე ადგილი რომ დაიკავოს, საფრენბურთო „ადზურიმ" თავად იაპონიას ხომ უნდა მოუგოს ორივე გამოტოვებული თამაში და ორჯერ ჯგუფის ლიდერ ამერიკასაც სძლიოს, პარალელურად ფრანგებმაც უნდა წააგონ ერთი თამაში აუტსაიდერ იაპონიასთან. ეს ყველაფერი კი, ცოტა არ იყოს და ძნელი წარმოსადგენია.

| A ჯგუფი | C ჯგუფი |
|---|---|
| კორეა 1:3 ფინეთი | რუსეთი 3:0 კუბა |
| 16:25 19:25 26:24 14:25 | 26:24 30:28 25:15 |
| კორეა 2:3 ფინეთი | რუსეთი 3:0 კუბა |
| 25:21 20:25 25:22 19:25 12:15 | 25:16 25:21 19:27 |
| კანადა 0:3 ბრაზილია | ეგვიპტე 0:3 სერბეთი |
| 18:25 23:25 21:25 | 22:25 22:25 18:25 |
| კანადა 0:3 ბრაზილია | ეგვიპტე 0:3 სერბეთი |
| 23:25 22:25 22:25 | 23:25 20:25 23:25 |
| ბრაზილია 20 ქულა; ფინეთი 17; კორეა 12; კანადა 11 | რუსეთი 19 ქულა; სერბეთი 16; კუბა 15; ეგვიპტე 10 |
| **B ჯგუფი** | **D ჯგუფი** |
| საფრანგეთი 2:3 იტალია | ბულგარეთი 1:3 პოლონეთი |
| 25:23 18:25 19:25 25:23 17:19 | 25:21 19:25 23:25 23:25 |
| საფრანგეთი 3:1 იტალია | ბულგარეთი 1:3 პოლონეთი |
| 25:23 25:20 25:27 25:14 | 23:25 22:25 25:20 20:25 |
| იაპონია 0:3 აშშ | ჩინეთი 3:0 არგენტინა |
| 17:25 23:25 15:25 | 25:17 25:17 25:21 |
| იაპონია 0:3 აშშ | ჩინეთი 3:2 არგენტინა |
| 23:25 22:25 22:25 | 22:25 25:22 25:19 23:25 15:11 |
| აშშ 18 ქულა; საფრანგეთი 16; იტალია 11; იაპონია 9 | პოლონეთი 20 ქულა; ბულგარეთი 18; ჩინეთი 12; არგენტინა 10 |

**შენიშვნა:** B ჯგუფში იტალიისა და იაპონიის ნაკრებებს 8-8 მატჩი აქვთ ჩატარებული.

Formula 1

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1

№ 1 საავტომობილო ზეთი

# მონტოიას პირველი ნასკარული

**ფორმულა 1-ის** ექსპილოტმა ხუან-პაბლო მონტოიამ თავისთვის ახალ, ამერიკული „ნასკარის" სერიაში პირველი გამარჯვება მოიპოვა. რბოლა კალიფორნიის ტრეკზე ჩატარდა, რომელიც ტრადიციული ოვალი კი არაა, არამედ ევროპული ტიპისა, ხუანისთვის „წინა ცხოვრებიდან" ჩვეული და მას ბადალიც არ ჰყავდა.

31 წლის კოლუმბიელს კვალიფიკაციაში მხოლოდ 32-ე შედეგი ჰქონდა და 110-წრიანი რბოლის უმეტესი ნაწილი წინა რიგებში გაჭრისთვის ბრძოლას მოანდომა. მას გამარჯვება მოუტანა საკმაოდ რისკიანმა, გვიანმა სასაწვავო სტრატეგიამ, რის წყალობითაც შეძლო კონკურენტების ძლევა:

„მიჭირს ამის დაჯერება, ეს ჩემთვის და ჩვენი გუნდისთვის გასაოცარი დღეა. სწრაფი მანქანა, ოპტიმალური სტრატეგია და შესანიშნავი პიტსტოპები — დღეს ჩვენ უნდა მოგვეგო და მოვიგეთ კიდეც. ბოლომდე ვცდილობდი, მაქსიმალური სიჩქარით მევლო, რისკმა გაამართლა, წინ გავედი და მხოლოდ ამის მერე ვიზრუნე საწვავის ეკონომიაზე," ეს მონტოიას გუნდ „ჩიპ განასის" პირველი მოგებაა 2002 წლის შემდეგ. ამასთან იგი ბოლო 33 წელიწადში „ნასკარის" პირველი არაამერიკელი გამარჯვებული გახდა.




# რობერტს მანი კური უნდა

**კვირას** საფრანგეთი 57-ედ უმასპინძლებს საპირველფორმულო რბოლას და გუნდებმაც პარიზიდან 250 კილომეტრით დაშორებულ ნევერში უკვე ჩაზიდეს თავიანთი უამრავტონიანი უძრავ-მოძრავი ავლადიდება. პროვინციული მანი კურის ავტოდრომზე „სამეფო" პილოტები უკანასკნელად გაიჯირითებენ — საგაისო კალენდარში „საფრანგეთის გრან პრი" აღარ იქნება.

„მანი კურზე" გასვლას მოუთმენლად ელის 10 ივნისს მონრეალში რბოლისას საშინელი ავარიის შემდეგ დროებით საჭეს ჩამოშორებული რობერტ კუბიცა. შეგახსენებთ, შუა დისტანციაზე ერთ-ერთ მოსახვევში იარნო ტრულის „ტოიოტასთან" შეხების შედეგად პოლონელის „BMW-ზაუბერი" ტრასიდან სწორედ რომ გაფრინდა და 230 კმ/სთ სისწრაფით ბეტონის კედელს მიეფშენა. საბედნიეროდ, 22 წლის მძღოლი მძიმე ტრავმას გადაურჩა, თუმც ტვინის შერყევა მიიღო და მცირე ხნით გრძნობაც დაკარგა.

ბუნებრივია, ექიმებმა რობერტს იმ კატასტროფიდან ხუთიოდ დღეში ინდიანაპოლისის ტრეკზე გაჯირითების ნება არ დართეს. მან რეაბილიტაციის კურსი იტალიაში გაიარა, ახლა თავს მშვენივრად გრძნობს და ერთი სული აქვს, როდის მიუჯდება საჭეს. გადამწყვეტი სიტყვა კვლავ მედიკოსებზეა, ისინი ხვალ კუბიცას კიდევ ერთხელ გულდასმით გასინჯავენ და მერეღა ეტყვიან ჰოს ან არას. რობერტს იმედი აქვს, რომ ეს შემოწმება უბრალო ფორმალობა იქნება.

# ფლავიოს ფერნანდოსი სჯერა

**ბრიტანელმა** ბუქმეიკერებმა სატურნირო ცხრილის პირველ-მეორე საფეხურებზე მდგომ მაკლარენელებს — ლუის ჰემილტონსა და ფერნანდო ალონსოს მანი კურში გამარჯვების ერთნაირი კოეფიციენტი (2,25) მისცეს. არადა, დებიუტანტი ლუისი ორგზის გვირგვინოსან თანაგუნდელს საღლესოდ ათი ქულით უსწრებს.

ჩემპიონის მნიშვნელოვანი ჩამორჩენის მიუხედავად, მისი ყოფილი ბოსის, „რენოს" აღმასრულებელი დირექტორის ფლავიო ბრიატორეს აზრით, ტიტულს სწორედ ესპანელი მოიპოვებს: „ასი პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ ჩემპიონატს ალონსო მოიგებს. იგი გამოცდილი პილოტია და ზუსტად იცის, რა არის საჭირო გამარჯვებისთვის. ვფიქრობ, მან არ უნდა მიაქციოს ყურადღება პრესას, განსაკუთრებით ბრიტანულს, რომელიც ჰემილტონს აქებ-ადიდებს. ფერნანდოსთვის საკმარისი იქნება, მხოლოდ შეეჩვიოს ახალ გუნდს, „ბრიჯსტოუნის" საბურავებს და დარწმუნებული ვარ, ყველაფერი გამოუვა".

„უილიამ ჰილში" ავტორიტეტული შეფის ამ ვარაუდს არ იზიარებენ. ბუქმეიკერთა პროგნოზით, წლეულს ჩემპიონობის უკეთესი შანსი, კოეფიციენტით 1,5 ჰემილტონს აქვს, ალონსოზე თითქმის ორჯერ მაღალი (2,8).

# BMW ფერარის ემუქრება

**რობერტ კუბიცასა** და ნიკ ჰაიდფელდის „BMV-ზაუბერი" მიმდინარე ჩემპიონატში ფრიად საპატიო მესამე ადგილზეა „მაკლარენ-მერსედესისა" და „ფერარის" შემდეგ. ბავარიული სუპერკონცერნის ხელმძღვანელობა ამგვარ წარმატებას ალბათ არც მოელოდა შარშანდელი უფერული გამოსვლის გათვალისწინებით, როცა სეზონი სულ რაღაც 36 ქულით მეხუთე საფეხურზე ჩაამთავრეს.

წლეულს ბეემველებს შვიდი ეტაპის შემდეგ, უკვე სამი ქულით მეტი აქვთ და რაკი მადა ჭამაში მოდისო, თვით „ფერარისთან" შებრძოლების იმედიც კი გაუჩნდათ, თუმცა ბლომად, 32 ქულით ჩამორჩებიან.

„BMV მოტორსპორტის" დირექტორი მარიო ტაისენი: „ჩვენ ჩემპიონატში მყარი მესამე პოზიცია გვიჭირავს „მაკლარენისა" და „ფერარის" უკან და მთავარი მიზანიც ამ ადგილის შენარჩუნებაა. მოველი, რომ სეზონის მეორე ნახევარში ლიდერ „მაკლარენის" უკან ბრძოლა უფრო მჭიდრო იქნება და გვინდა, „ფერარის" ღირსეულად შევეჭიდოთ".

**გია ახალაძე**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კვთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბეხელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი – 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge